# ჭრიკიშვილის ოქრო და დუბლი



საქართველოს ვაჟ ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა თითო ოქროსა და ბრინჯაოს მედლით დაამთავრა გამოსვლა მაროკოულ აგადირში, თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ზურიდა რეხვიაშვილის (73) მიერ ტურნირის პირველ დღეს მოპოვებულ ბრინჯაოს შაბათს ავთანდილ ჭრიკიშვილმა (81) ოქრო დაამატა და სეზონში დუბლი შეასრულა - ერთი თვის წინ ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონატიც მოიგო. ბრინჯაოს მედლის მოპოვებამდე კიდევ ზოგ ჩვენებურს თითო მოგება დააკლდა, მაგრამ სწორედ ეს ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯი ვერ გადადგეს წარმატებით და მეხუთე ადგილზე დარჩნენ გიორგი ბროლაშვილი (60) და არჩილ შინჯიკაშვილი (90), ტურნირზე საკუთარი ხარჯით წასულები - გიორგი მერმანიშვილი (81) და გიორგი კობერიძე (100) კი მეშვიდეზე გავიდნენ. ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში გია გუგავას ნაკრები მეხუთე იყო...

გაგრძელება მე-11 გვერდზე

პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

25 ოქტომბერი **ორშაბათი** 2010

№251 (13239) ფასი 60 თეთრი

## 10:0

## საოცრება პოლანდიაში

ევროთასები

გვ. 5-10

# ელიტრაუნდში!




გვ. 4




## ფოთი, შფოთი და თბილისობა ზესტაფონში

საქართველოს ჩემპიონატი

გვ. 2-3



## გადამწყვეტი დარტყმის კაცი

გვ. 4

# თბილისობა ზესტაფონში

23.10. ზესტაფონი. დ. აბაშიძე
2 500 მაყურებელი

**ზესტაფონი 0**
**დინამო 1**

0:1 კოშკაძე (63)

| ზესტაფონი 4-5-1 | დინამო 4-5-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლორია |
| ალადაშვილი | კაკუბავა |
| კობახიძე | თომაშვილი |
| ონიანი | კვარაცხელია |
| ელიავა | ხმალაძე |
| აფციაური | რობერტინიო |
| დაუშვილი | ედნილსონი |
| გრიგალაშვილი | ფირცხალავა |
| გორგიაშვილი | თექთურმანიძე |
| ბაბუნაშვილი | კოშკაძე |
| გელაშვილი | ვანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | კ. კაჭარავა |

**ზესტაფონი**
61. ბაბუნაშვილი - **დვალი**
79. გელაშვილი - **წინამძღვრიშვილი**
83. გრიგალაშვილი - **ფიფია**
*სათადარიგოები: მამალაძე, ბენაშვილი, მაკარიანი, ცხადაია*

**დინამო**
56. ფირცხალავა - **პახელიშვილი**
76. რობერტინიო - **ლექვთაძე**
83. ვანაძე - **მუჯირი**
*სათადარიგოები: შეყრილაძე, მეტრეველი, ლილუაშვილი, გავაშელიშვილი*

გაფრთხილება: კვასხვაძე(26), კოშკაძე(28), ალადაშვილი(28), აფციაური(34), ფირცხალავა(36), რობერტინიო(45)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

„მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს"- სწორედ ასეა მიმდინარე ჩემპიონატში თბილისის „დინამოს" საქმე. საქართველოს ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა „ნაღდი" ქულები დაკარგა, სამაგიეროდ, „დინამოს" ლიდერებთან კარგად გამოსდის თამაში და აგერ, ერთპიროვნულ ლიდერს მისსავე მოედანზე, რომ იტყვიან, „ექვსქულიანი" თამაში მოუგო.

წინა ტურთან შედარებით, ორივე გუნდის ძირითად შემადგენლობაში არაერთი ცვლილება მოხდა. დისკვალიფიკაციის გამო ზესტაფონელებმა **გიორგი ხიდეშელი** და **ირაკლი ძარია** მოისაკლისეს. „ტორპედოსთან" მარცხის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდნენ **ალექსი ბენაშვილი** და **ჯაბა დვალი.** ამ ოთხეულის ნაცვლად კი ძირითადში **მამუკა კობახიძე, კახაბერ ალადაშვილი, შოთა ბაბუნაშვილი** და **თორნიკე გორგიაშვილი** გამოჩნდნენ. **გია გეგუჩაძემ** სათამაშო სქემაც შეცვალა - ტრადიციული 4-4-2-ის ნაცვლად მეტოქეს 4-5-1 ტაქტიკა დაუპირისპირა, კლასიკურ სქემაზე კი მაშინღა გადაერთო, როცა ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ. გეგუჩაძემ მეორე ფორვარდი **ჯაბა დვალიც** გაიყვანა მოედანზე...

ცვლილებები დინამოელთა რიგებშიც მრავლად იყო. გუნდს დაუბრუნდნენ ტრავმამოშუშებული **მათე ვაწაძე** და **რობერტინიო**, ძირითადში გამოჩნდნენ ასევე **ლევან კაკუბავა, ნიკოლოზ ფირცხალავა** და **გიორგი თექთურმანიძე.** თუმცაღა „დინამოს" დისკვალიფიცირებული **დონალდ ჯუსი** ვერ ეხმარებოდა.

მატჩი საკმაოდ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. ტემპიც კარგი იყო და ფეხბურთელებს მონდომებასაც ვერ დავუწუნებდით. „ზესტაფონმა", რომელსაც „ტორპედოსთან" მარცხის შემდეგ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე რეაბილიტაცია მართებდა, შეხვედრა აქტიურად დაიწყო და ტერიტორიული უპირატესობაც მალევე მოიპოვა. მე-5 წუთზე მასპინძელთა ერთადერთი გამოკვეთილი ფორვარდი **ნიკოლოზ გელაშვილი** მარჯვენა ფლანგზე სამ მცველს დაუსხლტა და **გიორგი ლორიას** მახვილი კუთხიდან ძლიერად დაურტყა, თუმცა ბურთი დინამოელთა კიპერმა მოიგერია.

სტუმრებმა, რომლებმაც კონტრშეტევებზე ააგეს თამაში, სწრაფადვე უპასუხეს - **ედნილსონის** მიერ ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ კარისკენ ზურგით მდგარმა **ხმალაძემ** თავით სახიფათოდ დაარტყა, თუმცა ბურთი მიზანს ასცდა. ამას მოჰყვა შეტევაში ჩართული **ონიანის** ყუმბარისებური დარტყმა და ბურთი ხარიხის ზემოდან დააცხრა დინამოელთა კარის ბადეს...

რიგ ეპიზოდებში მასპინძლებს ნერვიულობა ეტყობოდათ და პირველად ამან მე-17 წუთზე იჩინა თავი. **კობახიძემ** მეკარეს უხერხულად დაუბრუნა ბურთი, რომელსაც **თექთურმანიძე** დაეუფლა, თუმცა ზესტაფონელთა ბედად ახალგაზრდა დინამოელი სიტუაციაში ვერ გაერკვა და მცველებმა მდგომარეობის განმუხტვა მოასწრეს. ამ ეპიზოდს ზესტაფონელთა სწრაფი და ლამაზი კონტრშეტევა მოჰყვა - **გორგიაშვილმა**



ალექსანდრე კოშკაძე

და **გრიგალაშვილმა** თითო-თითო შეხებით „დინამოს" მთელი დაცვა სტატისტის როლში დატოვეს, გელაშვილი კი, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ... ფორვარდმა დააყოვნა და **თომაშვილი** წამოეწია, შესაბამისად, მომენტიც განიმუხტა.

26-ე წუთზე, ზესტაფონელთა შეუთანხმებელი თამაშის შემდეგ, მათ კართან მეტად მწვავე მომენტი შეიქმნა - ონიანმა მეკარისკენ უხერხულად დააბრუნა ბურთი, რომელიც **ვანაძემ** ჩაჭრა და საჯარიმოს გარედან სცადა ბურთის კარში გაგზავნა, მაგრამ მას მეკარე **კვასხვაძემ** წესების დარღვევით შეუშალა ხელი და ამისთვის ყვითელი ბარათიც დაიმსახურა. დინამოელები კვასხვაძის წითელი ბარათით დასჯასაც ითხოვდნენ - ბოლო იმედის ჯარიმა იყოო, თუმცა არბიტრს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

პირველი ტაიმის დარჩენილ დროში უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა ხშირ შემთხვევაში მათი იერიშები დინამოელთათვის იოლი „წასაკითხი" იყო. ზესტაფონელები ძირითადად საჯარიმოში გელაშვილის მისამართით გზავნიდნენ მაღალ ბურთებს, თუმცა სტუმრებს ფეროელთა ბომბარდირი კარგად ჰყავდათ „ამოკეტილი" და გასაქანს არ აძლევდნენ.

მასპინძლებს მღელვარება მეორე ტაიმშიც გადაჰყვათ, „დინამო" კი შესვენების შემდეგ უკეთ ათამაშდა და გარკვეული უპირატესობაც მოიპოვა. 48-ე წუთზე კვასხვაძემ გორგიაშვილს უხერხულად დაუბრუნა ბურთი, რომელიც ვანაძემ ჩაუჭრა, დინამოელთა ფორვარდმა დაარტყა კიდეც, მაგრამ ზესტაფონელთა მეკარემ შეცდომა გამოასწორა.

ხუთიოდე წუთში კვასხვაძემ ედნილსონის ძლიერი დარტყმა აკრობატულ ნახტომში მოიგერია, 55-ე წუთზე კი „ზესტაფონი" აშკარა გოლს გადაურჩა - გრიგალაშვილმა ცენტრთან ახლოს დაკარგა ბურთი, კოშკაძის პასი ვანაძემ გაატარა და რობერტინიო მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმა სამიზნეს ოდნავ ასცდა.

ზესტაფონლებმა მეტოქეს სამწუთიანი შტურმითა და ზედიზედ სამი კუთხურით უპასუხეს, რომლის დროსაც გრიგალაშვილსა და შეცვლაზე შესულ **დვალს** შეეძლოთ თავის გამოჩენა - პირველის სახიფათო დარტყმა ლორიამ მოიგერია, დვალს კი მცველებმა შეუშალეს ხელი.

63-ე წუთზე მატჩის ერთადერთი გოლიც ვიხილეთ. ბრწყინვალედ ითამაშა რობერტინიომ, რომელმაც ზესტაფონელ ნახევარმცველებს ჩაუქროლა და ვანაძეს უპასა, ამან კი იქვე, საჯარიმოს ხაზთან კოშკაძეს დაუგორა, კაპიტანმაც არ დააყოვნა და უმალ კარისკენ დაარტყა, ბურთი აფციაურს მოხვდა ფეხზე და ზესტაფონელთა კარში ჩაეშვა - 0:1.

82-ე წუთზე კოშკაძემ კიდევ ერთხელ დალაშქრა კვასხვაძის კარი, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. იქამდე კი „ზესტაფონი" თავგამოდებით ცდილობდა ანგარიშის გათანაბრებას. გეგუჩაძემ **რატი წინამძღვრიშვილსაც** უხმო მოედანზე, მოგვიანებით გოგა **ფიფიაც** ჩართო თამაშში, მაგრამ მასპინძლებმა მიზანი ვერა და ვერ გაისწორეს - ჯერ გორგიაშვილის უძლიერესი დარტყმა გადასცდა ხარიხას, ალადაშვილის ფლანგურ გარღვევასა და კარგ პასს კი დვალმა ვერ მოუძებნა შესაბამისი გაგრძელება. მატჩის მიწურულს ჯაბას კიდევ ერთხელ მიეცა შანსი, მაგრამ ელიავას ჩაწოდებისა და წინამძღვრიშვილის პასის შემდეგ ხელსაყრელი პოზიციიდან თავური ააცილა. „დინამოს" შეხვედრა გამარჯვებამდე მიიყვანა და „თბილისობა" ზესტაფონში იზეიმა.

### მატჩის შემდეგ

**კახა კაჭარავა (დინამო):** „თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მომენტები ორივე გუნდს ჰქონდა და ვისაც მეტად გაუმართლა, იმან მოიგო. თამაშის ხარისხით ბოლომდე კმაყოფილი არა ვარ, მაგრამ ფეხბურთელებმა თავგანწირვით იბრძოლეს და ამისთვის მათი მადლობელი ვარ".

**გია გეგუჩაძე (ზესტაფონი):** „მთელი მატჩის განმავლობაში უპირატესობას ჩვენ ვფლობდით. ცენტრს იოლად გავდიოდით, მაგრამ შეტევებს ბოლომდე ვერ ვაგვირგვინებდით. ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ, საკუთარ კარში კი უცნაური გოლი გავუშვით. დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ პრობლემები არის, ეს ქუთაისშიც შეიმჩნეოდა და ამის თაობაზე ფეხბურთელებთან გვქონდა საუბარი, მაგრამ „დინამოსთანაც" იგივე პრობლემები შეგვექმნა. ხარვეზის გამოსასწორებლად ბევრი უნდა ვიმუშაოთ და ამ მარცხისგან სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. ჩემპიონატი გრძელდება და ვეცდებით, მომდევნო მატჩებში შეცდომები აღარ გავიმეოროთ".

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

23.10. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე
1 300 მაყურებელი

**ბაია 1**
**ვიტ ჯორჯია 0**

1:0 რიგვავა (83)

| ბაია 4-1-4-1 | ვიტ ჯორჯია 4-1-4-1 |
|---|---|
| ზარქუა | ა. მიქაბერიძე |
| კვეკვესკირი | ხურცილავა |
| კანდელაკი | ლომაია |
| რ. ონიანი | ადამაძე |
| ლ. აკობია | კასრაძე |
| მალიჩავა | კლიმიაშვილი |
| რიგვავა | მაისაშვილი |
| თ. აკობია | გურ. გურეშიძე |
| წურწუმია | ჯანელიძე |
| შ. ლომია | ლიპარტია |
| ეხვაია | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | მ. კოჭლაშვილი |

**ბაია**
65. მალიჩავა - **ვართაგავა**
87. ლომია - **მაქაცარია**
90. წურწუმია - **ჩანგელია**
*სათადარიგოები: ჯომიდავა, აფაქიძე, ქვარცხავა, კუკავა*

**ვიტ ჯორჯია**
76. ჯანელიძე - **ზაქრაძე**
82. კლიმიაშვილი - **კორიფაძე**
*სათადარიგოები: ძაძამია, გოგიაშვილი, ვასაძე, ჭანკვეტაძე, გ. გურეშიძე*

გაფრთხილება: ვართაგავა (78), წურწუმია (80), ლომაია (90)
არბიტრი: ხ. გაგნიძე

ზუგდიდის „ბაიას" ფინანსური პრობლემები თითქოს სულაც არ ეტყობა და აგერ, ზედიზედ მეორე ტურია, იგებს. ახალბედა ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა „ბაიამ" ორივე შეხვედრაში ისეთ გუნდებს წაართვა ქულები, სატურნირო ცხრილში მეზობლად რომ ჰყავს. „ვეტერინარებთან" შეხვედრაში კი ზუგდიდელებმა ნავსი გატეხეს და ურთიერთშეხვედრებში პირველი მარცხიც აგემეს.

იმის გათვალისწინებით, რომ „ვიტ ჯორჯია" ზუგდიდელთათვის უხერხული მეტოქეა, მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები თავიდანვე ფრთხილად ითამაშებდნენ. მატჩის დაწყებასაც მასპინძლებისგან ყველა ფრთხილი სათამაშო ტემპით ელოდა, თუმცა პირველივე წუთებიდან „ბაიამ" მწვავედ შეუტია მეტოქეს და **რიგვავას** გადაცემისთვის **ეხვაიას** ოდნავ სიზუსტე რომ მიეცა, ზუგდიდელები პირველივე წუთში დაწინაურდებოდნენ - ამ უკანასკნელის მიერ თავით დარტყმული ბურთი სანტიმეტრებში ასცდა **მიქაბერიძის** კარს.

ცოტა ხანში ისევ მასპინძლებმა იაქტიურეს და მარჯვენა ფლანგიდან უკვე რიგვავა დაემუქრა მეტოქის კარს, თუმცა **წურწუმიას** მისამართით მისი გადაცემა ადრესატამდე ვეტერინართა კარის დარაჯმა ჩაჭრა. შეტევას „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელებმაც კონტრშეტევით უპასუხეს **ლიპარტია-კლიმიაშვილის** კომბინაციას სახიფათო ეპიზოდიც მოჰყვა, თუმცა მცველებმა ბურთის კუთხურზე მოგერიება მოახერხეს.

ამის შემდეგ თამაში ერთხანს თანაბარ ორთაბრძოლებში წარიმართა, მერე ინიციატივას კვლავ მასპინძლები დაეუფლნენ და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. უსაქმოდ არც თბილისელები ყოფილან, სტუმრებს საკუთარი საჯარიმოდან გაგორებული ბურთის დამუშავება ცენტრში კარგად გამოუვიდათ და **ზარქუას** პირისპირ **ჩიმაკაძე** შეატოვეს - ახალგაზრდა მეკარემ საოცარი რეაქცია გამოავლინა და თავდამსხმელს ვარდნაში ბურთი ფეხებიდან ააცალა.

ტაიმის შუაში კვლავ **რიგვავა** გააქტიურდა, ორი ფეხბურთელი სწრაფად ჩამოიტოვა და ოდნავ კარიდან გამოსულ **მიქაბერიძეს** ისე ძლიერად დაურტყა, ვეტერინართა გოლკიპერმა ბურთზე თითების წაკვრა წამებში მოასწრო. პირველ ტაიმში მეტოქეებმა სხვა ვერაფერი მოახერხეს და გუნდები შესვენებაზე უგოლოდ გავიდნენ.

# რიგვავას მორიგი სამი ქულა

მატჩის მეორე ნახევარი კი განსხვავებული სცენარით დაიწყო. თუ აქამდე სტუმრები არცთუ დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, მეორე ნახევრის საწყისი წუთებიდან გააქტიურდნენ და ცენტრშიც გაბატონდნენ. მასპინძლებს კი თამაშის დასალაგებლად დაახლოებით 20 წუთი დასჭირდათ, საკუთარ ნახევარში ყოფნა „მოსწყინდათ" და მეტოქის საჯარიმოსკენ აიწიეს. სახიფათო მომენტებიც შეიქმნა.

„ბაიამ" მალევე მიიღო შედეგი - კუთხურის ხაზთან ვეტერინართა ერთ-ერთ მცველს **ლომიამ** ბურთი ვარდნაში წაართვა და საჯარიმოშიც სწრაფადვე გაგზავნა, რომელსაც პირველი რიგვავა გამოეხმაურა და შეუჩერებლივ მიქაბერიძეს აუღებელი დაურტყა. ცნობისთვის, 19 წლის ნახევარმცველისთვის ეს მესამე გოლია მიმდინარე სეზონში.

### მატჩის შემდეგ

**მერაბ კოჭლაშვილი (ვიტ ჯორჯია):** „ვინც უყურა თამაშს, დამეთანხმება, ალბათ, რომ „ვიტ ჯორჯია" ფლობდა უპირატესობას და განსაკუთრებით მეორე ტაიმში ვაჯობეთ კიდეც მეტოქეს. მაგრამ მომენტები ვერ გამოვიყენეთ და დამსახურებულადაც დავისაჯეთ. საკუთარ საჯარიმოში დაშვებული შეცდომის გამო გავუშვით გოლი. ზედიზედ 3 მარცხის შემდეგ, ზუგდიდში 2 ქულის დაკარგვას ვერ ვეგუებოდით და ბოლოს ქულის აღებაც სანატრელი გაგვიხდა".

**ელგუჯა ქომეთიანი (ბაია):** „ბევრი ალბათ ეჭვის თვალითაც უყურებდა ახალგაზრდა ბიჭების გამოსვლას უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ჩვენ გვჯეროდა, რომ მონდომებითა და თავდადებით ისინი მოლოდინს გაამართლებდნენ. ასეც მოხდა. ორ მოგებას უკვე სენსაციას ნამდვილად ვერ ვუწოდებ და ვიტყვი, რომ ეს ამ ბიჭების კარგი თამაშის შედეგია მხოლოდ. სენსაციაა ის, რომ ბოლნისში გასვლაზე მოგება არ გვქონდა და ამას მივაღწიეთ, „ვიტ ჯორჯიასთან" საერთოდ არ გვქონდა მოგება და საჭირო 3 ქულასთან ერთად ეს ბარიერიც დავძლიეთ".

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 11 | 7 | 0 | 4 | 19 | 9 | 21 |
| 2 | დინამო | 11 | 6 | 3 | 2 | 13 | 7 | 21 |
| 3 | ოლიმპი | 11 | 6 | 2 | 3 | 17 | 10 | 20 |
| 4 | ბაია | 11 | 5 | 3 | 3 | 14 | 13 | 18 |
| 5 | კოლხეთი | 11 | 4 | 4 | 3 | 12 | 9 | 16 |
| 6 | სიონი | 11 | 3 | 5 | 3 | 8 | 12 | 14 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 11 | 4 | 1 | 6 | 10 | 17 | 13 |
| 8 | სამტრედია | 11 | 3 | 2 | 6 | 13 | 19 | 11 |
| 9 | ტორპედო | 11 | 2 | 5 | 4 | 6 | 8 | 11 |
| 10 | სპარტაკი | 11 | 1 | 3 | 7 | 8 | 16 | 6 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მოდებაძე (ოლიმპი) | 7 |
| მეგრელაძე (ბაია) | 6 |
| ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) | 5 |

| მომდევნო ტური | | |
|---|---|---|
| 30 ოქტომბერი, შაბათი | | |
| სპარტაკი-ზესტაფონი | | |
| ტორპედო-ბაია | | |
| სიონი-სამტრედია | | |
| 31 ოქტომბერი, კვირა | | |
| დინამო-ოლიმპი | | |
| ვიტ ჯორჯია-კოლხეთი | | |

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა განწყობა

23.10. რუსთავი. ფოლადი
800 მაყურებელი

**ოლიმპი 0**
**ტორპედო 0**

| ოლიმპი | ტორპედო |
|---|---|
| 4-1-3-2 | 4-4-2 |
| ჭანტურია | მიგინეიშვილი |
| ქემოკლიძე | ფოფხაძე |
| კვახაძე | ს. თოდუა |
| რეხვიაშვილი | ფარულავა |
| ჯაფარიძე | ჩიკვილაძე |
| რაზმაძე | დათუნაიშვილი |
| გ. ჭელიძე | დილმელაშვილი |
| ბოლქვაძე | მ. გიგაური |
| ქავთარაძე | თარხნიშვილი |
| მოდებაძე | კემუხტაშვილი |
| ბერიაშვილი | საბანაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| რ. შუშლაძე | გ. გიგატაძე |

**ოლიმპი**
46. ჭელიძე - **გენაძე**
76. ბერიაშვილი - **ყაზაიშვილი**
სათადარიგოები: ბედიაშვილი, ჯ. უგულავა, დობროვოლსკი

**ტორპედო**
46. კემუხტაშვილი - **ვ. კვარაცხელია**
46. გიგაური - **ლომაშვილი**
88. საბანაძე - **გ. ჩხეტიანი**
*სათადარიგოები: ქვილითაია, მაჭავარიანი, გურული, ნ. კვასხვაძე*

გაფრთხილება: თარხნიშვილი (33), ქემოკლიძე (58), რეხვიაშვილი (73), კვარაცხელია (90)
არბიტრი: ჯ. ხორავა

**ნებისმიერ** საფეხბურთო მატჩს გოლ(ებ)ი ალამაზებს, მაგრამ არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, როცა ნულოვანი ფრით დამთავრებული შეხვედრა ნეიტრალურ გულშემატკივარს გულგრილს ვერ ტოვებს. ჰო, ნეიტრალურს, თორემ, რუსთაველი ქომაგები შაბათის მატჩის შემდეგ უკმაყოფილონი იყვნენ: ამ სეზონში პირველად მოხდა, როცა „ოლიმპმა" საშინაო მატჩი ვერ მოიგო; სამაგიეროდ, ქუთაისიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონოდათ: „ტორპედომ" უკვე მეოთხე მატჩი ჩაატარა წაუგებლად და ჩემპიონთან მოპოვებული ქულაც **გია გიგატაძის** გუნდის აქტივში უნდა ჩავთვალოთ. თანაც, „ტორპედოს" ბოლოდროინდელი წარმატებული ასპარეზობიდან გამომდინარე, ნუ გამოვრიცხავთ, რომ მეორე ეტაპიდან გუნდს აბსოლუტურად განსხვავებული მიზნები ჰქონდეს.

აი, „ოლიმპმა" კი, უკვე აღვნიშნეთ, პირველად დაკარგა საკუთარ მოედანზე ქულები; არადა, თითქმის მთელი მატჩი (განსაკუთრებით კი - პირველი ტაიმი) მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ საბოლოო შედეგის ალოგიკურობასაც ვერავინ იტყვის. რაც მთავარია, ნულოვანი ფრის მიუხედავად, 90 წუთის განმავლობაში მოედანზე უშელავათო ბრძოლა მიმდინარეობდა; ეგ კი არა, ჩვენი ფეხბურთისათვის ნამდვილად არადამახასიათებელი ტემპიანი თამაშიც ვიხილეთ და ამის გამო ორივე გუნდი შექებასაც იმსახურებს.

...პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარაზე მეტი იყო; ამასთან, პირველ 45 წუთში სტუმრებს ერთხელაც არ შეუწუხებიათ „ოლიმპის" მეკარე **გრიგოლ ჭანტურია**, მაშინ როცა მის კოლეგა **ომარ მიგინეიშვილს** არაერთხელ დასჭირდა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა. პირველი სახიფათო მომენტი მატჩის დასაწყისშივე შეიქმნა: **დავით ბოლქვაძის** ოსტატური პასით **გიორგი ქავთარაძე** ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ „ოლიმპის" ნახევარმცველის (ამ ბოლო დროს ფლანგზე რომ უწევს ასპარეზობა) თავური დარტყმა არაზუსტი გამოდგა. ამ ეპიზოდის შემდეგ ტემპმა კიდევ უფრო მოიმატა და ტაიმის ბოლომდე ასე გაგრძელდა. „ოლიმპს" კიდევ ორი მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტი ჰქონდა: თუმცა, **გიორგი ჭელიძისა** და **დავით ბოლქვაძის** დარტყმებს **ომარ მიგინეიშვილის** უშეცდომო თამაში მოჰყვა. აი, მესამე ეპიზოდში კი სტუმართა მეკარემ თავისი გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა: ბოლქვაძემ სიღრმიდან შორეული პასით **გიორგი ბერიაშვილი**, ფაქტობრივად, მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ „ოლიმპის" ფორვარდმა ეს რეალური შანსი ვერ გამოიყენა. თუმცა, მიგინეიშვილის გარჯაც უნდა აღვნიშნოთ - არ დაიბნა და მეტოქის ფორვარდს შეცდომაც დააშვებინა.

შესვენების შემდეგ სტუმართა გუნდში ერთდროულად 2 ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა და, წინდაწინ უნდა ვთქვათ, რომ ამ ცვლილებებმა აშკარად გაამართლა: **ვაჟა ლომაშვილი** მოედნის ცენტრში **დავით დილმელაშვილს** შეუწყვილდა და შუახაზში მასპინძელთა უპირატესობაც უკვე თვალშისაცემი აღარ იყო; აი, **ვახტანგ კვარაცხელიამ** კი თავდასხმის ხაზში ჩვეული ადგილი დაიკავა და ორჯერ ხელსაყრელი მომენტიც შეექმნა, თუმცა, ჯობს თანმიმდევრობით მივყვეთ. სხვათა შორის, ცვლილება მასპინძელთა გუნდშიც მოხდა: ტრავმით გამოწვეული პაუზის შემდეგ „ოლიმპში" გუნდის ერთ-ერთი ლიდერი **რევაზ გენაძე** გამოჩნდა, რომელმაც მარცხენა ფლანგზე „კუთვნილი" ადგილი დაიკავა, ქავთარაძემ კი მარჯვნივ გადმოინაცვლა. მეორე ტაიმში პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს, მაგრამ **ალექსანდრე კვახაძის** შორეული და ძლიერი დარტყმა არაზუსტი გამოდგა; და აი, 62-ე წუთზე, „ტორპედო" პირველად დაემუქრა მასპინძელთა კარს: **ნიკა საბანაძის** პასის შემდეგ ვახტანგ კვარაცხელიამ საჰაერო „დუელი" მოუგო „ოლიმპის" ცენტრალურ მცველებს, მაგრამ ბურთი ხარიხას ზემოდან გადაევლო. ამას უკვე მასპინძელთა საპასუხო შეტევა მოჰყვა: **ირაკლი მოდებაძე** შეუჩერებლად ცდილობდა ბურთის შორეულ კუთხეში გაგზავნას, მაგრამ ამ ეპიზოდში „ოლიმპი" მხოლოდ კუთხურს გამორჩა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ მეორე ტაიმში „ტორპედომ" აშკარად გამოასწორა თამაშის ხარისხი და დროდადრო, მწვავე კონტრშეტევებსაც ავითარებდა. სტუმრებმა ორჯერ შორეული დარტყმებით სცადეს გოლის გატანა, მაგრამ **თენგიზ ჩიკვილაძისა** და ვაჟა ლომაშვილის მცდელობას შედეგი არ მოჰყოლია.

მატჩის უკანასკნელ წუთებზე კი ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა; თანაც, მოედანზე მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით იცვლებოდა: **გიორგი რეხვიაშვილი** მახვილი კუთხიდან ურტყამდა, მაგრამ ბურთი სტუმართა კარს ოდნავ ასცდა; საპასუხო შეტევაში კი სტუმრებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს და **თორნიკე თარხნიშვილმა** ფლანგიდან ზუსტი პასით ვახტანგ კვარაცხელია მოძებნა, რომელმაც კიდევ ერთხელ მოუგო პოზიციური ბრძოლა მასპინძელთა მცველებს, მაგრამ თავური დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

ამ შეხვედრაში ბოლო მომენტი მაინც მასპინძლებმა შექმნეს: გენაძე-ბოლქვაძის კომბინაციას მოდებაძე თავური დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს არც ამ ეპიზოდში გაუმართლა...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

## ანონსი

**გუჯა გუგუშვილი: მასობრივი ტურნირი პაერივით გვჭირდება**

**რატომ არ დააფიქსირეს გინესის რეკორდებში ქართველი მეკარის მიღწევა?**

თბილისის საფეხბურთო კლუბი „სინათლე" 1968, 1969 წლებში ზედიზედ ორჯერ გახდა მაშინ უპოპულარესი საკავშირო საფეხბურთო ტურნირის „მილიონთა თასის" გამარჯვებული (ტურნირში მილიონზე მეტი გუნდი მონაწილეობდა, საქართველოდან - 500). ვინ იყვნენ და სად არიან დღეს მილიონ გუნდში გამორჩეული „სინათლის" ფეხბურთელები? წაიკითხეთ „ლელოს" ხვალინდელ ნომერში.

# ბესიკ შეროზია: დაგვშალეს!

24.10. ფოთი. ფაზისი
800 მაყურებელი

**კოლხეთი 0**
**სიონი 0**

| კოლხეთი | სიონი |
|---|---|
| 4-5-1 | 4-5-1 |
| გორდეზიანი | გოგლიაშვილი |
| ჭითანავა | ლ. ჭელიძე |
| მახვილაძე | თარგამაძე |
| ინწკირველი | ორბელაძე |
| გველესიანი | ქურასბედიანი |
| თედიაშვილი | დიდავა |
| ჯოჯუა | ნოზაძე |
| სილაგავა | გ. მელქაძე |
| გულუა | ლ. ვაშაკიძე |
| გვალია | უგრეხელიძე |
| რ. ჯიქია | გოცირიძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. შეროზია | გ. ყიფიანი |

**კოლხეთი**
53. ჯოჯუა - **დეკანოსიძე**
76. ჭითანავა - **ცხვიტარია**
80. გვალია - **წიქარიშვილი**
*სათადარიგოები: ჩიქობავა, მეგრელიშვილი, დ. კუკულაძე, ბუკია*

**სიონი**
52. მელქაძე - **ნემსაძე**
84. ვაშაკიძე - **ოქროპირიძე**
90. გოცირიძე - **გ. თოდუა**
*სათადარიგოები: მერლანი, ჩივაძე, ლ. ჩხეტიანი, ისიანი*

გაფრთხილება: ბობლიაშვილი (12), თედიაშვილი (35), დიდავა (45), გულუა (54)
გაძევება: ჯიქია (90)
არბიტრი: ა. ნონიკაშვილი

„რას გვერჩიან ეს მსაჯები?"; „ნონიკაშვილი „დინამოს" მსაჯია და მშვიდობიანად მიყვანილი თამაში ამიტომ არია"; „სამტრედიაშიც დაგვშალეს და ახლა „დინამოს" წინ კიდევ დაგვიმატეს"... პლუს უწმაწური ფრაზებისა და გამაყრუებელი სტვენის ფონზე **არსენ ნონიკაშვილმა** და მისმა თამაშემწეებმა სტადიონი დატოვეს. თუმცა მანამდე მასპინძლებმა მოედნის ცენტრში „გამაგრებული" არბიტრისთვის „საქმის გარჩევა" მოასწრეს. ნონიკაშვილს ისიც „გაახსენეს", როგორ აგინებდა დემონსტრაციულად ზესტაფონში ერთ-ერთი ფეხბურთელი, მაგრამ არ გაუგდია, მათ კი „შეჩემასთვის", ბოლო წამებზე მობურთალი გაუძევეს. როგორც ჩანდა, კოლხებს „ზესტაფონთან" ნაგებაც და იმავე ნონიკაშვილის მსაჯობა მწარედ ახსოვთ, გუშინ კი „ახალი დაემატათ".

ისევ „კოლხეთის" თავკაცების გასაყვანი გახდა მსაჯთა ბრიგადა მოედნიდან, რადგან ქომაგები გასასვლელთან შეკრებილიყვნენ და მსაჯების „მათთვის გადაცემას" ითხოვდნენ. პირველი მცდელობა უშედეგო გამოდგა - პოლიციამ და კლუბის პრეზიდენტმა **თემურ ბარქაიამ** აღშფოთებულ ფოთელ ქომაგებს შორის ალყიდან მსაჯების გაყვანა ვერ შეძლეს და ისევ მოედანზე მიაბრუნეს. მეორე ცდაზე ჯერ კოლხებმა შეუკრეს ცოცხალი ჯაჭვი თემიდელებს, გარე წრე კი სამართალდამცველებმა შექმნეს და ასე გაალწიეს სამსაჯომდე.

არადა, მსაჯებს თითქოს განსაკუთრებული არაფერი დაუშავებიათ, თუმცა ბოლო წუთზე **ჯიქიას** გაძევებამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ნონიკაშვილს ტენდენციურობა დასწამეს - თუ ზესტაფონში დედა გაგინეს, თანაც გასუსული ტრიბუნების ფონზე ეს ყველას (ქომაგებსაც) ესმოდა და შენ კი წაუყრუე, „ლამის ჩვეულებრივად მიჩნეულ მიმართვაზე" „ყურები რატომ გაგიფართოვდა", მაგ ამბავს სხვანაირი სუნი უდისო...

ეს „სუნი" კი ისაა, რაზეც „დინამომ" ამას წინათ ატეხა ხმაური, ამჯერად კი კოლხებს გაუჩნდათ ეჭვი - ნონიკაშვილმა ჯიქია „სათბილისოდ" გააძევაო. საქმე ისაა, რომ მომდევნო ტურში ფოთელები სწორედ „დინამოს" სტუმრობენ და, თუ დედაქალაქელებს **ჯუისის** გაფრთხილება რაიმეს მტკიცების საფუძველს ნაკლებად აძლევდათ, ფოთში მიიჩნევენ, რომ მათ მინიმუმ ეჭვის საფუძველი აქვთ.

*„ეს რა მსაჯობაა? შესაძლოა, ყველა ვერ მიხვდეს, მაგრამ პროფესიონალი კარგად დაინახავდა, რომ დღეს მსაჯობა ამაზრზენი იყო. ზედიზედ 3-4-ჯერ ისეთ დროს შემოგვიტრიალა აქეთ თამაში, გუნდზე გავლენა მოახდინა. მე არ მიყვარს არბიტრებზე ლაპარაკი და მით უფრო, მათი ლანძღვა, მაგრამ არაპროფესიონალის თვალით თითქოს მცირე შეცდომები გავლენას ახდენს საბოლოოდ. ბოლო ორი თამაშია, მსაჯები არ გვახარებენ! ასე მოხდა სამტრედიაშიც: სიჭინავა გადიოდა და ზედ ხაზთან მისცა მსაჯმა ყვითელი, შემდეგ კი რატომ გააგდო, ვერ ვხვდები. ან რა ყვითლები მოიფიქრა?! ჯარიმები არ მოგვცა და იქით გაგვაყვითლა. დღეს გულუა საერთოდ რატომ გაგვიფრთხილეს?! ან ჯიქიას გაგდება რაღა იყო?! თითქმის ერთი წელია, ფოთში ვარ და ხალხი ასეთი გაგიჟებული არ მინახავს. ფოთელი ქომაგი ასე რომ მოიქცევა, იქ რაღაც ხდება! მე არ ვამბობ, რომ ეს კარგია, მაგრამ მსაჯები განზებ აკეთებენ ამას და იწვევენ გულშემატკივრებს. უბრალოდ, ასე გაგრძელება არ შეიძლება. სიმწრით ვაგროვებთ ქულებს და ჩვენი ნაშრომი ვიღაცამ წყალში არ უნდა ჩაყაროს! „სიონის" წინ დაგვშალეს!"* - განაცხადა ნამატჩევს კოლხთა მთავარმა მწვრთნელმა **ბესიკ შეროზიამ.**

„ლელოსთვის „კომენტარი გააკეთა „კოლხეთის" პრეზიდენტმა თემურ ბარქაიამ: *„მწვრთნელი მართალია, ასეთი აღშფოთებული ფოთელი ქომაგი აქამდე არ მინახავს, თითქმის 5 წელია, გუნდში ვარ... კარგად ხედავდით - ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ მსაჯები გასახდელამდე მშვიდობიანად მიგვეყვანა. ვკითხე ნონიკაშვილს - რატომ გააძევე ჯიქია, შეაგინა-მეთქი? არაო! თურმე, ისეთი რამ უთქვამს, რასაც მოედანზე ლამის ყველა მოთამაშე ყვირის. ამის გამო გაძევება?! იყოს, კი, ბატონო, მაგრამ ეს წესი მხოლოდ „კოლხეთის" ფეხბურთელზე ხომ არ უნდა ვრცელდებოდეს?!".*

ეს ყველაფერი „მესამე ტაიმში" ხდებოდა. მანამდე კი ყველაზე რეალური საგოლე შანსი სწორედ იმ ჯიქიას ჰქონდა, რომლის გაძევებასაც ამდენი ვნებათაღელვა მოჰყვა - მან რამდენიმე მცველი ჩამოიტოვა და საჯარიმოში მყოფმა იქვე ახლოს მშვენივრად გადააწოდა გულუას, რომელმაც თითქმის ცარიელ კარს ააცილა ბურთი. მერე კი იყო 90-ე წუთი - მსაჯმა 3 წუთი დაამატა, რაც ჯიქიას ეცრტავა და რაც მოჰყვა ამას, უკვე გითხარით.

დასასრულ, კიდევ ერთი არასასურველი ფაქტი: ალყიდან მსაჯების გაყვანას ტელევიზიებიც იღებდნენ. ერთ-ერთი არხის ოპერატორს ამის საშუალება ქომაგებმა არ მისცეს და კასეტის წართმევაც სცადეს. ძიძგილაობა რამდენიმე წუთს გაგრძელდა და მხოლოდ „კოლხეთის" თავკაცთა ჩარევის შემდეგ მოხერხდა ქომაგთა რისხვისგან ოპერატორის დახსნა...

**თომა ჩალაძე**
ფოთიდან

# მსაჯობით უკმაყოფილონი

24.10. სამტრედია. ე. მანჯგალაძე
1 500 მაყურებელი

**სამტრედია 1**
**სპარტაკი 0**

1:0 კირკიტაძე (90. კაკალაძის პასით)

| სამტრედია | სპარტაკი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-3-2-1 |
| ძაგანია | გრიშიკაშვილი |
| ჩხიკვაძე | ჭაფოძე |
| ხუმარაშვილი | გოიომო |
| ქურციკიძე? | ალავიძე |
| გოგია | შ. კაშია |
| პავლიაშვილი | შონია |
| ტყემალაძე | კაკაშვილი |
| ჩომახიძე | ნარიმანიძე |
| ძებაძე | ბაბულაიძე |
| კაკალაძე | დეკანოიძე |
| კვერენჩხილაძე | ძაგანია |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| გ. სანაია | ბ. კვარაცხელია |

**სამტრედია**
54. კვერენჩხილაძე - **ბაკარაძე**
64. პავლიაშვილი - **დ. კირკიტაძე**
68. ტყემალაძე - **ფურთუხია**
*სათადარიგოები: ჯინჭარაძე, სოსელია, ნინუა, დვალიშვილი*

**სპარტაკი**
53. ნარიმანიძე - **ჯაყელი**
58. კაკაშვილი - **კლოვისი**
74. დეკანოიძე - **ჩალაძე**
*სათადარიგოები: დაუშვილი, ტატუნაშვილი, კორსანტია, აქუბარდია*

გაფრთხილება: ბაბულაიძე (73), ბაკარაძე (86)
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**სატურნირო** ცხრილის ბოლოში მყოფ „სპარტაკსა" და „სამტრედიას" მდგომარეობის გამოსასწორებლად ქულები ჰაერივით სჭირდებოდათ და მათ შორის უშელავათო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. შეხვედრამ გულშემატკივრებში დიდი ინტერესი გამოიწვია და საკუთარი გუნდის წარმატებაში დარწმუნებული სამტრედიელები სტადიონზე მრავლად მივიდნენ. რამდენიმე დღის წინ სამტრედიის დუბლშემადგენლობის მწვრთნელის ავთანდილ თოხაძის ვაჟი, თავადაც ყოფილი ფეხბურთელი დავით თოხაძე ავტოკატასტროფაში დაიღუპა და მის საპატივცემულოდ სამტრედიელები მოედანზე შავი სამკლავურებით გამოვიდნენ...

წუთიერი დუმილის შემდეგ მატჩი დაიწყო. მასპინძლებისთვის მოულოდნელად საწყის წუთებში სტუმრებმა გაცილებით მწვავედ შეუტიეს. მე-17 წუთზე **შოთა ჩომახიძემ** მეკარის ბაქანზე ჩააგდო ბურთი, თუმცა **კაკალაძე** ბურთს ვერ შეწვდა და სამტრედიელებმა კარგი მომენტი გაუშვეს ხელიდან. 32-ე წუთზე იმავე ჩომახიძის კუთხურს **კვერენჩხილაძემ** თავური დარტყმა მიაყოლა და **ჭაფოძემ** ბურთი ცარიელი კარიდან თავითვე გამოიტანა.

რამდენიმე წუთში ჩომახიძის მიერ ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს კაკალაძის თავური დარტყმა მოჰყვა, თუმცა ცხინვალელთა მეკარე კვლავ შეუვალი იყო. ტაიმის მიწურულს მასპინძლებმა კიდევ ერთხელ გაამწვავეს სიტუაცია, თუმცა პირით ხაზზე გაჭრილი კაკალაძის გამჭოლ გადაცემას ფეხი ვერავინ დაუხვედრა.

მატჩის სცენარი არც მეორე ტაიმში შეცვლილა. **გელა სანაიას** შეგირდები გოლის გატანას ცდილობდნენ, მაგრამ სტუმართა მცველები ყურადღებით ირჯებოდნენ და მათ გასაქანს არ აძლევდნენ. 48-ე წუთზე ცხინვალელები დაიბნენ და სრულიად უწყინარ სიტუაციაში ბურთი ჩომახიძეს გადააბარეს. ამან ერთი შეხებით კვერენჩხილაძეს უპასა თუმცა, ამ უკანასკნელის დარტყმა გარედან მოხვდა ბადეს.

62-ე წუთზე კი მასპინძლები გადაურჩნენ აშკარა გოლს - კაშიას მოწოდებულ კუთხურს შონიამ თავი დაუხვედრა, ბურთი ხარიხას მოხვდა და კარის ხაზზე დავარდა, დამატებაზე კი ვერავინ ივარგა. 70-ე წუთზე ჩომახიძის პასის შემდეგ კაკალაძე გავიდა მეკარესთან პირისპირ და **გრიშიკაშვილთან** ორთაბრძოლისას დაეცა. მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მანამდე გვერდით მსაჯს თამაშგარე ჰქონდა დაფიქსირებული და ამის გამო ადგილობრივი გულშემატკივრები მსაჯებს შემოსწყრნენ.

ამის შემდეგ მოედანზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და საქმე ისეთი პირი უჩანდა, რომ მეტოქეები უგოლო ფრეს შეგუებულნი იყვნენ. ამასობაში კრიჭაშვილმა შეხვედრას სამი წუთი დაამატა და მასპინლებმა იერიშისთვის ბოლო ძალები მოიკრიბეს. ისინი საჯარიმოში მაღალი ჩაწოდებებით ცდილობდნენ გოლის გატანას და ერთ-ერთმა ასეთმა მცდელობამ ნაყოფიც გამოიღო. მსაჯის მიერ დამატებული დრო იწურებოდა, როცა ჩომახიძის ჩაწოდების შემდეგ ყველაზე მაღლა კაკალაძე ახტა და ბურთი შეცვლაზე შესულ **კირკიტაძეს** დაუგდო, ამან კი უძლიერესი დარტყმით გამარჯვების გოლი გაიტანა.

ამას სტუმართა რიგებში ვნებათაღელვა მოჰყვა, ისინი მსაჯს ორი რამის გამო ედავებოდნენ - ჯერ ერთ, დამატებული დრო ამოწურული იყოო, და მეორე - ჯარიმა, რომელსაც გოლი მოჰყვა, პირიქით, არბიტრს ცხინვალელთა სასარგებლოდ უნდა დაენიშნაო. მატჩის შემდეგ სტუმრები თავიანთ სიმართლეს ვიდეოფირით მატჩის დელეგატ **სერგო კვარაცხელიასაც** უმტკიცებდნენ.

### მატჩის შემდეგ

**ბადრი კვარაცხელია (სპარტაკი):** „მსაჯებზე საუბარი არ მჩვევია, მაგრამ დღეს მათი ქმედება ყოველგვარ ზღვარს გადასცდა. არსად მინახავს, რომ მსაჯს ბოლო 5 წუთში მასპინძელთა სასარგებლოდ ამდენი ჯარიმა დაენიშნოს. უკვე დროც გასული იყო და სანამ გოლი არ გავუშვით თამაში არ დაასრულა. ჯარიმას რაც შეეხება, ის პირიქით ჩვენ სასარგებლოდ უნდა დანიშნულიყო. მიუხედავად დასანანი მარცხისა დაკარგული არაფერია და ბრძოლას გავაგრძელებთ".

**გელა სანაია (სამტრედია):**" ბიჭებს მთელ მოედანზე პრესინგი დავავალე და პირველ ტაიმში დავალება კარგად შეასრულეს. მეორე ტაიმში ცოტა არეული თამაში იყო, მაგრამ მონდომებამ ნაყოფი გამოიღო, თანაც, იღბალიც ჩვენს მხარეს იყო".

**დავით კოხრეიძე**
სამტრედიიდან



გოლი შვედების კარში

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# რიხით შევაბიჯეთ

18.10. თბილისი. ბ. პაიჭაძე
4 000 მაყურებელი

| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| შვედეთი | 0 |

1:0 სამუშია (80)

| საქართველო | შვედეთი |
|---|---|
| 4-1-4-1 | 4-2-3-1 |
| თევზიძე | სტერლანდერი |
| მთივლიშვილი | იესპ. ანდერსონი |
| კახიძე | იოჰ. ანდერსონი |
| სანდოხაძე | აუგუსტინსონი |
| მონიავა | ფორსელი |
| გოგიჩაიშვილი | ლარსონი |
| ჰუფნაგელი | სტალი |
| დიასამიძე | ოუუსუ |
| ენდელაძე | ისლამოვიჩი |
| სამუშია | ესპლინგი |
| არაბული | პივოვსკი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| კ. ყორყიკაშვილი | რ. ლარსონი |

**საქართველო**

50. გოგიჩაიშვილი - **მარკოზაშვილი**
50. დიასამიძე - **ფანცულაია**
64. კახიძე - **ცნობილაძე**

*სათადარიგოები: მიქავა, კვარაცხელია, სარჯველაძე, ჭილვარია*

**შვედეთი**

41. ესპლინგი - **შიოზერგი**
59. ოვუსუ - **ტიგლინგი**
71. აუგუსტინსონი - **სოდერსტრიომი**

*სათადარიგოები: მიულერი, ბლომკვისტი, ლინდგრენი, ყივანოვიჩი*

არბიტრი: გ. სპირკოსკი (მაკედონია)

ქართველ გულშემატკივრებს დიდი სიხარულისთვის ძალიან პატარა საბაბიც ჰყოფნით ხოლმე, ჩვენი 17-წლამდელების ასეთი შესანიშნავი თამაში კი არცთუ პატარა წარმატებაა. თბილისში გამართული შესარჩევი ჯგუფის ბოლო ტურში **კობა ყორყიკაშვილის** გუნდს შვედეთთან ფრეც ჰყოფნიდა, მაგრამ ბიჭებმა კიდევ ერთხელ გაგვახარეს შემტევი ფეხბურთით და იმისდა მიუხედავად, რომ მეორე ტაიმში ბევრი ვინერვიულეთ, ეს მატჩიც დამსახურებულად მოვიგეთ და ელიტრაუნდშიც ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე შევაბიჯეთ. რა გასაკვირია, რომ 17 წლის ჭაბუკებს წუნიც საკმაოდ ჰქონდეთ, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ...

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ქართულ ფეხბურთს ახალი თაობა უაღრესად ნიჭიერი ჰყავს და მხოლოდ ის უნდა ვისურვოთ, რომ ამ ჭაბუკებმა განვითარება არ შეწყვიტონ. თუ მათი პროგრესი სასურველი ტემპით გაგრძელდა, რამდენიმე წლის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრები ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდება. მანამდე კი დრო არის და სასიხარულოა, რომ ლოკალური, მაგრამ უაღრესად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დავდექით - გაზაფხულზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ვიბრძოლებთ და, თუ ჩვენს 17-წლამდელებს მოსამზადებლად სათანადო პირობებს შეუქმნიან, ისინი არც იქ შეირცხვენენ თავს.

მოგებულ თამაშზე წერა ყოველთვის სასიამოვნოა, ასევე დიდი სიამოვნებით მივულოცავთ ამ გამარჯვებას ნაკრების სამწვრთნელო შტაბს, თითოეულ ფეხბურთელს და ყველა იმ ადამიანს, რომელმაც ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა. ცალკე უნდა შევაქოთ „ქართული სპორტის ქომაგები", რომლებმაც მთელი ამ ტურნირის განმავლობაში დაუღალავი გულშემატკივრობით ჩვენს გუნდს უდიდესი სამსახური გაუწიეს.

პირველი ტაიმი ქართველების სრული უპირატესობით წარიმართა და საგოლე შანსებიც გვქონდა. შეხვედრა ხუთი წუთის დაწყებული იყო, **ლუკას ჰუფნაგელმა** მახვილგონივრული გადაცემით რომ მოძებნა **ავთო ენდელაძე**, რომლის ფლანგური გადაცემის შემდეგაც **ნიკა დიასამიძემ** არაზუსტად დაარტყა. პირველ ტაიმში ორჯერ შეეძლო გატანა ჩვენს მთავარ ფორვარდ **ბაჩანა არაბულს**, რომელსაც ჯერ ჯარიმა აულო შვედთა მეკარემ, მერე კი თავური არ გამოვიდა.

ასეთი მატჩიდან ვინმეს გამორჩევა შესაძლოა არც ღირდეს, მაგრამ **გურამ სამუშიამ** განსაკუთრებული შექება მაინც დაიმსახურა. ვერცხლისწყალივით მოძრავმა ფლანგელმა მეტოქეს უამრავი თავსატეხი გაუჩინა და ისიც ლოგიკურია, გამარჯვების გოლი მან რომ გაიტანა. ლუკას ჰუფნაგელის „გაქართველება" კი აბსოლუტურად გამართლებული ნაბიჯია. ეს 17 წლის ბიჭი ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯითა და საფეხბურთო აზროვნებით გამოირჩევა. თუმცაა კიდევ გავიმეოროთ, რომ გამარჯვებისთვის თავი ყველამ დადო.

შესვენების შემდეგ შვედები საგრძნობლად გამოცოცხლდნენ, ქართველები კი ისე ყოჩაღად ველარ უტევდნენ. თამაშის სადავეებს მაინც ვაკონტროლებდით, მაგრამ დაძაბულობა წუთიდან წუთამდე იზრდებოდა - მეტოქეს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდა და მთელი ძალებით უტევდა. ჩვენთვის ყველაზე სახიფათო სტალის მიერ ახლო მანძილიდან აცილებული თავური იყო. 77-ე წუთზე კი **გაბრიელ თებიძემ სოდერსტრიომის** არცთუ სახიფათო, მაგრამ მეკარისთვის მაინც უსიამოვნო შორეული დარტყმა მოიგერია.

თითქოს ყველაფერი ჩვენთვის სასურველი ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ წინ წასულმა შვედებმა ზურგი მოაშიშვლეს, რამაც ქართველებს სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალება მისცა. შეცვლაზე შესულმა თემურ მარკოზაშვილმა ბურთი სტუმართა საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც ყველას სამუშიამ დაასწრო და ეფექტური თავურით გამარჯვება და ელიტრაუნდი დაგვიზევა.

**პრესკონფერენცია**

## ლარსონმა მოგვილოცა

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე პირველად შვედეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **როლანდ ლარსონი** გამოცხადდა, რომელმაც საკუთარი გუნდის მარცხის მიზეზებზე ისაუბრა და გამარჯვება გულთბილად მოგვილოცა:

*„პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, მატჩის მეორე ნახევარი კი გაცილებით მაღალ დონეზე ჩავატარეთ და გამარჯვების გოლის გატანაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, უგოლოდ არა მხოლოდ დღევანდელი შეხვედრა, არამედ მთლიანად თბილისური ტურნირი დავასრულეთ. ბუნებრივია, ასეთი შედეგით უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ჩემი გუნდით მაინც ვამაყობ. მივიღეთ დიდი გამოცდილება, რომელიც სამომავლოდ აუცილებლად გამოგვადგება. საქართველოს ნაკრებს კი ამ გამარჯვებას მთელი გულით ვულოცავ. ძალიან კარგი გუნდი გყავთ, რომელიც ერთდროულად ტექნიკურიცაა და ბრძოლისუნარიანიც. ინგლისის ნაკრებმა ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. ამ გუნდის წევრები სულ მალე პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის კარს შეაღებენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ ტურნირებში ქართველ და შვედ ფეხბურთელებსაც ვიხილავთ".*

## ბრძოლა ყველასთან შეგვძლებია

**კობა ყორყიკაშვილთან** ერთად, ქართველთა პრესკონფერენციაზე ჩვენი ნაკრების ოთხი წევრიც მოვიდა: **ბაჩანა არაბული, ლუკას ჰუფნაგელი, გურამ სამუშია** და **ავთო ენდელაძე**.

**კობა ყორყიკაშვილი:** *„ყველას გილოცავთ ამ გამარჯვებას. ძალიან რთული მატჩი მოვიგეთ. იმის მიუხედავად, რომ შვედეთის ნაკრები ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა, საქმე არცთუ სუსტ მეტოქესთან გვქონდა. შვედების მიერ ჩატარებული წინა ორი შეხვედრის ვიდეოჩანაწერი დეტალურად გავარჩიეთ და სათანადო დასკვნებიც გამოვიტანეთ. როგორც ნახეთ, აქცენტი დაცვაზე არ გაგვიკეთებია. პირველ ტაიმში გოლი რომ გაგვეტანა, გამარჯვება გაცილებით გაგვიადვილდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა და შესვენების შემდეგ ფსიქოლოგიური წნეხი გაძლიერდა. საბედნიეროდ, ყველა დაბრკოლება ღირსეულად გადავლახეთ და ელიტრაუნდის საგზური სამართლიანად მოვიპოვეთ. ჩვენმა ფეხბურთელებმა დიდი ბრძოლები გადაიტანეს და დარწმუნდნენ, რომ გამარჯვებისთვის ბრძოლა ნებისმიერ მოწინააღმდეგესთან შეუძლიათ. სწორედ ესაა მთავარი, რაც ამ ტურნირმა მოგვცა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ელიტრაუნდისთვისაც ღირსეულად მოვემზადოთ. დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ქართველი გულშემატკივრები, რომლებმაც ნამდვილი მეთორმეტე მოთამაშის როლი უმაღლეს დონეზე შეასრულეს".*

**გურამ სამუშია:** *„ჩემი გოლი დამუშავებული კომბინაციის შედეგია. უბედნიერესი ვარ, ამ გოლმა ქართველი გულშემატკივრები რომ გაახარა".*

**გაბრიელ თებიძე:** *„გუნდი ერთ ეპიზოდში გოლისგან გადავარჩინე. აუღებელი დარტყმა ნამდვილად არ იყო, მისი გაშვება არ ღირდა".*

**ავთო ენდელაძე:** *„დღევანდელმა გამარჯვებამ ძალიან გამახარა, მაგრამ მთავარი ინგლისთან მიღწეული დადებითი შედეგია. ისინი ხომ დიდი კლუბების სისტემაში თამაშობენ, ჩვენ კი - ჭაბუკთა ლიგაში".*

**ლუკას ჰუფნაგელი:** *„ძალიან დაძაბული თამაში იყო და ძალიან ბედნიერი ვარ, გამარჯვება და ელიტრაუნდის საგზური ჩვენ რომ დაგვრჩა. დიდი მადლობა გულშემატკივრებს, თბილისიდან მიუნხენში დადებითი ემოციებით სავსე ვბრუნდები".*

ლევან ჯანეზაშვილი

# მეშვიდე შეცვლა

## არბიტრმა მატჩი ვერ დაასრულა...

23.10. თბილისი. მ. მესხი.
25 მაყურებელი

| | |
|---|---|
| პოლონეთი | 0 |
| ინგლისი | 1 |

გოლი: 0:1 ტერგოტი (61)

| პოლონეთი | ინგლისი |
|---|---|
| 4-4-2 | 4-5-1 |
| ფრაკოვიაკი | პიკფორდი |
| კეძიორა | კუზინსი |
| რადეცკი | ჯექსონი |
| ვიტი | ჩალობა |
| ვილკი | რეგანი |
| ვრონსკი | სტერლინგი |
| კობილანსკი | კოტონი |
| ბუბეკი | ტერგოტი |
| ბიელი | პაუელი |
| ბაგინსკი | რედმონდი |
| ურიგა | ჰოუპი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| მ. დორნა | ჯ. პიკოკი |

**პოლონეთი**

55. ურიგა - **ნოვაკი**
59. კობილანსკი - **ზიელინსკი**
68. ბუბეკი - **დუტკო**

*სათადარიგოები: სმუგი, ლეგიერსკი, ფლისი, დანკოვსკი*

**ინგლისი**

60. ჰოუპი - **მორგანი**
69. კოტონი - **ჰენდრი**
72. სტერლინგი - **ფანიმო**

*სათადარიგოები: გარეტი, გექჰემი, მეგრი, მეპენი.*

გაფრთხილება: სტერლინგი (10), კოტონი (35), კობილანსკი (59)

არბიტრი: ანატოლი ვიშნიჩენკო (ყაზახეთი).

ტრავმის შემდეგ შეცვალა ლაშა სილაგავამ (საქართველო)

ფეხბურთში ბევრი არაორდინარული ამბავი მომხდარა, მაგრამ ის, რაც შაბათს „ლოკომოტივის" სტადიონზე ვიხილეთ, მილიონში ერთხელ ხდება. როცა ფეხბურთელთა შეცვლის ლიმიტი ამოიწურა, მოედანზე კიდევ ერთი შეცვლა განხორციელდა და ეს არ იყო შეცდომა - მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე შესაცვლელი გახდა მთავარი მსაჯი **ანატოლი ვიშნიჩენკო.** 77-ე წუთზე (17-წლამდელებში ტაიმი 40-წუთიანია) დაეცა. თავიდან სტადიონზე მოსულმა 25-მა მაყურებელმა (დავთვალე) მიიჩნია, რომ სველ მოედანზე შემთხვევით წაიქცა და იხალისა. თუმცა ხალისი სიბრალულმა შეცვალა, როცა საწყალი არბიტრი ვერ წამოდგა და მოედნიდან სხვების დახმარებით გაიყვანეს. გაირკვა, რომ ვიშნიჩენკოს ფეხბურთელობისას მიღებული ტრავმა გაუმეორდა.

ცარიელმა ტრიბუნებმა მატჩის ხასიათი განაპირობა. მართალია, ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა, მაგრამ დაძაბულ პაექრობას სანახაობრივი არ ეთქმოდა, სახიფათო მომენტები იშვიათად იქმნებოდა.

პირველ ტაიმში ყველაზე დასამახსოვრებელი მე-19 წუთზე ინგლისელთა კაპიტან **ჩალობას** რეიდი აღმოჩნდა, რომელმაც სამი მეტოქე ჩამოიტოვა და **ტერგოტი** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა, მაგრამ ბრიტანელთა ნახევარმცველს პოლონელთა მცველმა დაასწრო და ვითარება განმუხტა. დასამახსოვრებელი მომენტი იყო **კობილანსკის** შორეული დარტყმაც.

მეორე ნახევარი ბევრად საინტერესო გამოდგა. 51-ე წუთზე იმავე კობილანსკის ჩახვეული კუთხურის შემდეგ ბრიტანელები გოლს მეკარე **პიკფორდმა** გადაარჩინა. ინგლისელებმა შეტევები გააძლიერეს და 61-ე წუთზე სანადელს მიაღწიეს - ტიპური ბრიტანული ფლანგური შეტევისას პოლონელები დაცვაში უხეშად შეცდნენ, კარის წინ მარტო დარჩენილი **მორგანის** დარტყმაზე **ფრაკოვიაკმა** საოცარი რეაქცია გამოავლინა, მაგრამ ტერგოტის დამატებულს ვერაფერი მოუხერხა - 0:1.

71-ე წუთზე მორგანს ინგლისელთა უპირატესობის გაზრდა შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს სიზუსტე დააკლდა.

მერე კი ის ეპიზოდი მოხდა, რაზეც თავში მოგახსენეთ. არბიტრი ანატოლი ვიშნიჩენკო მეოთხე არბიტრად გამწესებულმა **ლაშა სილაგავამ** შეცვალა, რომელსაც მატჩის შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ: *„ასეთი შემთხვევა ბოლოს ევრო 2000-ზე მოხდა. ბელგია-თურქეთის მატჩის დროს დანიელი კიმ მილტონ ნილსენი დაშავდა და ის ავსტრიელმა მეოთხე არბიტრმა გიუნტერ ბენკომ შეცვალა. ბევრს ჰგონია, რომ მეოთხე რეფერი მხოლოდ ნომრების შეცვლითა და წვრილმანი საქმეებითა დაკავებული, მაგრამ დღეს კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს როლი ტყუილად არ მოიგონეს. რაც შეეხება ვიშნიჩენკოს, მას ძველი ტრავმა ამინდისა და მოედნის გამო გაუმიზეზდა".*

საბოლოოდ, ინგლისელებმა 1:0 გაიმარჯვეს, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და საქართველოსთან ერთად ელიტრაუნდში გავიდნენ.

**ჯონ პიკოკი,** ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: *„ძალიან რთული თამაშში გავიმარჯვეთ და ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ და ძალიან გახარებული ვარ. ვფიქრობ, ჯგუფში ლოგიკურად დალაგდა. საქართველომ ძალიან კარგად ითამაშა და მეორე ადგილი დაიმსახურა".*

მერაბ მამულაშვილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-1 | 7 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 3. პოლონეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 4. შვედეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

● ლეგიონის უქმეები

# გადამწყვეტი დარტყმის კაცი

## მარცვალაძე, უკვე 19!

ქართული ლეგიონის მიმოხილვას ტრადიციულად „ნისლიანი ალბიონის" ეული ქართველი **ზურაბ ხიზანიშვილით** ვიწყებთ. ჩვენებურის „რედინგმა" სტუმრად 4:0 გაანადგურა „ბარნლი" და 19 ქულით მე-8 ადგილამდე ამაღლდა. ზურამ **იან ჰარტთან** ერთად დაცვის ცენტრის წყვილი შეადგინა. ორივემ ბრწყინვალედ გაართვა თავი მოვალეობას.

საფრანგეთის მეორე ლიგაში **გიორგი მაკარიძის** „ლე მანმა" 1:0 დაამარცხა „ისტრი". მასპინძელთა კარში ისევ გუნდის კაპიტანი **დიდიე ოვონო** იდგა, ქართველი გოლკიპერი კი სათადარიგო იყო. სხვათა შორის, ამ მატჩში კიდევ ერთმა ჩვენმა „ნაცნობმა" ითამაშა, სტუმართა რიგებში 61-ე წუთზე **პოლ კესანი** გამოჩნდა. „ლე მანი" 22 ქულით სათავეში ჩაუდგა ლიგა 2-ს.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** გასულ კვირას სათასო მატჩში ათამაშეს, მასაც თავი არ შეურცხვენია, მაგრამ განახლდა სერია A და ჩვენებური ისევ სკამზე დასვეს. „ჯენოა"-"კატანიას" მატჩში კალაძის ადგილი ვერ გამოინახა მასპინძელთა სამკაციან დაცვაში (**ჩიკო, რანოკია, დაინელი**). კახამ ბოლო 5 წუთი ითამაშა, „ჯენოამ" კი 1:0 იმარჯვა.

სერია B-ში **ლევან მჭედლიძის** „ემპოლი" „რეჯინას" ესტუმრა და დაუზავდა - 0:0. ლევანი სათადარიგო იყო და მოედანზე მეორე ტაიმის მე-16 წუთზე გამოჩნდა. ჩვენებურს სერია B-ში 10 მატჩში (ჯამში 412 წუთი) ჯერ გოლი არ გაუტანია. „ემპოლი" 19 ქულით მე-5 ადგილზეა.

პირველი აგვისტოს შემდეგ პირველად „სპარტაკის" სასტარტო შემადგენლობაში **ჯანო ანანიძემ** ითამაშა. **ალექსის** არყოფნაში გამთამაშებლის ფუნქციები ქართველმა ჩაიბარა, თუმცა რუსულ წყაროებს თუ დავუჯერებთ, ჩვენებურმა სათანადოდ ვერ შეცვალა ალექსი. კარპინმა ყველაზე პირველი ანანიძე შეცვალა (58-ე წუთზე), „ჩემპიონატმა" მის თამაში 5,5 ბალით შეაფასა. „სპარტაკმა" „სიბირს" ვერაფერი მოუხერხა და 0:0 დაუზავდა. მოსკოველები 40 ქულით მე-4 ადგილზე არიან.

>> მე-5 გვერდზე

## ლეგიონის უქმეები



# გადამწყვეტი დარტყმის კაცი

## მარცვალაძე, უკვე 19!

« მე-4 გვერდიდან

ნალჩიკის „სპარტაკმა" ძალიან მნიშვნელოვანი სამი ქულა მოიპოვა, „ტომს" 2:1 მოუგო (39 ქულა, მე-6 ადგილი). გამარჯვება „სპარტაკს" **დავით სირაძემ** მოუპოვა, რომელმაც 93-ე წუთზე გაიტანა. სირაძე ნაკრებშიც და კლუბშიც გადამწყვეტი გოლების გატანით გამოირჩევა. დავითმა 67-ე წუთზე შეცვალა **არსენ გოშოკოვი**. მსაჯის მიერ დამატებულ დროში სტუმართა კართან ჩააწოდეს, „ტომის" მცველებმა თითქოს გამოიტანეს ბურთი, მაგრამ ის სირაძემ საჯარიმოში შეაბრუნა, თავადვე დაიმორჩილა და საგოლედ გაისროლა. ეს სირაძის მე-3 გოლია ჩემპიონატში. **გოგიტა გოგუამ** შეუცვლელად ითამაშა. ორივე ჩვენებურმა „ჩემპიონატისგან" 6-იანი დაიმსახურა.

„სატურნი"-„ტერეკის" მატჩში (1:0) სტუმართა ქართველი ლეგიონერი **ლევან გვაზავა** ტრავმის გამო 74-ე წუთზე შეცვალეს (შეფასება - 5,5). „ტერეკი" 31 ქულით მე-9 ადგილზეა. „ლოკომოტივმა" სტუმრად 2:1 მოუგო „ამკარს". უკვე შემაშფოთებელია - **მალხაზ ასათიანი** ზედიზედ მესამე ტურია, რაც სათადარიგოთა სკამს ვერ გაცდა.

ტურის ცენტრალურ მატჩში ცსკა „რუბინს" დაუზავდა - 0:0. **დავით კვირკველია** მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდა, **ლაშა სალუქვაძე** კი სათადარიგო იყო. „რუბინი" 51 ქულით მეორე ადგილზეა. მახაჭყალაში „ანჟი" ლიდერ „ზენიტს" დაუხვდა და ქულები ნაართვა - 3:3. ქართველთაგან მხოლოდ **ზურაბ არზიანმა** ითამაშა (83-ე წუთზე შეცვალეს). სამწუხაროდ, **ნუკრი რევიშვილი** და **ოთარ ხიზანეიშვილი** სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. „ანჟი" 24 ქულით მე-13 ადგილზეა. საერთო ჯამში, რუსული პრემიერლიგის 10 ქართველიდან ამ ტურში სასტარტოში 4-მა ითამაშა.

აი, რანგით დაბალ I დივიზიონში კი უკვე აღარ ხუმრობს **ოთარ მარცვალაძე. ომარ თეთრაძის** „ვოლგამ" პრემიერლიგაში ალზევების ერთ-ერთი კონკურენტი „კრასნოდარი" ჩამოიცილა - 4:1, ქართველმა ფორვარდმა კი ჰეთთრიკი მიითვალა. მარცვალაძემ 24-ე წუთზე პენალტით გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ მეორე ტაიმში ორწუთიან ინტერვალში ორი გოლი შეაგდო (54-ე, 56-ე). ოთარს უკვე 19 გოლი აქვს ჩემპიონატში. მარცვალაძე პირველია, მეორე ადგილზე მყოფ **სპარტაკ გოგნიევს** ქართველი ორი ბურთით უსწრებს. ბოლო ხუთ ტურში მან 7-ჯერ დალამქრა მეტოქეთა კარი. სასტარტოში ითამაშეს **გოჩა ხოჯავამ, ედიკ საჯაიამ** და **გიორგი ნავალოვსკიმაც**. ხოჯავამ ერთი საგოლე პასი მიითვალა. „ვოლგამ" 67 ქულა დააგროვა.

უკრაინის ჩემპიონატის მე-14 ტურში ყველაზე მეტად „დნიპროს" თამაში გვაინტერესებდა. წინა ტურში გუნდის ახალმა თავკაცმა **ხუანდე რამოსმა უჩა ლობჟანიძე** შესვენებაზე შეცვალა და გუნდში მარჯვენა მცველის პოზიცია ყველაზე პრობლემურ ადგილად მიიჩნია. „არსენალთან" მატჩში ესპანელმა სპეციალისტმა უჩას სათადარიგოთა სკამზე მიუჩინა ადგილი და არც დასჭირვებია. სამწუხაროა, ლობჟანიძე ლამის ერთადერთი ქართველი ლეგიონერი იყო უკრაინაში, რომელსაც სათამაშო პრაქტიკის პრობლემა არ ჰქონდა. „დნიპრომ" კიევში 2:1 მოიგო.

ბოლო დროს იშვიათად ხვდება „ტავრიას" ძირითადში **ვასილ გიგიაძე**. „ობოლონთან" მას ანდეს სასტარტოში ადგილი. მე-4 წუთზე სტუმართა ქართველმა ვეტერანმა ყვითელი ბარათი მოწინააღმდეგესთან კინკლაობისთვის მიიღო. 58-ე წუთზე კი ჩვენებური შეცვალეს, „ტავრია" 1:2 დამარცხდა. **დიმიტრი ტატანაშვილი** უკრაინულ პრემიერლიგაში ყველაზე ცუდ კლუბში, ზაპოროჟიეს „მეტალურგს" სულ 3 ქულა აქვს. ბოლო ტურში „მეტალურგი" ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „სევასტოპოლთან" 0:1 დამარცხდა, ტატანაშვილი I ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

**გიორგი შაშიაშვილის** „ერგოტელისი" „კავალასთან" სტუმრად 1:3 დამარცხდა. ქართველმა მცველმა 90 წუთი ითამაშა და, სამწუხაროდ, საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი (28-ე წთ). „ერგოტელისს" 6 თამაშიდან 9 ქულა აქვს. უნგრულ შოპრონილიგაში „ეტო" სტუმრად 1:2 დამარცხდა „პაკშთან". **რატი ალექსიძე** 51-ე წუთზე გამოჩნდა დიორელთა რიგებში, სხვა ქართველებს არ უთამაშიათ. **ვახტანგ ფანცხავას** „ვაშაშიც" დამარცხდა, „ზალაეგერშეგის" ესტუმრა და 1:2 დათმო შეხვედრა. ჩვენებური შესვენების შემდეგ გამოჩნდა და სტუმართა შეტევები გამოაცოცხლა. მას 6 ბალი დაუწერეს (ალექსიძეს - 4).

ისრაელში **ლადო დვალიშვილის** „მაქაბი" შინ „აშდოდს" დაუზავდა - 1:1. დვალიშვილმა თავი ვერ გამოიჩინა, ის 63-ე წუთზე შეცვალეს. ოქტომბერში ლადომ ვერც ნაკრებში და ვერც კლუბში ვერ გაიტანა. აშკელონის „ჰაპოელი" სტუმრად კირიატ შმონის „ჰაპოელს" დაუზავდა - 2:2. სტუმართა რიგებში **ზურაბ მენთეშაშვილმა** სასტარტოში ითამაშა. ჩვენებურმა ჯერ ყვითელი ბარათი მიიღო, 75-ე წუთზე კი ის შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ მენთეშაშვილი სეზონის 7 მატჩიდან 4-ში გააფრთხილეს. ნეთანიის „მაქაბი" ჰაიფას „ჰაპოელს" 1:1 ეთამაშა. მასპინძელთა რიგებში **გაგა ჩხეტიანი** 70-ე წუთზე შევიდა.

ჰოლანდიაში ძალიან ცუდად მისდის საქმეები **მერაბ ჟორდანიას** „ვიტესს", ქართველი პრეზიდენტის გუნდი შინ 1:4 განადგურდა „უტრეხტთან". **გურამ კაშიამ** 90 წუთი ითამაშა. „ვიტესი" 8 ქულით სახიფათო ზონაშია.

ამ უქმეებზე [illegible] ორი ქართული გოლი [illegible] გავით[illegible]: აზერბაიჯანში **ბაჩანა ცხადაძემ** გამოიჩინა თავი, დანიაში კი - **დავით დევდარიანმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## საფრანგეთი. ლიგა 1. X ტური

**ბორდო–ბრესტი 0:2**

**ბორდო:** კარასო - სანე, პლანუსი (46. შალმე), სიანი, მარანჟი - პლასილი, მენეგაცო, მოდესტე - ჟუსი, ვენდელი (61. მაასუ) - ბენ ხალფალა (67. საივე).

**ბრესტი:** ელანა - ბაისი, აპანგა, კანტარი, დაფი - პოე, ლიკა, ევოლო (90. ბინე), ლესომიე - მიკოლა (81. ნგოი), რუ.

**გოლები:** 0:1 პოე (6), 0:2 ლესომიე (80)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 20(7)-11(6); **ჯარიმა:** 10-15; **კუთხური:** 11-8; **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 24 900

**ლანსი–ნიცა 1:0**

**ლანსი:** რუნიე - ორიე, იაპია, ნშელე, ნსამე - აკალე (73. ჯემაა), დემონი, ჰერმახი, ბუქარი - რუდე (58. სერტირი), დოს სანტოსი (58. პოლე).

**ნიცა:** ოსპინა - კლერკი, სიველი, პეიჩინოვიჩი, გასე (87. სანტარილი) - კულიბალი, ფაე, მულუნგი, მუნიე (66. ბენ საადა), საბლე - ლუბოჟა (80. მოტე).

**გოლი:** 1:0 ჯემაა (90)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 21(2)-10(3); **ჯარიმა:** 9-13; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 29 436

**მონაკო–ვალანსიენი 0:2**

**მონაკო:** რუფიე - ბონარი, პიუგრენიე, ჰანსონი, ადრიანო (66. ლოლო) - ნკულუ, გოსო - იუნგი, ალონსო (57. გაპკე), აუბამეიანგი (79. ბული) - ბეზუა.

**ვალანსიენი:** პენეტო - მატერი, ბიშევაცი, ანგუა, პალუა - კოადი, გომისი, სანჩესი - დუკურტიუ, პუჟოლი დანიჩი (70. აბუბაქარი).

**გოლები:** 0:1 პუჟოლი (32), 0:2 პუჟოლი (52)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 12(3)-13(4); **ჯარიმა:** 25-17; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 5 121

**ნანსი–ლორიენი 1:0**

**ნანსი:** გრეგორინი - შრეტიენი, სამი, ლუისი, ბრისონი - გავანონი, ნგემო, ჰაჯი - ეაირუა (58. ტრაორე), კუვილიე (86. ბაქარი), ფერე (68. შაშუე).

**ლორიენი:** კაპონე - ბასა (81. დუბარბიე), სოსა, მანგა, ლე ლანი - ამალფიტანო, რომაო, ს. დიარა, მონე-პაკე (62. ლეკომი) - გამეირო (86. ფააანშონე), კიტამბალა.

**გოლი:** 1:0 ფერე (8)

**გაძევება:** კაპონე (60)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16(5)-13(4); **ჯარიმა:** 20-20; **კუთხური:** 11-5; **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

**მაყურებელი:** 14 614

**რენი–მონპელიე 0:1**

**რენი:** დუშე - დანსე, კანა ბიიკი, მანჟანი, კატერინი - მვილა, დალმა, ლეროი (60. ა. კამარა) - ეკოკო, ბრაჰიმი - ს. მარვო (82. სუპრაიენი)

**მონპელიე:** იურდრენი - ბოკალი, იანგამბივა, სპაჰიჩი, იუნეშამი - პიტო, ჟ. მარვო (77. ფანა), ესტრადა (66. სტამბული) - ჟირუ, ბელჰანდა - ს. კამარა (85. დერნისი).

**გოლი:** 0:1 ჟ. მარვო (43)

**გაძევება:** ბოკალი (63), მანჟანი (84)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(5)-11(2); **ჯარიმა:** 17-18; **კუთხური:** 6-1; **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 22 688

**სტ. ეტიენი–კაენი 1:1**

**სტ. ეტიენი:** ჟანო - ებონდო, მარშალი, მონსორო, ნერი - ბატლე (79. საადი), ლანდრინი (66. ნდავი), მატუიდი - საკო, პაიე, რივიერი.

**კაენი:** ტებო - სორბონი, ლესა, პორტო, ტაფორო - მარკი, სეუბი, მოლო (79. ნივე), პამუმა (74. იატაბარე) - კ. ტრაორე, ელ არაბი.

**გოლები:** 0:1 ელ არაბი (39), 1:1 რივიერი (82)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 26(5)-7(2); **ჯარიმა:** 14-16; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 31 615

**სოშო–ტულუზი 1:3**

**სოშო:** დრეიერი - ფატი, პერგუა, ანინი (83. ტულასნი), ბრეშე, სოგე - მარტინი, მორის-ბელაი (69. ნოგეირა), ბუდებუზი - იდეიე, მაიგა (78. ბუტინი).

**ტულუზი:** ვალვერდე - ჟუნინო, ჩეტო, სონგრი, ტაბანუ - დიდო, დევო, კაპუე, მანსარე (87. სისოკო), მაჩადო - ბრეტენი.

**გოლები:** 0:1 სონგრი (73), 0:2 ჩეტო (80), 0:3 სონგრი (89), 1:3 ტულასნი (90)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 8(4)-12(8); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 1-9; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 11 198

**არლი–ლიონი 1:1**

**არლი:** მერვილი - ლორენი, პავონი, ბაკარი, ჟურმანი - პიოსელი, ბენ იდირი, ბუაზა (63. ხარისტეასი), აიასი - მერიემი (22. პსაუმი), ჯაჯეჯე (70. ნდიაიე).

**ლიონი:** ლორისი - რევეილერი, კრისი, დიაკატე, სისოხო (57. ლაკაზეტი) - კალსტრომი (46. გომისი), მაკუნი - ბრიანი, ბასტოსი, გურკუფი (46. პიანიჩი) - ლოპესი.

**გოლები:** 1:0 ჯაჯეჯე (36), 1:1 ბრიანი (46)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 8(2)-10(5); **ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 2-6; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 11 457

**პსჟ–ოსერი 2:3**

**პსჟ:** ბეტე - ჟალე, არმანი, სახო, ტიენე - მაკელელე, შანტომი (78. ბოდმერი) - ერდინგი, ნენე, ჟიული (73. ლუინდულა) - ჰორო (59. სესენიონი).

**ოსერი:** სორინი - პენგბარტი, კულიბალი, მინიო, გრიხტინგი - ნდინგა, პედრეტი - კონკუტი, ბირსა (80. ბერტო), ოლიე - კერსია (81. შაფნი).

**გოლები:** 1:0 ნენე (1), 1:1 მინიო (4), 1:2 კონკუტი (11), 1:3 კერსია (24), 2:3 ნენე (68-პენ)

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 14(7)-8(4); **ჯარიმა:** 19-14; **კუთხური:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 25 000

**ლილი–მარსელი 1:3**

**ლილი:** ლანდრო - დებუში, რამი, შეჯუ, ბერია - მავუბა, კაბაიე (84. ჟეიე), ბალმონი (74. ობრანიაკი) - ჟერვინიო, სოვი - პაზარდი (84. ლინგი).

**მარსელი:** მანდანდა - ასპილიკუეტა (75. აბრიელი), დიავარა, მბია, ჰაინცე - კაბორე, აიუ (67. ბენუა შეირუ), ლ. გონსალესი - რემი, ჟინიაკი (90. ბრანდაო) - ვალბუენა.

**გოლები:** 1:0 კაბაიე (26), 1:1 რემი (53), 1:2 ლ. გონსალესი (71), 1:0 რემი (80)

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 14(7)-9(7); **ჯარიმა:** 15-19; **კუთხური:** 7-4; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 17 305

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რენი | 10 | 5 | 4 | 1 | 12-5 | 19 |
| 2. მარსელი | 10 | 5 | 3 | 2 | 18-11 | 18 |
| 3. სტ. ეტიენი | 10 | 5 | 3 | 2 | 15-10 | 18 |
| 4. ბრესტი | 10 | 5 | 3 | 2 | 9-4 | 18 |
| 5. ტულუზი | 10 | 5 | 2 | 3 | 13-10 | 17 |
| 6. მონპელიე | 10 | 5 | 2 | 3 | 10-9 | 17 |
| 7. პსჟ | 10 | 4 | 3 | 3 | 15-9 | 15 |
| 8. ლილი | 10 | 3 | 5 | 2 | 13-11 | 14 |
| 9. ბორდო | 10 | 4 | 2 | 4 | 9-9 | 14 |
| 10. კაენი | 10 | 3 | 5 | 2 | 9-9 | 14 |
| 11. სოშო | 10 | 4 | 1 | 5 | 17-14 | 13 |
| 12. ვალენსიენი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 13. ნიცა | 10 | 3 | 4 | 3 | 9-12 | 13 |
| 14. ლიონი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-13 | 12 |
| 15. ოსერი | 10 | 2 | 5 | 3 | 14-13 | 11 |
| 16. ლორიენი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-11 | 11 |
| 17. ნანსი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-16 | 11 |
| 18. მონაკო | 10 | 1 | 6 | 3 | 7-9 | 9 |
| 19. ლანსი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-17 | 9 |
| 20. არლი | 10 | 0 | 2 | 8 | 4-21 | 2 |

## შოტლანდია. პრემიერლიგა. IX ტური

# ძველი ფირმის ახალი ხალხი და ამბები

სკოტთა პრემიერლიგის ამბავი მოგეხსენებათ: ორი გუნდი სხვებზე ერთი თავით მაღლა დგას - „რეინჯერსი" და „სელტიკი". ყველაფერი მათ შორის წყდება, ჰოდა გუშინდელი ტურიც სწორედ ამით გახლდათ საინტერესო. ამრიგად, შოტლანდიაში „ოლდ ფირმ დერბის" დღე იყო, ანუ ერთმანეთს გლაზგოს გუნდები ხვდებოდნენ. მასპინძელი „სელტიკი" იყო, მაგრამ ვაგლახ, **ნილ ლენონის** გუნდს 61 ათასი გულშემატკივრის ცნობილმა შოტლანდიურმა ღრიანცელმა ვერ უშველა - 3:1, ასე გაიმარჯვა ჩემპიონმა „რეინჯერსმა" და ცხრილში ორხელისუფლებიანობა დაირღვა.

არადა, ანგარიში თავიდან მასპინძლებმა გახსნეს, **გერი ჰუპერმა** „რეინჯერსს" პირველი ტაიმის მიწურულს, მსაჯის ნამატებულ წუთებში გაუტანა. მეორე ნახევრის დასაწყისში ჩემპიონს გაუმართლა, **გლენ ლოვენსმა** ბურთი საკუთარ კარში შეაგდო და წონასწორობა ასე აღდგა. ამის შემდეგ კი დადგა „სელტიკის" ყოფილი მოთამაშის **კენი მილერის** დრო - ფორვარდმა ორი გოლი გაიტანა (ერთი პენალტით) და გარდა იმისა, რომ თავისი გუნდის გამარჯვებას ბეჭედი დაუსვა, ბომბარდირთა დავაში 13 გოლით დაწინაურდა.

ახლა ასეა: „რეინჯერსი" კვლავ ასპროცენტიანი შედეგით მიდის - უკვე ცხრა თამაშიდან ცხრა აქვს მოგებული, „სელტიკს" კი ხელი მოეცარა - შოტლანდიის პრემიერლიგაში მარტის მერე არ წაუგია, მაგრამ... ყველაფერს აქვს დასასრული.

ამ შეხვედრაში იყვნენ ფეხბურთელები, რომელთაც პირველად გაიარეს „ოლდ ფირმის" ცეცხლში. თავიდან ასეთები მხოლოდ „სელტიკმა" გამოაჩინა: **ფრეიზერ ფოსტერი, ემილიო ისაგირე, დანიელ მაისტოროვიჩი, ჯო ლედლი, ენტონი სტოუკსი** და ზემოხსენებული გოლის ავტორი ჰუპერი, რომელთაც ცოტა ხნის შემდეგ **ეფრაინ ხუარესიც** შეემატა, შემდეგ კი საქმეში დებიუტანტები „რეინჯერსმაც" ჩართო - **ვლადიმირ ვეისი** და **ჯეიმს ბიტი**. „ოლდ ფირმ დერბის" პირველად ემსახურებოდა მსაჯი **უილი კოლუმიც**, რომელსაც პირველ ხუთ წუთში ყვითელი ბარათი ორჯერ ამოიღო ჯიბიდან - ენტონი სტოუკსმა და **ლი მაკლახმა** დაუნდობლად მიარტყეს ერთმანეთს და ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა.

ამ შეხვედრაში იყო ფრიად დასამახსოვრებელი მომენტიც: **სტივენ უიტეკერის** ძლიერმა დარტყმამ „სელტიკის" კარის ძელი შეაზანზარა, ამას მოყოლებული შეტევისას კი მეკარე ფოსტერმა რეინჯერსელი **სტივენ დევისის** დარტყმული მოიგერია.

შეხვედრის სხვა ეპიზოდების სიტყვიერი აღწერით თავს აღარ შეგაწყენთ, რადგან ეჭვი არ არის, ყველაფერს საკუთარი თვალით სხვადასხვა არხზე დატრიალებულ ტელემიმოხილვებში ნახავთ. ერთი სიტყვით, შოტლანდიის პრემიერლიგაში „რეინჯერსის" უპირატესობა გამოიკვეთა, დანარჩენი კი ვნახოთ: დაკარგავენ გლაზგოს გუნდები სხვა გუნდებთან ქულებს? თუ არა და, მთავარ კითხვას შემდეგი პასუხი 2 იანვარს „აიბროქსზე" გაეცემა - შემდეგი „ოლდ ფირმ დერბი" იქ არის!

**ილია ბაბუნაშვილი**

**სელტიკი–რეინჯერსი 1:3**

**გოლები:** 1:0 ჰუპერი (45), 1:1 ლოვენსი (49 ს.კ.), 1:2 მილერი (55), 1:3 მილერი (67-პენ)

**აბერდინი–ჰიბერნიანი 4:2**

**გოლები:** 1:0 მეგუაირი (18), 2:0 ვერნონი (30), 3:0 ვერნონი (50), 4:0 ჰერტლი (61-პენ), 4:1 ნიში (63), 4:2 ბამბა (90)

**ჰემილტონი–სტ. ჯონსტონი 1:2**

**გოლები:** 0:1 პერკინი (19), 1:1 მენსინგი (68-პენ), 1:2 გრეინჯერი (86)

**ჰართსი–სტ. მირენი 3:0**

**გოლები:** 1:0 სკაჩელი (2), 2:0 სკაჩელი (24), 3:0 სკაჩელი (90)

**კილმარნოკი–ინვერნესი 1:2**

**გოლები:** 0:1 რუნი (42-პენ), ჰეიესი (66), 1:2 მიგელი (74)

**მოზერუელი–დანდი 2:1**

**გოლები:** სივერინი (1-საკ. კარში), 1:1 გუდვილი (50-პენ), 2:1 დოლინი (75-საკ. კარში)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეინჯერსი | 9 | 9 | 0 | 0 | 25-8 | 27 |
| 2. სელტიკი | 9 | 8 | 0 | 1 | 19-7 | 24 |
| 3. მოზერუელი | 9 | 5 | 1 | 3 | 14-11 | 16 |
| 4. ჰართსი | 9 | 4 | 2 | 3 | 14-10 | 14 |
| 5. ინვერნესი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-9 | 14 |
| 6. სტ. ჯონსტონი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-10 | 11 |
| 7. დანდი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-16 | 11 |
| 8. აბერდინი | 9 | 3 | 1 | 5 | 13-13 | 10 |
| 9. ჰიბერნიანი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-17 | 8 |
| 10. კილმარნოკი | 9 | 2 | 1 | 6 | 10-14 | 7 |
| 11. ჰემილტონი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-20 | 6 |
| 12. სტ. მირენი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-19 | 5 |

**ბომბარდირი:** 13 - მილერი (რეინჯერსი)



დღეს რეინჯერსი უფრო ძლიერია

## ბელგია. იუპილერ ლიგა. XII ტური

**კორტრიიკი–გენკი 1:0**

**გოლი:** 1:0 როსინი (48)

**სერკლი–ეუპენი 2:1**

**გოლები:** 1:0 ოვუსუ (51), 1:1 მილიჩევიჩი (70), 2:1 რეინალდო (78)

**მეხელენი–ბეერსხოტი 5:1**

**გოლები:** 1:0 ჟორიუსი (31), 2:0 ჟოდენი (58), 3:0 ჟორიუსი (73. პენ), 4:0 ბენტეკე (79), 4:1 ნეგაო (85. პენ), 5:1 ბენტეკე (86)

**გაძევება:** გუსტოვიჩი (84, ბეერსხოტი)

**ლიერსი–ვარეგემი 0:0**

**გაძევება:** ვანდოორენი (83. ლიერსი)

**სტ. ტრუიდენი–შარლერუა 3:2**

**გოლები:** 1:0 რიმენანტსი (41), 2:0 სიდიბე (66), 3:0 სიდიბე (72), 3:1 აარაბი (90), 3:2 ლოსადა (90)

**გაძევება:** ვაგემაკერსი (74. სენტ ტრუიდენი)

**სტანდარდი–გენტი 2:1**

**გოლები:** 1:0 ჩიტე (44), 2:0 გონსალესი (47), 2:1 კულუბალი (83)

**გაძევება:** ტიისი (55, გენტი)

**ანდერლეხტი–ვესტერლო 2:0**

**გოლები:** 1:0 ლუკაკუ (34), 2:0 მრავაცი (79-საკ. კარში)

**ლოკერენი–ბრიუგე 1:0**

**გოლი:** 1:0 ტარაველი (40)

**გაძევება:** ოჯიჯა-ოფოე (85. ბრიუგე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გენკი | 12 | 9 | 2 | 1 | 35-11 | 29 |
| 2. ანდერლეხტი | 12 | 7 | 3 | 2 | 25-8 | 24 |
| 3. სტანდარდი | 12 | 7 | 2 | 3 | 24-15 | 23 |
| 4. გენტი | 12 | 7 | 1 | 4 | 23-19 | 22 |
| 5. მეხელენი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-14 | 22 |
| 6. სერკლი | 12 | 6 | 4 | 2 | 17-15 | 22 |
| 7. ლოკერენი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-17 | 21 |
| 8. ბრიუგე | 12 | 6 | 1 | 5 | 26-17 | 19 |
| 9. კორტრიიკი | 12 | 6 | 1 | 5 | 13-13 | 19 |
| 10. ვესტერლო | 12 | 4 | 3 | 5 | 12-14 | 15 |
| 11. ვარეგემი | 12 | 2 | 6 | 4 | 17-19 | 12 |
| 12. ბეერსხოტი | 12 | 3 | [illegible] | 6 | 10-19 | 12 |
| 13. სტ. ტრუიდენი | 12 | 3 | 1 | 8 | 9-26 | 10 |
| 14. ლიერსი | 12 | 1 | 4 | 7 | 8-19 | 7 |
| 15. შარლერუა | 12 | 1 | 3 | 8 | 9-24 | 6 |
| 16. ეუპენი | 12 | 1 | 1 | 10 | 11-24 | 4 |



# ...რუნი კი დუბაიში ნებივრობდა

შაბათის შეხვედრებიდან, უპირველეს ყოვლისა, მოდი, „ჩელსის" ამბავი მოვიკითხოთ. დასავლეთლონდონელებმა „ვულვერჰემპტონს" მოუგეს 2:0. გოლები **ფლორან მალუდამ** და შეცვლაზე შესულმა **სალომონ კალუმ** გაიტანეს.

მალუდას ასისტენტობა რუსმა **იური ჟირკოვმა** გაუწია. ამის შემდეგ, სტუმრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე შესაძლებლობა შექმნეს, მაგრამ საბოლოოდ გოლი მაინც მათ კარში შევარდა - **მიკაელ ესიენის** პასით. კალუმ თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე შეხვედრას წერტილი დაუსვა. ერთი სიტყვით, „ლურჯები" კვლავ ლიდერობენ პრემიერლიგის ცხრილს, ხოლო „ვულვზს" ვერა და ვერ მიუღწევია ამ ჩემპიონატში თავისი პირველი გამარჯვებისთვის.

მატჩის შემდეგ „ჩელსის" მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმ** განაცხადა: *„რთული მატჩი გამოვიდა, რადგან ჩვენ რომ გვჩვევია, ისე კარგად ვერ ვითამაშეთ. რასაკვირველია, ქულებს რომ ვაგროვებთ, ძალიან კარგია, მაგრამ თავის დამშვიდება არ შეიძლება, რადგან ჯერ ადრეა. სეზონი კარგად დავიწყეთ, მაგრამ აუცილებლად დაგვიდგება რთული მომენტიც და ჩვენ ამ მომენტს მზად უნდა შევხვდეთ".*

დასავლეთლონდონელთა გასახარად, ამ შეხვედრაში მათ დაუბრუნდათ თავდასხმის ლიდერი **დიდიე დროგბა**, რომელმაც წინა ორი თამაში გრიპის გამო გამოსტოვა. ნაავადმყოფარი დროგბა, რასაკვირველია, ჩვეულებრივ ფორმაში ვერ იქნებოდა, რაც ანჩელოტიმ სხვებზე უკეთ დაინახა:

*„დროგბა ბურთს ხშირად კარგავდა. დიახ, ის კარგად ვერ თამაშობდა, მაგრამ ავადმყოფობის შემდეგ ფორმისა და გუნდში ადგილის დასაბრუნებლად ამ შეხვედრაში მონაწილეობა სჭირდებოდა".*

ისე კი, თუ დაბრუნებაზეა ლაპარაკი, დროგბაზე უწინ **ჟოზე ბოსინგვას** დაბრუნება უნდა გვეხსენებინა. ის მუხლის ტკივილს 13 თვის განმავლობაში მკურნალობდა. ანჩელოტი პორტუგალიელით ძალიან კმაყოფილი დარჩა. მწვრთნელის თქმით, ის „ჩელსის" მომავალში ძალიან გამოადგება, რადგან იმ მცველთა კატეგორიას განეკუთვნება, რომლებიც აქტიურად უტევენ კიდეც.

„ტოტენჰემ ჰოთსპურმა" „ევერტონს" უმასპინძლა და ლონდონელების გუნდი ამ ჩემპიონატში უკვე მერამდენედ იხსნა გასულ ზაფხულს ნაყიდმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა**. მის გარეშე „დეზები" ამჯერად „ევერტონთან" მარცხდებოდნენ მშობლიურ „უაით ჰართ ლეინზე".

ჰოლანდიელი ჩემპიონთა ლიგაში „ინტერთან" უხვგოლიან შეხვედრაში (მილანელებმა მოიგეს 4:3) დისკვალიფიცირებული გახლდათ, თუმცა აგერ, პრემიერლიგაში მოედანს დაუბრუნდა და... „დეზების" შემადგენლობაში თავის მეხუთე თამაშში მეხუთე გოლი გაიტანა. მისმა ზუსტმა დარტყმამ **ლეიტონ ბაინესის** უზადოდ შესრულებული საჯარიმო გაქვითა. ცნობისათვის: ბაინესს მთელი 14 თვე არ გაეტანა. და კიდევ, ამ შეხვედრაზე ლაპარაკისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ **პიტერ კრაუჩს** რამდენჯერმე შეეძლო გოლის შეგდება და რომ მოეხერხებინა, „სფურზი" პრემიერლიგის მეხუთე გამარჯვებას მოიპოვებდა და ამ ხუთი მოგებიდან ოთხში ჩამორჩენა ექნებოდა შემოტრიალებული. რასაკვირველია, მოვლენებს კვლავ დაასვა თავისი დაღი იმან, რომ „ტოტენჰემი" „ევერტონთან" შეხვედრამდე მხოლოდ 24 საათით ადრე დაბრუნდა მილანიდან ლონდონში.

თუმცა, ნაკლოვანებების მიუხედავად, „ტოტენჰემ ჰოთსპურის" მწვრთნელმა **ჰარი რედნაპმა** თავისი გუნდი შეაქო: *„ევერტონთან იოლი შეხვედრა არ არსებობს. ჩვენ მონინაალმდეგეზე მეტი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ, ხომ იცით, ჩემპიონთა ლიგის გამო მძიმე კვირა გვქონდა და ამ კვირის ბოლოს ყველაფერი ისე არ გამოვიდა, როგორც გვინდოდა. ფეხბურთელებს ვერაფერში დავადანაშაულებ. ჩვენ დღეს რაც შეგვეძლო, ვიბრძოლეთ. კვლავ ვაგებდით და არ წავაგეთ, რაც ბიჭების ხასიათზე მიუთითებს".*

თავისი ბიჭების ბრძოლისუნარიანობას აქებდა „ევერტონის" თავკაცი **დევიდ მოიესიც**. ლივერპულის გუნდმა სეზონი, მოგეხსენებათ, მძიმედ დაიწყო, მაგრამ თანდათანობით გამოასწორა და აგერ, უკვე ოთხი თამაშია ალარ წაუგია.

ახლა კვირა დღის შესახებ: „მანჩესტერ იუნაიტედმა" სტუმრად, „ბრიტანია სთედიუმზე" „სტოკი" დაამარცხა (2:1) და ორივე გოლი მექსიკელმა **ხავიერ ერნანდესმა** გაიტანა. ამ შეხვედრაში „იუნაიტედს" არ ჰყავდა **უეინ რუნი**, რომლის გახმაურებული „მანჩესტერული კონფლიქტი" იმით დამთავრდა, რომ რუნიმ კლუბთან ახალი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც კვირაში 250 ათას ფუნტს მიიღებს. ამის შემდეგ მან ფეხი დაჰკრა და 25-ე დღეობის საზეიმოდ მეუღლესთან ერთად დუბაიში გაემგზავრა.

და რა ხდებოდა „ბრიტანია სთედიუმზე"? რა და, მართალია ერნანდესმა ანგარიში გახსნა, მაგრამ სტოკელთა თურქმა ვარსკვლავმა **თუნჯაიმ** თამაშის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ანგარიში გაქვითა და... ისევ ერნანდესი რომ არა, მანჩესტერელთა ეს სტუმრობა ძალიან პროზაულად დასრულდებოდა. მატჩის შემდეგ ერნანდესმა თქვა:

*„შედეგით ძალიან კმაყოფილი ვართ. „სტოკის" სტილის შესახებ ყველაფერი ვიცოდით და ჩვენი მოქმედებები შესაბამისად დავგეგმეთ. მე ძალიან მინდა მანჩესტერში ფეხი მოვიკიდო და „იუნაიტედის" შემადგენლობაში წლების განმავლობაში ბევრი ჯილდო მოვიპოვო. ამიტომ დაუზარლად ვმუშაობ. ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი თანაგუნდელები და კლუბის სხვა თანამშრომლები მენდობიან. ეს მსოფლიოს უდიდეს გუნდში დამკვიდრებაში ძლიერ დამეხმარება. დღეს ანგარიში მართლა ლამაზად გავხსენი. არ მახსოვს ასეთი რამ ვარჯიშზე გამეკეთებინოს. ყველაფერი სიტუაციამ მოიტანა, თუმცა, ამ დარტყმის სილამაზეზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო".*

„ლივერპულისა" და „ბლექბერნის" შეხვედრაში კი, ყურადსაღები გარდა თავად მერსისაიდელთა გამარჯვებისა, ის იყო, რომ ექვსმატჩიანი დუმილის მერე **ფერნანდო ტორესმა** როგორც იქნა გოლი გაიტანა და თან ეს გოლი, გამარჯვებისა აღმოჩნდა. ასე დასრულდა ყველა შეჯიბრებაში ერთად „წითლების" შვიდმატჩიანი ხელმოცარვის სერია, რომელმაც, მართალია, „ლივერპული" პრემიერლიგის ბოლო სამეულიდან ვერ აწია, მაგრამ გუნდის ქომაგებისთვის გულზე მალამოდ კი იყო.

დაბოლოს, ტურის ყველაზე „ხმაურიანი" შეხვედრა „მანჩესტერ სიტისა" და „არსენალს" შორის, რომელიც ისტლენდზე გაიმართა, მაგრამ ჩრდილოლონდონელების გამარჯვებით დასრულდა - 3:0. რასაკვირველია, „მეთოფეთა" ასეთ შთამბეჭდავ გამარჯვებაში დიდი როლი იმან ითამაშა, რომ მასპინძლებს 19 წლის ბელგიელი **დედრიკ ბოიატა** მეხუთე წუთზევე გაუგდეს. მიზეზი: **სესკ ფაბრეგასის** პასით **მარუან შამახი** მეკარესთან პირისპირ შერბოდა და ბოიატამ ერთადერთი, რაც მოახერხა, ბოლო იმედის მოსპობა გახლდათ.

შეხვედრაში საინტერესო იყო ისიც, რომ მანჩესტერელთა მეკარე **ჯო ჰარტმა** ფაბრეგასს პენალტი აუღო, მაგრამ ამას მანჩესტერელთა მხრიდან ფსიქოლოგიური ამოფრქვევა არ მოჰყოლია...

კიდევ ასეთ რამეზე გვინდა თქვენი ყურადღების შეჩერება: თამაშის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა და „არსენალი" კუთხურის ჩასაწოდებლად ემზადებოდა, ტრიბუნიდან რაღაც საგანი ისროლეს და თამაში მცირე ხნით შეწყდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულზე „ინტერიდან" 23 მილიონ ფუნტად ნაყიდ **მარიო ბალოტელის** ბოლოს ჰქონდა საგოლე მომენტი, მაგრამ მეკარე **ლუკაშ ფაბიანსკიმ** აუღო.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

## მომდევნო ტური

30 ოქტომბერი. **არსენალი-ვესტ ჰემი, ბლექბერნი-ჩელსი, ევერტონი-სტოკი, ფულჰემი-უიგანი, ვულვზი-მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნაიტედი-ტოტენჰემი.** 31 ოქტომბერი. **ასტონ ვილა-ბირმინგემი, ნიუკასლი-სანდერლენდი, ბოლტონი-ლივერპული.** 1 ნოემბერი. **ბლექპული-ვესტ ბრომიჩი.**

## ტოტენჰემი-ევერტონი 1:1

**ტოტენჰემი:** გომეში, ჰატონი, გალასი, ქაბული, ასუ-ეკოტო, ლენონი (69. პავლიუჩენკო), პალასიოსი (45. სანდრო), მოდრიჩი, ბეილი, ვან დერ ვაარტი, კრაუჩი.

**ევერტონი:** ჰოვარდი, ფ. ნევილი, იაგიელკა, დისტინი, ბეინესი, კოულმენი (84. ბექფორდი), ჰეიტინგა (78. ჰიბერტი), პიენაარი, ბელიალეტდინოვი, ტ. კეჰილი, იაკუბუ (63. საა).

**გოლები:** 0:1 ბაინესი (17), 1:1 ვან დერ ვაარტი (20)

**გაფრთხილება:** 3-1; **კარში დარტყმა:** 14-7 (4-2); **ჯარიმა:** 15-14; **კუთხური:** 4-4; **თამაშგარე:** 0-2; **ბურთის ფლობა:** 53%-47%.

**მაყურებელი:** 35 967

## ბირმინგემი-ბლექპული 2:0

**ბირმინგემი:** ფოსტერი, კარი, რ. ჯონსონი, დანი, რიჯუელი, ლარსონი, ბ. ფერგიუსონი, ჰლები (74. მერფი), ფეჰეი (66. ბოიერი), ჟიგიჩი, ო'კონორი (83. დერბიშირი)

**ბლექპული:** გილქსი, ერდლი, კეჩკერტი, ივეტი, კრეინი, ტეილორ-ფლეტჩერი, ჩ. ადამი (67. საუთერნი), ვუგანი, ჰერევუდი (67. ფილიპსი), დი ჯეი კემპბელი, ვერნი (74. ორმეროდი)

**გოლები:** 1:0 რიჯუელი (36), 2:0 ჟიგიჩი (56)

**გაფრთხილება:** 1-1; **კარში დარტყმა:** 23-20 (4-6); **ჯარიმა:** 8-16; **კუთხური:** 9-10; **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 26 850

## ჩელსი-ვულვზი 2:0

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა (79. ფერეირა), ივანოვიჩი, ტერი, ე. კოული, ესიენი, მიკელი, ჟირკოვი (82. მაკეხრანი), მალუდა (72. კალუ), ანელკა, დროგბა.

**ვულვზი:** ჰანემანი, ფოული, სტირმენი, ბერა, უორდი, ჯევისი (87. ფლეტჩერი), მილიაში, დ. ჯონსი, ვან დამი (45. ჰანტი), ედუარდსი, დოილი (87. ებანკს-ბლეიკი)

**გოლები:** 1:0 მალუდა (23), 2:0 კალუ (81)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 19-14 (5-10); **ჯარიმა:** 10-9; **კუთხური:** 8-8; **თამაშგარე:** 2-1; **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 41 752

## სანდერლენდი-ასტონ ვილა 1:0

**სანდერლენდი:** მინოლეტი, ონუოჰა, ტერნერი, ბრემბლი, ბერდსლი, ალ მუჰამადი (90. ზენდენი), კეტერმოლი, ჰენდერსონი, უილბეკი (66. გიანი), მოლბრანკი (82. მენსა), ბენტი

**ასტონ ვილა:** ფრიდელი, ბეიე, კოლინზი, რ. დანი, უორნოკი, დაუნინგი, რიო-კოკერი, ს. პეტროვი (40. სიდუელი), ე. იანგი, აირლენდი (55. ოლბრაიტონი), ჰესკი

**გოლები:** 1:0 რ. დანი (25-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** 1-2; **კარში დარტყმა:** 14-13 (1-3); **ჯარიმა:** 12-12; **კუთხური:** 4-11; **თამაშგარე:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 41 506

## ვესტ ბრომვიჩი-ფულჰემი 2:1

**ვესტ ბრომვიჩი:** კერსონი, ხარა, ტამასი, ოლსონი (55. იბანიესი), შორი, შარნერი, მულუმბუ, ბრანტი, ტომასი (87. ტჩოი), მორისონი, ფორჩუნი (54. ბედნარი)

**ფულჰემი:** შვარცერი, კელი, ჰიუზი, ჰანგელანდი, სალსიდო, ბეირდი (73. რიისე), გრინინგი, დემბელე, დემპსი, გერა, კამარა (59. ე. ჯონსონი)

**გოლები:** 0:1 კარსონი (9-საკ. კარში), 1:1 მულუმბუ (17), 2:1 ფორჩუნი (40)

**გაფრთხილება:** 0-0; **კარში დარტყმა:** 15-9 (6-1); **ჯარიმა:** 4-11; **კუთხური:** 7-5; **თამაშგარე:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 25 625

## უიგანი-ბოლტონი 1:1

**უიგანი:** კირკლენდი, ბოისი (52. სტამი), კოლდუელი, ალკარასი, ფიგეროა, გომესი (83. დიამე), მაკკარტი (30. დიამე), ტომასი, ნ'ზოგბია, დი სანტო, როდალეგა

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სტეინსონი, გ. კეჰილი, ნაითი, რობინსონი, ლი (65. როდრიგო), მუამბა, ჰოლდენი, მ. პეტროვი (65. ტეილორი), კ. დევისი, ელმანდერი

**გოლები:** 1:0 როდალეგა (59), 1:1 ელმანდერი (66)

**გაფრთხილება:** 0-2; **კარში დარტყმა:** 17-11 (6-2); **ჯარიმა:** 8-14; **კუთხური:** 5-0; **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 17 100

## ვესტ ჰემი-ნიუკასლი 1:2

**ვესტ ჰემი:** გრინი, იაკობსენი, და კოსტა, აპსონი (53. ილუნგა), გებიდონი, ბეჰრამი (76. ბარერა), პარკერი, ნობლი, პიქვიონი (68. მაკკარტი), კ. კოული, ობინა.

**ნიუკასლი:** კრული, სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი, სანჩესი, ბარტონი, ნოლანი, ტიოტე, ხონასი, ამეობი, ქეროლი.

**გოლები:** 1:0 კ. კოული (12), 1:1 ნოლანი (23), 1:2 ქეროლი (69)

**გაფრთხილება:** 0-0; **კარში დარტყმა:** 11-15 (1-5); **ჯარიმა:** 13-6; **კუთხური:** 2-6; **თამაშგარე:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 34 486

## სტოკი-მანჩესტერ იუნ 1:2

**სტოკი:** სიორენსენი, ჰუთი, შოუკროსი, ფაიე, კოლინზი (57. პიგინბოთემი), ეზერინგტონი, უილსონი, დილეპი, პენანტი (79. გუდიონსენი), უოლტერსი (66. თუნჩაი), კ. ჯონსი.

**მანჩესტერ იუნაიტედი:** ვან დერ სარი, გ. ნევილი (45. ბრაუნი), რ. ფერდინანდი, ვიდიჩი, ო'ში (70. კერიკი), ნანი, ფლეტჩერი, სქოულზი (87. ობერტანი), ევრა, ერნანდესი, ბერბატოვი.

**გოლები:** 0:1 ერნანდესი (27), 1:1 თუნჩაი (81), 1:2 ერნანდესი (86)

**გაფრთხილება:** 2-2; **კარში დარტყმა:** 11-14 (1-3); **ჯარიმა:** 7-14; **კუთხური:** 5-6; **თამაშგარე:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 27 372

## ლივერპული-ბლექბერნი 2:1

**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, კირიაკოსი, შკრტელი, კონჩესკი, მაქსი როდრიგესი, მეირელეში (89. შეელეი), ლუკასი, ჯ. კოული (79. ნგოგი), ჯერარდი, ტორესი.

**ბლექბერნი:** რობინსონი, სალგადო, ფ. ჯონსი, ჟივე, ოლსონი, ემერტონი, ნზონზი (33. გრელა), პედერსენი, დანი (68. პოილეტი), ე.ჰ. დიუფი, კალინიჩი (45. მვარუვარი).

**გოლები:** 1:0 კირიაკოსი (48), 1:1 კარაგერი (51-საკ. კარში), 2:1 ტორესი (53)

**გაფრთხილება:** 2-3; **კარში დარტყმა:** 20-6 (8-1); **ჯარიმა:** 18-13; **კუთხური:** 15-4; **თამაშგარე:** 0-1; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 43 328

## მანჩესტ. სიტი-არსენალი 0:3

**მანჩესტ. სიტი:** ჰარტსი, რიჩარდსი, ბოიატა, კომპანი, ჯ. ბოატენგი, სილვა, დე იონგი, ბერი (72. ბალოტელი), მილნერი, ტურე (45. ბრიჯი), ტევესი (53. ადებაიორი).

**არსენალი:** ფაბიანსკი, საინა, სკილაჩი, ჯურუ, კლიში, ნასრი, სონგი, დენილსონი, არშავინი (70. როსიცკი), ფაბრეგასი (35. უოლკოტი), შამახი (84. ბენდტნერი)

**გოლები:** 0:1 ნასრი (20), 0:2 სონგი (66), 0:3 ბენდტნერი (88)

*მე-40 წუთზე ფაბრეგასმა ვერ გაიტანა პენალტი (მიზას მიღმა)*

**გაძევება:** ბოიატა (5. მანჩესტერ სიტი)

**გაფრთხილება:** 2-4; **კარში დარტყმა:** 10-15 (4-7); **ჯარიმა:** 11-12; **კუთხური:** 6-7; **თამაშგარე:** 3-2; **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 47 393

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 9 | 7 | 1 | 1 | 25-2 | 22 |
| 2. მანჩესტერი | 9 | 4 | 5 | 0 | 20-12 | 17 |
| 3. სიტი | 9 | 5 | 2 | 2 | 12-8 | 17 |
| 4. არსენალი | 9 | 5 | 2 | 2 | 21-10 | 17 |
| 5. ტოტენჰემი | 9 | 4 | 3 | 2 | 11-8 | 15 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-15 | 15 |
| 7. სანდერლენდი | 9 | 2 | 6 | 1 | 8-7 | 12 |
| 8. ბოლტონი | 9 | 2 | 6 | 1 | 13-13 | 12 |
| 9. ნიუკასლი | 9 | 3 | 2 | 4 | 14-13 | 11 |
| 10. ასტონ ვილა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-13 | 11 |
| 11. ევერტონი | 9 | 2 | 4 | 3 | 9-8 | 10 |
| 12. ბირმინგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 10-12 | 10 |
| 13. სტოკი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-13 | 10 |
| 14. ბლექპული | 9 | 3 | 1 | 5 | 13-20 | 10 |
| 15. უიგანი | 9 | 2 | 4 | 3 | 7-16 | 10 |
| 16. ფულჰემი | 9 | 1 | 6 | 2 | 10-11 | 9 |
| 17. ბლექბერნი | 9 | 2 | 3 | 4 | 8-10 | 9 |
| 18. ლივერპული | 9 | 2 | 3 | 4 | 9-14 | 9 |
| 19. ვულვზი | 9 | 1 | 3 | 5 | 8-15 | 6 |
| 20. ვესტ ჰემი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-17 | 6 |

**ბომბარდირები:** 7 - მალუდა (ჩელსი), ტევესი (მანჩესტერ სიტი); 6 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი), დროგბა (ჩელსი); 5 - ბენტი (სანდერლენდი), ქეროლი (ნიუკასლი), ელმანდერი (ბოლტონი), კალუ (ჩელსი).

## ჩემპიონშიპი

### XIII ტური

**ბრისტოლი-ქუინზ პარკი 1:1**

გოლები: 1:0 სტიდი (16), 1:1 აგიემანგი (84)

**ბარნლი-რედინგი 0:4**

გოლები: 0:1 ლონგი (8), 0:2 მაკენაფი (64), 0:3 ანტონიო (85), 0:4 ჩერჩი (90)

**ქოვენთრი-ბარნსლი 3:0**

გოლები: 1:0 მაკშეფრი (9), 2:0 ბეიკერი (86), 3:0 კლარკი (90)

**ჰალი-პორტსმუთი 1:2**

გოლები: 0:1 ნაჯენტი (45), 0:2 ჰელფორდი (47), 1:2 ბერმბი (62)

**მილუოლი-დერბი 2:0**

გოლები: 1:0 მორისონი (11), 2:0 რობინსონი (49)

**ნორვიჩი-მიდლსბრო 1:0**

გოლი: 1:0 ჯექსონი (44)

**ნოტინგემი-იფსვიჩი 2:0**

გოლები: 1:0 მაკგოლდრიკი (13), 2:0 მაკგუგანი (45)

**პრესტონი-კრ. პალასი 4:3**

გოლები: 1:0 პერკინი (13), 1:1 გერვანი (20), 2:1 პერკინი (25), 3:1 ტრისი (36), 4:1 დევიდსონი (66), 4:2 დორმენი (69), 4:3 ვუგანი (80)

**სუონსი-ლესტერი 2:0**

გოლები: 1:0 იმნესი (50), 2:0 სინკლერი (90)

**უოტფორდი-სკანთორპი 0:2**

გოლები: 0:2 ბერნი (28), 0:2 ვულფორდი (45)

**დონკასტერი-შეფილდ იუნ 2:0**

გოლები: 1:0 კოპინგერი (33), 2:0 შარპი (42)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 13 | 8 | 5 | 0 | 25-4 | 29 |
| 2. კარდიფი | 12 | 8 | 2 | 2 | 21-11 | 26 |
| 3. სუონსი | 13 | 7 | 2 | 4 | 17-12 | 23 |
| 4. ნორვიჩი | 13 | 7 | 2 | 4 | 19-15 | 23 |
| 5. უოტფორდი | 13 | 6 | 3 | 4 | 25-18 | 21 |
| 6. ქოვენთრი | 13 | 6 | 3 | 4 | 20-16 | 21 |
| 7. ბარნლი | 13 | 5 | 5 | 3 | 21-15 | 20 |
| 8. რედინგი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-11 | 19 |
| 9. მილუოლი | 13 | 5 | 4 | 4 | 18-15 | 19 |
| 10. ნოტინგემი | 13 | 4 | 7 | 2 | 15-12 | 19 |
| 11. დონკასტერი | 13 | 5 | 4 | 4 | 20-19 | 19 |
| 12. დერბი | 13 | 5 | 3 | 5 | 21-16 | 18 |
| 13. პორტსმუთი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-18 | 18 |
| 14. იფსვიჩი | 13 | 5 | 3 | 5 | 15-15 | 18 |
| 15. სკანთორპი | 13 | 5 | 2 | 6 | 17-17 | 17 |
| 16. ლიდსი | 12 | 5 | 2 | 5 | 19-21 | 17 |
| 17. ბარნსლი | 13 | 4 | 3 | 6 | 17-24 | 15 |
| 18. შეფილდ იუნ | 13 | 4 | 3 | 6 | 9-17 | 15 |
| 19. ჰალი | 13 | 3 | 4 | 6 | 9-17 | 13 |
| 20. პრესტონი | 13 | 4 | 1 | 8 | 20-29 | 13 |
| 21. ლესტერი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-27 | 12 |
| 22. მიდლსბრო | 13 | 3 | 2 | 8 | 12-22 | 11 |
| 23. კრ. პალასი | 13 | 3 | 2 | 8 | 14-25 | 11 |
| 24. ბრისტოლი | 13 | 2 | 4 | 7 | 12-23 | 10 |

**ბომბარდირები:** 8 - იუელუმო (ბარნლი), მეკი (ქუინზ პარკი); 7 - ბოთროიდი (კარდიფი), კომონსი (დერბი), მაკგუგანი (ნოტინგემი), პერკინი (პრესტონი); 6 - გრეჰემი (უოტფორდი), შარპი (დონკასტერი), სინკლერი (სუონსი), სომა (ლიდსი), სორდელი (უოტფორდი).

## პირველი ლიგა

### XIII ტური

**ბრენტფორდი- პიტერბორო 2:1, ბრაიტონი-იეოვილი 2:0, კერლისლი-ჩარლტონი 3:4, კოლჩესტერი-ნოთს ქაუნთი 2:1, ჰარტლპული-ბრისტოლი 2:2, მილტონი-ექსეტერი 1:0, პლიმუთი-ჰადერსფილდი 2:1, როჩდეილი-დაგენჰემი 3:2, შეფილდი-ბურნმუთი 1:1, საუთჰემპტონი-ოლდჰემი 2:1, სუინდონი-ლეიტონი 2:2, უოლსოლი-ტრანმერი 1:4.**

## მეორე ლიგა

### XIII ტური

**ბერნეტი-მაკლსფილდი 1:0, ბარტონი-ბრედფორდი 3:0, ბერი-საუთენდი 1:0, ჩელტენჰემი-პორტ ვეილი 0:0, ჩესტერფილდი-შრუსბერი 4:3, ქრუ-ოლდერშოტი 3:1, ჯილინგემი-თორგუეი 1:1, ჰერეფორდი-ეკრინგტონი 1:1, ლინკოლნი-სტოკპორტი 0:0, მორკეიმბი-სტივენიჯი 0:0, ოქსფორდი-ნორთჰემპტონი 3:1, როტერჰემი-უაიკომბი 3:4.**

კრიშტიანო რონალდომ პოკერი შეასრულა



# აქეთ მესი, იქით რონალდო

ესპანური პრიმერა დივიზიონის მოყვარულებს ნამდვილად უმართლებთ - მსოფლიოს ორი საუკეთესო ფეხბურთელი ამ ქვეყნის ჩემპიონატში თამაშობს და ყოველ უქმეზე ვირტუოზული თამაშით ახარებს ქომაგს. კამათი დიდ ხანს შეიძლება **ლეო მესი** სჯობს, თუ **კრიშტიანო რონალდო**, მაგრამ ფაქტია ამ ორ ფეხბურთელს დაუსწრებელი დუელიც კი აქვს ლა ლიგაში, ვინ უკეთ ითამაშებს. ამ უქმეებზე ორივემ იდეალურად ითამაშა, მესიმ „ბარსელონას" ორივე გოლი გაიტანა და ჩემპიონს 3 ქულა მოუპოვა, რონალდომ კი კარიერაში პირველად შეასრულა პოკერი.

კრიშტიანო რონალდომ საბრალო „რასინგის" კარში 4 გოლი კი გაიტანა, მაგრამ ბევრისმნახველი სტადიონის ტრიბუნები მაინც სხვა კაცის გვარსახელს გუგუნებდნენ - **ჟოზე მოურინიომ** საბოლოოდ მოიგო მადრიდელ ფანთა გულები, ხოლო „ბარსელონას" ბოსებს სერიოზული საფიქრალი გაუჩინა - ახლანდელი „რეალი" საზარლად საშიშია. მას ნებისმიერი მეტოქის გადათელვა შეუძლია, ისე როგორც შაბათს სანტანდერულ გუნდს მოექცა - 6:1 მოუგო.

ბოლო სამ ტურში „რეალმა" მეტოქეებს 16 გოლი გაუტანა! ჟოზემ გუნდის შენება დაცვიდან დაიწყო, ახლა კი მთელი ორგანიზმი გამართა. საინტერესო ისაა, რომ ამ გუნდს კიდევ შეუძლია მომატება, ამის რეზერვი „კოჭებში ეტყობა". შუა ხაზში დაცვის ფუნქციებს დიდებულად ასრულებენ **ჩაბი ალონსო** და **სამი ხედირა**, ყოველ თამაშში ეს დუეტი სულ უფრო შეთამაშებული და მონოლითურია. „რეალი" სამი შემტევი ნახევარმცველით უტევს, **მესუთ იოზილი** ბრწყინვალე გამთამაშებელია, აქეთ რონალდო და იქით პორტუგალიელზე არანაკლებ საშიში **ანხელ დი მარია**. შეტევაში კი **გონსალო იგუაინს** დაუბრუნდა გოლების გატანის იშტა. აღარ ვიცით, თუკი რჩება გუნდში **კაკას** ადგილი, როცა ეს უკანასკნელი ტრავმას მოირჩენს. ექვსივე გოლის აღწერას არ შევუდგებით, ვიტყვით, რომ ყველაზე მეტად მესუთ იოზილის გოლი მოგვეწონა, გერმანელმა საჯარიმოში უბრალოდ ბრწყინვალედ ითამაშა.

**ჟოზე მოურინიო:** „ბოლო მატჩებია კარგად ვთამაშობთ, ყველა მეტოქეს ერთიანი ძალებით ვუტევთ. უკვე ნამდვილი გუნდი ვართ. ინდივიდუალურად მაშინ გაიბრწყინებ, როცა კოლექტივი აწყობილია და ყველამ იცის, რა უნდა აკეთოს. ჩვენ ახლა კარგი დროება გვაქვს, მაგრამ არ უნდა გავჩერდეთ, ვიშრომოთ რაც შეიძლება ნაკლები შესვენებით, მით უფრო არ შეიძლება ამ გამარჯვებებით ტკბობა. ფანებს უხარიათ და გუნდშიც ამაღლებული განწყობაა, თუმცა სულ ასე როგორ იქნება, ხანდახან უფრო ნაკლები სხვაობით მოვიგებთ, ზოგჯერ ფრეს ვითამაშებთ, შეიძლება წავაგოთ კიდეც. ჩვენ ნელა, მაგრამ სტაბილურად „ვიზრდებით". დღევანდელ ჩვენ თამაშს ათბალიანი სისტემით ათიანს დავუწერ".

**კრიშტიანო რონალდო:** „პირველად გავიტანე ოთხი გოლი და ძალიან გახარებული ვარ. მინდა ჩემს თანაგუნდელებს მივულოცო ეს კარგი გამარჯვება. ლიდერები ვართ, რაც ორმაგად სასიამოვნოა. ახლა მხოლოდ ასე უნდა გავაგრძელოთ თამაში. ყოველდღე ძალიან ბევრს ვმუშაობ, რომ უკეთესად ვითამაშო. „რეალში" ყოფნა ჩემი კარიერის უდიდესი მიღწევაა".

მაგრამ არის კაცი, რომელიც არაფრით იჯერებს, რომ ეს ყველაფერი მოურინიოს დამსახურებაა. ამ კაცს კი სიტყვა ეთქმის, ის მსოფლიოს ჩემპიონატის გადამწყვეტი გოლის ავტორი **ანდრეს ინიესტაა:** „რეალმა" შარშანაც გაგვიმართა დიდი ბრძოლა. მოურინიო? არა მგონია, ის იყოს მადრიდელთა კარგი თამაშის მიზეზი". მოდი, ასე ვთქვათ, ანდრესი ურწმუნო თომა ყოფილა.

„ბარსელონა" აუტსაიდერ „სარაგოსას" ეწვია და ლეო მესის დუბლის წყალობით 2:0 მოუგო. „ლა რომარედაზე" ფაქტობრივად ცალკარა ვიხილეთ. პირველი გოლი მესიმ ტაიმის მიწურულს გაიტანა. „სარაგოსამ" თამაში 10 კაცით დაასრულა, რადგან მსაჯმა **ლეონარდო პონსიო** გააძევა.

**ხოსეპ გვარდიოლა:** *„მოხარული ვარ, რადგან ყოველთვის რთულია ჩემპიონთა ლიგის თამაშის შემდეგ ლა ლიგაში გამარჯვება. მართალია, ჯერ დავიდ ვილიას გოლები ვერ გააქვს, მაგრამ ის მუდამ მოძრაობაშია, რის წყალობითაც საგოლე შანსები გვექმნება".*

ამასობაში „ვალენსიას" სასტარტო ალმაფრენა გაუნელდა, გუნდმა ზედიზედ მეორე თამაში წააგო. ამჯერად, შინ **მიქაელ ლაუდრუპის** „მალიორკასთან" დამარცხდა - 1:2. ბალეარულმა გუნდმა „მესტალიაში" ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოიგო. მე-6 წუთზე მასპინძელთა კარში უსამართლო პენალტი დაინიშნა, **პიერ ვებო** საკუთარ ფეხებში გაიხლართა და „ვალენსიას" საჯარიმოში წაიქცა, **გონსალო კასტრომ** კი პენალტით დააწინაურა თავისიანები. 28-ე წუთზე „ვალენსიას" დაცვის ხაზი „ჩავარდა" და კასტრომ დუბლი შეასრულა. „ლამურებმა" 8 წუთში ერთი გოლი გაქვითეს, **ვისენტეს** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **რობერტო სოლდადომ** გოლად აქცია, მაგრამ **უნაი ემერის** გუნდი მეტს ვერაფერს გამორჩა.

ევროპის ლიგაში მარცხის შემდეგ „ხეტაფემ" სრული რეაბილიტაცია გაიარა საკუთარი გულშემატკივრების წინაშე - „სპორტინგი" 3:0 გაანადგურა. პირველ ტაიმში **დანიელ პარეხოს** კუთხურს **დერეკ ბოატენგის** გოლი მოჰყვა. მეორე ტაიმში „როხიბლანკოს" ფრანგმა მცველმა **გრეგორიმ** საჯარიმოში **ხუან ალბა** მოცელა და **ადრიან კოლუნგამ** პენალტით დააწინაურა თავისიანები. ანგარიშს კი წერტილი **ივან მარკანომ** დაუსვა.

ასევე უპრობლემოდ იმარჯვა „ოსასუნამ", რომელმაც შინ 3:0 „მალაგას" სძლია. უკვე მესამე წუთზე სტუმართა კარში **ხუანფრანის** წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა, რომელიც **ჯავად ნეკუნამმა** გამოიყენა. „ლოს როხილიოსის" უპირატესობა აშკარა იყო და ახლა კიდევ ერთმა ირანელმა **მასუდ შოჯაეიმ** გაიტანა, შემდეგ მასუდმა **არანდას** გაატანინა. „ალმერიას" „ერკულესთან" მატჩში ქულა შეცვლაზე შესულმა ფორვარდმა **ხოსე ულოამ** გადაურჩინა, რომელმაც მატჩის მიწურულს გაქვითა **ნელსონ ვალდესის** გოლი - 1:1.

**მაურისიო პოჩეტინოს** „ესპანიოლმა" ამჯერად შინ მოიგო, **ხესუს დატოლოსა** და **ხოსე კალეხონის** გოლებით „ლევანტე" დაამარცხა - 2:1.

„სანჩეს პისხუანზე" შვიდგოლიან და სამდუბლიან თრილერში საბოლოოდ გამარჯვებული მაინც „სევილია" გამოვიდა, ბილბაოს „ატლეტიკს" ვერც **ფერნანდო ლორენტეს** ორმა გოლმა უშველა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## მომდევნო ტური

30 ოქტომბერი. **ვალენსია-სარაგოსა, ერკულესი-რეალი, ბარსელონა-სევილია.** 31 ოქტომბერი. **დეპორტივო-ესპანიოლი, მალაგა-რეალ სოსიედადი, რასინგი-ოსასუნა, სპორტინგი-ვილიარეალი, ატლეტიკო-ალმერია, ბილბაო-ხეტაფე.** 1 ნოემბერი. **მალიორკა-ლევანტე.**

### სარაგოსა-ბარსელონა 0:2

**სარაგოსა (5-4-1):** დობლასი - დიოგო, ლანსარო, იაროშიკი, კონტინი (61. მ. პერესი), ობრადოვიჩი - ანდერი (61. ხ. ლოპესი), გაბი, პონსიო, ლაფიტა (75. ბუტაპარი) - ბრაულიო.

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დ. ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი - ინიესტა (71. ტიაგო ალკანტარა), ბუსკეტსი (86. მასკერანო), კეიტა - პედრო (74. კრკიჩი), მესი, ვილია.

**გოლები:** 0:1 მესი (42), 0:2 მესი (66)

**გაფრთხილება:** ლანსანო, გაბი, ლაფიტა, ბრაულიო - პიკე

**გაძევება:** პონზიო (47)

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 20-12; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 5-20 (4-10); **ბურთის ფლობა:** 28%-72%.

**მაყურებელი:** 25 000

### რეალი-რასინგი 6:1

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი - არბელოა, პეპე, რ. კარვალიო, მარსელო (69. პ. ლეონი) - ხედირა, ჩაბი ალონსო - რონალდო, იოზილი (63. კანალესი), დი მარია - იგუაინი (66. ბენზემა).

**რასინგი (5-4-1):** ტონიო - ფრანსისი, ენრიკე, პონსე, ტორეხონი (46. ნაუელპანი), სისმა - კენედი, დიოპი, კოლსა (67. ლასენი), მუნიტისი (55. არანა) - როზენბერგი.

**გოლები:** 1:0 იგუაინი (10), 2:0 რონალდო (15), 3:0 რონალდო (26), 4:0 რონალდო (47), 5:0 რონალდო (55-პენ), 6:0 იოზილი (63), 6:1 დიოპი (73)

**გაფრთხილება:** კანალესი, არბელოა - სისმა, არანა

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 15-13; **თამაშგარე:** 6-5; **კარში დარტყმა:** 16-13 (10-3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 80 000

### ვალენსია-მალიორკა 1:2

**ვალენსია (4-2-3-1):** მოია - სტანკევიჩიუსი (46. ბრუნო), მადურო, რ. კოშტა, ალბა - ალბელდა (69. კოსტა), ფერნანდეში - პ. ერნანდესი, ბანეგა (46. ადურისი), ვისენტე - სოლდადო.

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - რატინიო (47. პერეირა), ნუნიეში, რამისი, აიოსე - ვიქტორი, მარტი (75. პინია) - ნსუე (65. კრესპი), დე გუზმანი, კასტრო - ვებო.

**გოლები:** 0:1 კასტრო (7-პენ), 0:2 კასტრო (27), 1:2 სოლდადო (35-პენ)

**გაფრთხილება:** ალბელდა, ბანეგა, რ. კოშტა, ადურისი, სოლდადო, კოსტა - აიოსე, რატინიო, კრესპი, ნუნიეში

**კუთხური:** 11-2; **ჯარიმა:** 16-16; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 13-14 (5-6); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 45 000

### ალმერია-ერკულესი 1:1

**ალმერია (4-3-3):** დ. ალვეში - მასედო, ჯ. გარსია, აკასიეტე, ხუანმა ორტისი - მ'ბამი, ბერნარდელო (81. ხოსე ორტისი), კორონა (62. ვალერი) - პიატი, უჩე (60. ულოა), კრუსატი.

**ერკულესი (5-4-1):** კალატაიუდი - კორტესი, პასი (24. როდრიგესი), პამარო, პენია, ტ. გომეში - ვალდესი, აგილარი, რუფეტე (75. კიკო), ტომერი (68. სენდოა) - პორტილიო.

**გოლები:** 0:1 ვალდესი (37), 1:1 ულოა (83)

**გაფრთხილება:** ბერნარდელო, მ'ბამი - პენია, სერხიო, აგილარი

**კუთხური:** 7-7; **ჯარიმა:** 15-11; **თამაშგარე:** 5-2; **კარში დარტყმა:** 13-9 (8-4); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 10 000

### ესპანიოლი-ლევანტე 2:1

**ესპანიოლი (4-2-3-1):** ალვარესი - ჩიკა, ფორლინი, რუისი, დ. გარსია - დუშერი, მარკესი - ს. გარსია (63. ალვარო), ვერდუ, დატოლო (78. ხ. ლოპესი) - კალეხონი (88. ბუენა).

**ლევანტე (4-2-3-1):** რეინა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, დელ ორნო - სერხიო, ხ. ტორესი (76. პალიარდო) - ნადალი, რ. სუარესი (59. ვალდო), ხუანლუ - კაისედო (56. სტუანი).

**გოლები:** 1:0 დატოლო (12), 2:0 კალეხონი (80), 2:1 სტუანი (83)

**გაფრთხილება:** მარკესი, რუისი, დატოლო, ვერდუ, ალვარესი - ტორესი, სუარესი, დელ ორნო, ნანო, ბალესტეროსი, ვალდო

**გაძევება:** ნადალი (55)

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-12; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 14-12 (3-2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 20 000

### ხეტაფე-სპორტინგი 3:0

**ხეტაფე (4-2-3-1):** კოდინა - პინტოსი, დიასი, რაფა (76. ბორხა), მარკანო - ბოატენგი, ვ. სანჩესი - რიოსი, პარეხო (46. ალბინი), მანუ (65. მოსკერა) - კოლუნგა.

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ერნანდესი, გრეგორი, ანხელი - რივერა (74. ლანდერო), მატაბუენა - ნოვო, კარმელო, დე ლას კუევასი (59. ლ. მორანი) - სანგოი (59. ბარალი).

**გოლები:** 1:0 ბოატენგი (8), 2:0 კოლუნგა (50-პენ), 3:0 მარკანო (59)

**გაფრთხილება:** სანჩესი - გრეგორი, ანხელი

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 10-12; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 15-10 (6-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 9 000

### ოსასუნა-მალაგა 3:0

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - დამია, ლოლო, ფლანიო, მონრეალი - ნეკუნამი (86. რუპერი), პუნიალი - ხუანფრანი, სორიანო (71. ვადოცი), მასუდი - არანდა (81. ლეკიჩი).

**მალაგა (4-2-3-1):** გალატო - გამესი, სტადსგაარდი, ველინგტონი, მ. ტორესი (26. მტილიგა) - ხუანიტო, ს. სილვა (46. სება) - ელიზეუ, ფერნანდო, ქუინსი - ბა (60. ედინიო).

**გოლები:** 1:0 ნეკუნამი (3), 2:0 მასუდი (37), 3:0 არანდა (55)

**გაფრთხილება:** ნეკუნამი - ტორესი, სილვა, ედინიო

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-16; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 14-8 (8-0); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 15 000

### სევილია-ბილბაო 4:3

**სევილია (4-4-2):** პალოპი - დაბო, კასერესი, ალექსისი, ფ. ნავარო - კონკო, რომარიკი (85. გუარენტე), რენატო, კაპელი (71. პეროტი) - ლ. ფაბიანო (74. ნეგრედო), კანუტე.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - ირაოლა, უსტარიცი, სან ხოსე, კოიკილი - სუსაეტა, ხ. მარტინესი, გურპეგი (64. ორბაისი), მუნიაინი (62. ველესი) - ტოკერო (58. გაბილონდო), ლორენტე.

**გოლები:** 1:0 [illegible] (35), 2:0 კანუტე (45-პენ), 3:0 ლ. ფაბიანო (62), 3:1 ლორენტე (74), 3:2 ლორენტე (77), 4:2 [illegible], 4:3 გაბილონდო (93)

**გაფრთხილება:** ალექსისი, ნავარო, ლ. ფაბიანო, კონკო - გურპეგი, ლორენტე, ირაისოსი, სან ხოსე, კოიკილი

**გაძევება:** ნავარო (63)

**კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 9-16; **თამაშგარე:** 1-0; **კარში დარტყმა:** 14-17 (9-9); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 40 000

### ვილიარეალი-ატლეტიკო 2:0

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - ა. ლოპესი, გონსალო, მარჩენა, კაპდევილა - კასორლა, სენა (46. მატილია), ბრუნო, კანი - ნილმარი (84. მარიო), როსი (88. მ. რუბენი).

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, პერეა, გოდინი, ფილიპე ლუიში - რეიესი, ასუნსაო (57. ტიაგო), რ. გარსია, სიმაო (78. ფ. მერიდა) - დ. კოშტა (57. ფორლანი), აგუერო.

**გოლები:** 1:0 კანი (9), 2:0 როსი (52)

**გაფრთხილება:** ბრუნო - პერეა, კოშტა, რეიესი

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 4-4; **კარში დარტყმა:** 10-11 (5-2); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 20 000

**სოსიედადი-დეპორტივო** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 8 | 6 | 2 | 0 | 22-4 | 20 |
| 2. ვილიარეალი | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 19 |
| 3. ბარსელონა | 8 | 6 | 1 | 1 | 14-6 | 19 |
| 4. ვალენსია | 8 | 5 | 1 | 2 | 13-8 | 16 |
| 5. ესპანიოლი | 8 | 5 | 0 | 3 | 8-10 | 15 |
| 6. სევილია | 8 | 4 | 2 | 2 | 14-11 | 14 |
| 7. ხეტაფე | 8 | 4 | 1 | 3 | 14-10 | 13 |
| 8. ატლეტიკო | 8 | 4 | 1 | 3 | 12-9 | 13 |
| 9. მალიორკა | 8 | 3 | 2 | 3 | 7-8 | 11 |
| 10. ბილბაო | 8 | 3 | 1 | 4 | 14-14 | 10 |
| 11. ოსასუნა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-6 | 9 |
| 12. ერკულესი | 8 | 2 | 3 | 3 | 8-9 | 9 |
| 13. სპორტინგი | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 14. ლევანტე | 8 | 2 | 2 | 4 | 8-14 | 8 |
| 15. რასინგი | 8 | 2 | 1 | 5 | 5-14 | 7 |
| 16. ალმერია | 8 | 1 | 4 | 3 | 6-7 | 7 |
| 17. სოსიედადი | 7 | 2 | 1 | 4 | 7-11 | 7 |
| 18. მალაგა | 8 | 2 | 1 | 5 | 13-19 | 7 |
| 19. დეპორტივო | 7 | 0 | 4 | 3 | 3-11 | 4 |
| 20. სარაგოსა | 8 | 0 | 3 | 5 | 6-14 | 3 |

**ბომბარდირები:** 9 - რონალდო (რეალი); 6 - ლორენტე (ბილბაო), როსი (ვილიარეალი); 5 - მესი (ბარსელონა), იგუაინი (რეალი), ნილმარი (ვილიარეალი), ტრეზეგე (ერკულესი), ვალდესი (ერკულესი).

## სეგუნდა დივიზიონი

### IX ტური

**სალამანკა-ბეტისი** 0:3

გოლები: 0:1 კასტრო (22), 0:2 ემანა (24), ემანა (86)

**ნუმანსია-ხიმნასტიკი** 1:0

გოლი: 1:0 იბრაჰიმა (80)

## სეგუნდა დივიზიონი

### IX ტური

**ხერესი-ვილიარეალი** 3:1

**გოლები:** 0:1 ბილე (1), 1:1 მარი (4), 2:1 რედონდო (72), 3:1 ლომბანი (82)

**რაიო ვალეკანო-უელვა** 0:0

**ხირონა-ვალიადოლიდი** 2:0

**გოლები:** 1:0 ხანდრო (54-პენ), 2:0 დესპოტოვიჩი (75)

**გაძევება:** ალემანი (90. ვალიადოლიდი)

**ელჩე-პონფერადინა** 2:0

**გოლები:** 1:0 ვაკასო (70), 2:0 ლინარესი (80)

**გაძევება:** კუადრადო (75. პონფერადინა), ფერნანდესი (89. ელჩე)

**კორდობა-ტენერიფე** 2:2

**გოლები:** 1:0 ლუკე (50-პენ), 2:0 შარლესი (54), 2:1 ალონსო (70), 2:2 ნატალიო (85)

**სელტა-გრანადა** 1:1

**გოლები:** 1:0 ასპასი (51), 1:1 გეიხო (55)

**კარტახენა-ალკორკონი** 1:0

**გოლი:** 1:0 ვიქტორი (11)

**ბარსელონა-უესკა** 0:1

**გოლი:** 0:1 ჟილვანი (70)

**ლას პალმასი-ალბასეტე** 2:1

**გოლები:** 1:0 სეხუდო (43), 2:0 გუაირე (64), 2:1 სოუზა (85)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 9 | 7 | 1 | 1 | 22-8 | 22 |
| 2. სელტა | 9 | 6 | 2 | 1 | 18-9 | 20 |
| 3. ვალეკანო | 9 | 6 | 2 | 1 | 16-7 | 20 |
| 4. სალამანკა | 9 | 5 | 2 | 2 | 10-8 | 17 |
| 5. ლას პალმასი | 9 | 4 | 4 | 1 | 16-11 | 16 |
| 6. ბარსელონა B | 9 | 5 | 1 | 3 | 12-12 | 16 |
| 7. ვალიადოლიდი | 9 | 4 | 3 | 2 | 16-8 | 15 |
| 8. ხერესი | 9 | 5 | 0 | 4 | 14-13 | 15 |
| 9. ალკორკონი | 9 | 4 | 2 | 3 | 13-12 | 14 |
| 10. ელჩე | 9 | 4 | 2 | 3 | 7-8 | 14 |
| 11. კარტახენა | 9 | 3 | 3 | 3 | 14-10 | 12 |
| 12. გრანადა | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| 13. ნუმანსია | 9 | 3 | 2 | 4 | 10-10 | 11 |
| 14. ვილიარეალი B | 9 | 3 | 1 | 5 | 12-18 | 10 |
| 15. კორდობა | 9 | 2 | 4 | 3 | 12-13 | 10 |
| 16. ხირონა | 9 | 3 | 1 | 5 | 14-15 | 10 |
| 17. ალბასეტე | 9 | 2 | 3 | 4 | 7-9 | 9 |
| 18. უესკა | 9 | 2 | 3 | 4 | 6-11 | 9 |
| 19. პონფერადინა | 9 | 1 | 3 | 5 | 4-16 | 6 |
| 20. ხიმნასტიკი | 9 | 1 | 2 | 6 | 7-12 | 5 |
| 21. უელვა | 9 | 0 | 5 | 4 | 3-12 | 5 |
| 22. ტენერიფე | 9 | 0 | 3 | 6 | 8-18 | 3 |

**ბომბარდირები:** 7 - ქუინი (ალკორკონი); 6 - დ. როდრიგესი (სელტა); 5 - რ. კასტრო (ბეტისი), ხ. გუერა (ვალიადოლიდი), ტოჩე (კარტახენა); 4 - ხ. კასტრო (ხირონა), ნოლიტო (ბარსელონა), კალე (ვალიადოლიდი), შარლესი (კორდობა), გეიხო (გრანადა), სორიანო (ბარსელონა).

## პორტუგალია

### ლიგა საგრეში. VIII ტური

**აკადემიკა-ნასიონალი 2:1**

**გოლები:** 1:0 ფიდალგო (3), 2:0 ბერგერი (16), 2:1 დენილსონი (87)

**გაძევება:** კოელიო (75. აკადემიკა)

**ფერეირა-ბეირა მარი 1:1**

**გოლები:** 1:0 ბაიანო (44), 1:1 ტატუ (73)

**გაძევება:** ჟორჟინიო (81. ფერეირა)

**სეტუბალი-გიმარაეში 2:1**

**გოლები:** 1:0 ლეალი (16), 2:0 ანდერსონი (21), 2:1 ედგარი (72)

**გაძევება:** სილვა (82)

**ბრაგა-ოლანენსე 3:1**

**გოლები:** 0:1 მაურისიო (41), 1:1 მოსორო (50), 2:1 ლიმა (56), 3:1 ლიმა (63)

**მარიტიმუ-ნავალი 1:0**

**გოლი:** 1:0 რობერგე (71)

**გაძევება:** კანუ (80. მარიტიმუ)

**სპორტინგი-რიუ ავე 1:0**

**გოლი:** 1:0 აბელი (89)

**პორტიმონენსე-ბენფიკა 0:1**

**გოლი:** 0:1 გარსია (49)

**პორტუ-ლეირია** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 7 | 6 | 1 | 0 | 14-3 | 19 |
| 2. ბენფიკა | 8 | 5 | 0 | 3 | 11-6 | 15 |
| 3. აკადემიკა | 8 | 4 | 2 | 2 | 15-10 | 14 |
| 4. ბრაგა | 8 | 4 | 2 | 2 | 14-9 | 14 |
| 5. ოლანენსე | 8 | 3 | 3 | 2 | 8-7 | 12 |
| 6. გიმარაეში | 8 | 3 | 3 | 2 | 9-8 | 12 |
| 7. სეტუბალი | 8 | 3 | 3 | 2 | 5-7 | 12 |
| 8. ფერეირა | 8 | 2 | 5 | 1 | 9-8 | 11 |
| 9. ლეირია | 7 | 3 | 2 | 2 | 5-4 | 11 |
| 10. ნასიონალი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-12 | 10 |
| 11. სპორტინგი | 7 | 2 | 3 | 2 | 6-6 | 9 |
| 12. ბეირა მარი | 8 | 1 | 5 | 2 | 5-8 | 8 |
| 13. პორტიმონ. | 8 | 2 | 1 | 5 | 8-13 | 7 |
| 14. მარიტიმუ | 8 | 1 | 3 | 4 | 3-6 | 6 |
| 15. ნავალი | 8 | 1 | 1 | 6 | 4-13 | 4 |
| 16. რიუ ავე | 7 | 0 | 3 | 4 | 3-9 | 3 |

**ბომბარდირები:** 6 - ჰალკი (პორტუ); 4 - სოუზა (აკადემიკა), ფიდალგო (აკადემიკა).

# ლაციო სრული სვლით


ლაციო გოლს ზეიმობს

სერია A-ს მერვე ტური სამ დღეზე გაიწელა, რისი მიზეზიც „ნაპოლის" ევროპის ლიგაში ასპარეზობაა. ნეაპოლელები ხუთშაბათს „ლივერპულს" ეპაექრნენ, „მილანთან" მატჩისთვის მოსამზადებლად ერთი დღით მეტი ითხოვეს და „ლეგა კალჩომაც" ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ანუ, დღეს თბილისის დროით 22:45 საათზე ტურის უკანასკნელი და მეტად მნიშვნელოვანი პაექრობა გაიმართება. იქამდე კი იმ შეხვედრებზე ვთქვათ, რომლებიც უკვე შედგა. ლიდერის პაექრობით დავიწყოთ...

ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ „ლაციო" თითქმის ყველა პაექრობას სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზით ატარებს. ამჯერად **ედუარდო რეიამ** 4-4-1-1 აირჩია, რასაც არავინ მოელოდა. როდესაც ჩემპიონატის ლიდერი საკუთარ მოედანზე არც თუ ამბიციურ გუნდს, ამ შემთხვევაში კი „კალიარის" ეთამაშება, ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელით ასპარეზობა მართლაც რომ მოულოდნელია. თუმცა, რეიამ ასე გადაწყვიტა და მისმა არჩევანმა კიდევ ერთხელ გაამართლა. რომაელები მალევე დაწინაურდნენ, როდესაც სწორედ გამოკვეთილმა ფორვარდმა: **სერჯო ფლოკარიმ** გაიტანა. მასპინძლები სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ და პირველივე ტაიმში შეეძლოთ ანგარიში არაერთხელ გაეორებინათ. მოსახდენი მეორე ნახევრის სტარტზე მოხდა, როდესაც თავი გუნდის და მთლიანად ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **სტეფანო მაურიმ** გამოიჩინა. სარდინიელებმა ერთი ბურთის გაქვითვა მოახერხეს, მაგრამ ეს იყო და ეს - „ლაციომ" სრულიად დამსახურებულად მოიპოვა მორიგი სამი ქულა. ნამატჩევს ედი რეია ძალიან კმაყოფილი ჩანდა:

*„სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ჩემპიონატის სტარტი ჩვენთვის ასეთი წარმატებული გამოვიდოდა. თუმცა, რალა სტარტი, უკვე რვა ტური მიილია და ის, რაც ხდება, შემთხვევითობას ვერავინ დაარქმევს. რაც მთავარია, ჩვენ ჯერ კიდევ მოსამატებელი გვაქვს და დარწმუნებული ვარ, რომ მალე კიდევ უკეთესად ავთამაშდებით".*

არასტაბილურად ასპარეზობას განაგრძობს „იუვენტუსი", რომელმაც ამჯერად ბოლონიაში წაიმტვრია ცხვირი და ორი ქულა დაკარგა. არადა, ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან და რომ არა საშინელი უზუსტობა დამაგვირგვირგვიონებელ ფაზაში, ანგარიში სტუმრების იქნებოდა. პირველ ტაიმში **ვინჩენცო იაკვინტამ** სულაც თერთმეტმეტრიანი დარტყმა გააფუჭა. **ლუიჯი დელ ნერიმ** პირველად უღალატა ორფორვარდიან ტაქტიკას და **მილოშ კასიჩის** ნაცვლად თამაშში **ალესანდრო დელ პიერო** ჩართო, თუმცა საქმეს ვერც ამან უშველა. „ბიანკონერი" ვერა და ვერ დასტაბილურდა, ასეთი თამაშით კი სკუდეტოსთვის ბრძოლა წარმოუდგენელია.

გაცილებით უარეს მდგომარეობაშია „რომა", გუნდი, რომელსაც გამარჯვების გემო აშკარად დაავიწყდა. **კლაუდიო რანიერის** შეგირდებმა ამჯერად „პარმას" ვერ დააკლეს ვერაფერი და მხოლოდ ქულას დასჯერდნენ. არადა, ემილიელები ბოლო ხანს ძალიან ცუდად ასპარეზობენ და ეს სატურნირო ცხრილიდანაც ნათლად ჩანს. თუ „იუვენტუსთან" დაკავშირებით მაინც სკუდეტოზე გვიწევს საუბარი, აი „რომას" პროგრამა მაქსიმუმი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება თუ იქნება. აქვე ვთქვათ, რომ არ არის გამორიცხული, „პარმასთან" ფრეს რანიერის სკამი შეეწიროს. საინტერესოა, აევსო თუ არა მოთმინების ფიალა კლუბის პრეზიდენტ **როზელას სენსი**? ამასთან, ძალიან დაიძაბა ურთიერთობა მწვრთნელსა და კაპიტანს შორის. „პარმასთან" რანიერიმ **ფრანჩესკო ტოტი** ანტრაქტის დროს შეცვალა და მის ნაცვლად მოედანზე **ფაბიო სიმპლისიო** შეუშვა. გამოჟონილი ინფორმაციით, ფრანჩესკო ამ ამბავმა ძალიან ალაშფოთა და სინიორ კლაუდიოს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ვნახოთ, რა გაგრძელება მოჰყვება ამ ამბავს.

როგორც იქნა, სამი ქულა ჩაიწერა აქტივში „ფიორენტინამ" და სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილსაც დააღწია თავი. გამარჯვება ფლორენციელებს ჰაერივით ესაჭიროებოდათ და მიაღწიეს კიდეც. **დონადელის** და **ჯილარდინოს** გოლებს „ბარიმ" ერთით უპასუხა და შინ უქულოდ გაბრუნდა. **სინიშა მიხაილოვიჩს** კი ისეთი გამომეტყველება ჰქონდა მატჩის შემდეგ, იფიქრებდით, მხრებიდან დიდი ლოდი მოიხსნაო. მოვუსმინოთ სერბს:

*„ძალიან კარგად ვითამაშეთ და შეგირდების მისამართით მხოლოდ საქებარი სიტყვები შემიძლია ვთქვა. თუმცა კარგად წინა ტურებშიც გავრჯილვართ, მაგრამ შედეგი არ გვქონდა. რაც მთავარია, ამჯერად სამი ქულა ჩავიწერეთ აქტივში და დარწმუნებული ვარ, რომ სატურნირო ცხრილის ფსკერს ძალიან მალე დავაღწევთ თავს".*

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სერია A-ს შეხვედრაში კვლავ ვიხილეთ მოედანზე **კახა კალაძე**. ქართველ მცველს მხოლოდ ხუთი წუთით მოუწია თამაშმა და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში მწვრთნელი მეტ ნდობას გამოუცხადებს. „ჯენოამ" კი „კატანია" მინიმალური სხვაობით დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. ამით **ჯანპიერო გასპერინიმ** სკამის შენარჩუნება მოახერხა - კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი** უკმაყოფილოა შედეგებით და მორიგი ნაფორხილების შემთხვევაში, პრესა გასპერინის გათავისუფლებას ვარაუდობდა.

### მომდევნო ტური

**29 ოქტომბერი. ჯენოა-ინტერი. 30 ოქტომბერი. რომა-ლეჩე, მილანი-იუვენტუსი. 31 ოქტომბერი. პალერმო-ლაციო, ბარი-უდინეზე, ბრეშა-ნაპოლი, კალიარი-ბოლონია, ჩეზენა-სამპდორია, პარმა-კიევო, კატანია-ფიორენტინა.**

### ფიორენტინა-ბარი 2:1

**ფიორენტინა (4-2-3-1):** ფრეი 6.0 - კომოტო 6.5, ნატალი 6.5 (80. კროლდრუპი), გამბერინი 6.0, პასკუალი 6.0 - მონტოლივო 7.0, დონადელი 7.5 - ლიაჯიჩი (87. ბოლატი), მარკიონი 5.5, სანტანა 6.5 (69. პაპა ვაიგო 6.0) - ჯილარდინო 6.5.

**ბარი (4-4-2):** ჟილე 6.0 - ბელმონტე 5.0, ა. მაზიელო 5.5, ს. მაზიელო 6.0, პარიზი 5.5 - ალვარესი 5.0 (77. დალესანდრო), ალმირონი 5.0, დონატი 5.5, გეზალი 5.0 - კასტილო 4.5 (46. რივასი 6.0), ბარეტო 5.5 (84. კაპუტო).

**გოლი:** 1:0 დონადელი (34), 2:0 ჯილარდინო (82), 2:1 პარიზი (90)

**გაფრთხილება:** 4-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 12-9; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 14(7)-5(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 23 874

### პარმა-რომა 0:0

**პარმა (4-3-3):** მირანტე 6.0 - ძაკარდო 6.5, ლუკარელი 6.5, პალეტა 7.0, ანტონელი 6.5 - გობი 6.0 (65. ჯოვინკო 5.5), მორონე 6.0, ჯემაილი 6.5 - ვალიანი 6.0, ბოჟინოვი 5.0 (63. კრესპო 5.0), მარკესი 6.5.

**რომა (4-3-3):** ლობონტი 6.0 - კასეტი 7.0, ჟუანი 6.5, მექსე 7.0, რიისე 6.0 - სისინიო 6.0 (72. ოკაკა ჩუკა) 5.5, პიზარო 7.0, ბრიგი 6.0, - ტოტი 5.5 (46. სიმპლისიო 5.5), ვუჩინიჩი 6.0 (52. ბაპტიშტა 4.5), ბორიელო 6.0.

**გაფრთხილება:** 4-3; **კუთხური:** 7-6; **ჯარიმა:** 13-15; **თამაშგარე:** 10-3; **კარში დარტყმა:** 8(1)-12(1); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 13 937

### ბოლონია-იუვენტუსი 0:0

**ბოლონია (4-1-4-1):** ვივიანო 7.0 - ჩერუბინი 6.0, პორტანოვა 7.0, ბრიტოსი 6.0, გარიჩი 6.0 - რადოვანოვიჩი 6.0 (62. კაზარინი 6.0) - ბუშე 5.5, მუდინგაი 6.0, ეკდალი 6.0 (84. მუტარელი), პაპონი 5.5 (74. ხიმენესი 6.0) - დი ვაიო 5.5.

**იუვენტუსი (4-4-2):** სტორარი 6.5 - მოტა 6.0, ბონუჩი 6.5, კიელინი 6.5, დე ჩელიე 7.0 - კრასიჩი 6.0 (63. დელ პიერო 5.5), ფელიპე მელო 6.5, აკვილანი 5.5, მარკიზიო 6.0 - ამაური 6.0 (22. იაკვინტა 4.5), კვალიარელა 5.0 (71. მარტინესი 6.5).

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 2-6; **ჯარიმა:** 14-19; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 5(3)-16(9); **ბურთის ფლობა:** 41%-59%.

**მაყურებელი:** 20 500

### კიევო-ჩეზენა 2:1

**კიევო (4-3-1-2):** სორენტინო 6.5 - ანდრეოლი 6.0, ფრეი 6.5, ჩეზარი 7.0, მანტოვანი 5.5 - ფერნანდესი 6.0, გუანა 5.0 (55. მარკოლინი 6.0), კონსტანტი 7.0 - ბოლიაჩინო 6.0 (60. ბენტივოლიო 5.0) - თერეუ 7.0, პელისიერი 6.0 (86. მოსკარდელი).

**ჩეზენა (4-3-3):** ანტონიოლი 6.0 - ჩეკარელი 5.5 (77. პელეგრინო), ბენალუანე 5.5, ფონ ბერგენი 5.0, ნაგატომო 6.0 - კაზერტა 6.0, კოლუჩი 5.0, პაროლო 5.5 - ხიმენესი 5.0 (73. მალონგა 6.0), ბოგდანი 5.0, ჯაკერინი 5.0 (89. ლაური).

**გოლები:** 1:0 ჩეზარი (31), 1:1 გუანა (45-საკ. კარში), 2:1 თერეუ (90)

**გაძევება:** ფონ ბერგენი (88)

**გაფრთხილება:** 3-1; **კუთხური:** 10-8; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 0-4; **კარში დარტყმა:** 14(12)-6(4); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 6 500

### ჯენოა-კატანია 1:0

**ჯენოა (3-4-3):** ედუარდო 7.0 - რანოკია 6.5, დაინელი 6.0, კიკო 6.5 - მილანეტო 6.0 (85. კალაძე), როსი 7.0, კრიშიტო 6.5, რაფინია 6.0 - პალადინო (23. მესტო 6.5), რუდოლფი 5.5 (62. დესტრო 5.5), ტონი 5.0.

**კატანია (4-1-4-1):** ანდუხარი 6.5 - პოტენცა 5.5, სილვესტრი 5.0, სპოლი 5.5 კაპუანო 6.0 - გომესი 6.0 - ბიაჯანტი 5.0, ისკო 5.5 (74. რიკოტი), მარტინიო 6.0 (66. კარბონი 6.5), მასკარა 5.0 - მაქსი ლოპესი 5.0 (66. ანტენუჩი 5.5).

**გოლი:** 1:0 როსი (68)

**გაფრთხილება:** 2-3; **კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 20-23; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 10(4)-9(3); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 21 900

### ლაციო-კალიარი 2:1

**ლაციო (4-4-1-1):** მუსლერა 7.0 - ბიავა 6.0 (88. სტენდარდო), დიასი 6.0, რადუ 5.5, ლიხტშტაინერი 6.5 - ბროკი 6.5, ლედესმა 7.0, მაური 7.0, სარატე 5.5 (75. როკი 5.5) - ერნანესი 6.5 (68. მათუზალემი 6.0) - ფლოკარი 7.0.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი 6.0 - პერიკო 5.5, კანინი 5.5, ასტორი 5.5, აგოსტინი 5.5 - ბიონდინი 6.0, ნაინგოლანი 5.5 (81. აკვაფრესკა 5.5), ლაძარი 5.5 (55. ნენე 5.5) - კოსუ 6.5 - მატრი 7.0, პინარდი 5.0 (75. ლაზერი).

**გოლები:** 1:0 ფლოკარი (21), 2:0 მაური (53), 2:1 მატრი (59)

**გაფრთხილება:** 0-3; **კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 3-3; **კარში დარტყმა:** 13(6)-6(5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 38 500

### ლეჩე-ბრეშა 2:1

**ლეჩე (4-3-3):** როზატი 7.0 - რისპოლი 6.5 (46. მუნარი 6.0), ფერარიო 6.0 (55. გუსტავო 6.0), ფაბიანო 5.5 (70. ჯულიატო 6.0), მესბაჰი 5.5 - ვივესი 6.0, პიატი 6.5, ჯაკომაცი 5.5 - დი მიკელე 6.5, ეფერე 7.0, ოლივეირა 6.0.

**ბრეშა (4-3-1-2):** სერენი 6.0 - ძამბელი 4.5 (46. ბეგა 5.5), ძებინა 5.5, ვიდალი 5.0, დალამანო 5.0 - კორდოვა 6.0 (70. ბუდელი 5.0), ვასი 5.0 (55. ბაიოკო 5.5), ჰეტემაი 4.5 - კონე 5.0 - ედერი 5.5, კარაჩოლო 6.5.

**გოლები:** 0:1 კარაჩოლო (19), 1:1 ეფერე (54), 2:1 დი მიკელე (61)

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 5-8; **ჯარიმა:** 12-19; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 12(6)-11(7); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 7 000

### უდინეზე-პალერმო 2:1

**უდინეზე (3-5-2):** პანდანოვიჩი 6.5 - ზაპატა 6.0, ბენატია 7.5, კოდა 5.0 - ისლა 6.0, ინლერი 6.5, ასამოა 5.5, პასკუალე 6.5, სანჩესი 7.0 (86. ანჯელა) - დი ნატალე 6.5 (77. კორადი), დენისი 5.5 (68. ბადუ 6.0).

**პალერმო (4-3-2-1):** სირიგუ 6.0 - კასანი 5.0, გოიანი 5.5, [illegible] 5.5 (85. [illegible]), ბალცარეტი 6.0 - მილიარო 5.0 (67. [illegible] 5.5), ბასინოვიჩი 6.0, ნოჩერინო 5.5 - ილიჩიჩი 6.0, პასტორე 5.5 - პინილია 6.5.

**გოლები:** 1:0 ბენეტია (10), 2:0 დი ნატალე (54-პენ), 2:1 პინილია (83).

**გაძევება:** კოდა (64)

**გაფრთხილება:** 2-5; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 16-14; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12(7)-15(7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 11 750

### ინტერი-სამპდორია 1:1

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, კივუ (77. სანტონი) - ძანეტი, კამბიასო - ბიაბიანი (65. პანდევი), სნეიდერი, კოუტინიო (88. ობი) - ეტოო.

**სამპდორია (4-4-2):** კურჩი (79. და კოშტა) - ძაური, ვოლტა, გასტალდელო, ციგლერი - კომანი, პალომბო, ტისონე (67. პოლი), გუბერტი (71. მარილუნგო) - კასანო, პაცინი.

**გოლები:** 0:1 გუბერტი (62), 1:1 ეტოო (80)

**გაფრთხილება:** 0-5; **კუთხური:** 9-1; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 15(7)-7(3); **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 45 000

**ნაპოლი-მილანი** ხვალ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლაციო | 8 | 6 | 1 | 1 | 12-6 | 19 |
| 2. ინტერი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-4 | 15 |
| 3. მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 11-5 | 14 |
| 4. კიევო | 8 | 4 | 1 | 3 | 11-9 | 13 |
| 5. იუვენტუსი | 8 | 3 | 3 | 2 | 16-9 | 12 |
| 6. ნაპოლი | 7 | 3 | 3 | 1 | 13-9 | 12 |
| 7. პალერმო | 8 | 3 | 2 | 3 | 15-12 | 11 |
| 8. სამპდორია | 8 | 2 | 5 | 1 | 10-8 | 11 |
| 9. ჯენოა | 8 | 3 | 2 | 3 | 8-9 | 11 |
| 10. ლეჩე | 8 | 3 | 2 | 3 | 7-13 | 11 |
| 11. უდინეზე | 8 | 3 | 1 | 4 | 6-10 | 10 |
| 12. კატანია | 8 | 2 | 3 | 3 | 8-8 | 9 |
| 13. ბრეშა | 8 | 3 | 0 | 5 | 8-10 | 9 |
| 14. რომა | 8 | 2 | 3 | 3 | 7-12 | 9 |
| 15. ფიორენტინა | 8 | 2 | 2 | 4 | 9-10 | 8 |
| 16. ბოლონია | 8 | 1 | 5 | 2 | 8-12 | 8 |
| 17. ჩეზენა | 8 | 2 | 2 | 4 | 6-10 | 8 |
| 18. ბარი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-13 | 8 |
| 19. კალიარი | 8 | 1 | 4 | 3 | 8-8 | 7 |
| 20. პარმა | 8 | 1 | 4 | 3 | 6-8 | 7 |

**ბომბარდირები:** 6 - ეტოო (ინტერი), კავანი (ნაპოლი); 5 - დი ვაიო (ბოლონია); 4 - მატრი (კალიარი), ილიჩიჩი (პალერმო), კასანო (სამპდორია), პატო (მილანი), პელისიერი (კიევო), პასტორე (პალერმო).

### სერია B. XI ტური

**ნოვარა-ვიჩენცა 3:0**

გოლები: 1:0 გონსალესი (6), 2:0 რიგონი (36), 3:0 ბერტანი (76).

**ალბინოლეფე-პორტოგრუარო 1:0**

გოლი: 1:0 ტორი (36)

**მოდენა-სასუოლო 1:1**

გოლები: 1:0 ბელუჩი (21), 1:1 ტროიანო (90)

**პადოვა-პესკარა 3:1**

გოლები: 0:1 სანსოვინი (10), 1:1 (45-პენ), 2:1 ვანტაჯატო (78), 3:1 ვანტაჯატო (89)

**ასკოლი-ჩიტადელა 0:1**

გოლი: 1:0 პიოვაკარი (56)

**პიაჩენცა-ატალანტა 3:2**

გოლები: 0:1 ტირიბოკი (25), 0:2 დონი (30), 1:2 მარკი (51), 2:2 ანადერიო (66), 3:2 გუზმანი (79)

**რეჯინა-ემპოლი 0:0**

**სიენა-კროტონე 0:0**

**ტორინო-ფროზინონე 1:2**

გოლები: 0:1 სანსონე (17), 0:2 ლოდი (19), 1:2 პრატალი (27).

**ვარეზე-ტრიესტინა 4:0**

გოლები: 1:0 პიზანო (35), 2:0 კაროზა (48), 3:0 ბუცეგოლი (57), 4:0 ჩელინი (90)

**გროსეტო-ლივორნო 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნოვარა | 11 | 8 | 1 | 2 | 23-8 | 25 |
| 2. სიენა | 11 | 6 | 4 | 1 | 13-8 | 22 |
| 3. რეჯინა | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 4. პადოვა | 11 | 5 | 4 | 2 | 19-9 | 19 |
| 5. ემპოლი | 11 | 4 | 7 | 0 | 12-6 | 19 |
| 6. ატალანტა | 11 | 5 | 3 | 3 | 13-8 | 18 |
| 7. ლივორნო | 11 | 4 | 5 | 2 | 16-12 | 17 |
| 8. ვიჩენცა | 11 | 5 | 1 | 5 | 13-14 | 16 |
| 9. კროტონე | 11 | 3 | 6 | 2 | 11-10 | 15 |
| 10. პესკარა | 11 | 4 | 3 | 4 | 12-12 | 15 |
| 11. ვარეზე | 11 | 3 | 5 | 3 | 13-10 | 14 |
| 12. ფროზინონე | 11 | 3 | 4 | 4 | 11-13 | 13 |
| 13. ტორინო | 11 | 4 | 1 | 6 | 13-16 | 13 |
| 14. გროსეტო | 11 | 3 | 3 | 5 | 11-14 | 12 |
| 15. ალბინოლეფე | 11 | 3 | 3 | 5 | 11-16 | 12 |
| 16. მოდენა | 11 | 2 | 6 | 3 | 10-16 | 12 |
| 17. ტრიესტინა | 11 | 2 | 6 | 3 | 10-16 | 12 |
| 18. პორტოგრუარო | 11 | 3 | 2 | 6 | 10-18 | 11 |
| 19. ასკოლი | 11 | 2 | 4 | 5 | 12-16 | 10 |
| 20. პიაჩენცა | 11 | 2 | 5 | 5 | 12-17 | 10 |
| 21. სასუოლო | 11 | 2 | 3 | 6 | 10-13 | 9 |
| 22. ჩიტადელა | 11 | 2 | 2 | 7 | 9-19 | 8 |

**ბომბარდირები:** 9 - სუჩი (პადოვა), ბონაცოლი (რეჯინა); 8 - გონსალესი (მოვარა), ბერტანი (ნოვარა).

### ლეგა პრო 1/A

ბასანო-სალერნიტანა 2:0, კომო-სუდტიროლი 0:0, მონცა-ლუმეცანე 0:1, პერგოკრემა-პავია 1:2, რეჯანა-კრემონეზე 3:0, სორენტო-პაგანეზე 1:0, სპალ-გუბიო 1:0, სპეცია-ვერონა 1:0, რავენა-ალესანდრია ხვალ.

### ლეგა პრო 1/B

ატლეტიკო-ფოჯა 3:3, ჯელა-ვიარეჯო 0:0, ანდრია-იუვე სტაბია 0:1, კავეზე-ლუკაზე 1:0, კოზენცა-ფოლინო 1:0, პიზა-ბენევენტო 1:1, სირაკუზა-ლანჩანო 0:0, ტარანტო-ბარლეტა 2:2, ტერნანა-ნოჩერინა 0:3.

## ჰოლანდია. ერედივიზიონი. X ტური

# 10:0!!!

ამის დაჯერება ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ფაქტია, რომ პსვ-მ „ფეიენოორდი" კატასტროფული ანგარიშით - 10:0 გაანადგურა. ეს იყო როტერდამელთა ყველაზე მძიმე მარცხი დაარსების (1908) დღიდან. რა შეიძლება ითქვას თამაშზე, სადაც ერთი გუნდი მეორეს საშუალო არითმეტიკული გამოთვლით ცხრა წუთში ერთხელ გოლს უტანს. შესაძლოა, ეს იყო ყველაზე საშინელი მატჩი „ფეიენოორდის" ისტორიაში, გუნდის, რომელსაც ძალიან დიდი ტრადიციები აქვს და შესაბამისად, უამრავი გულშემატკივარი ჰყავს. გოლების აღწერით თავს ნამდვილად არ შეგაწყენთ, მაგრამ ალბათ ყველას აინტერესებს, რა ხდებოდა ასეთი მოედანზე, რომ ერთი გუნდი მეორემ მიწასთან გაასწორა. როგორც ჩანს, როტერდამულ გუნდში ძალიან სერიოზული პრობლემებია და ფეხბურთელებს თამაშის სურვილი უბრალოდ არ აქვთ - ისინი, ფაქტობრივად, იდგნენ მოედანზე და უყურებდნენ, თუ როგორ აავსეს მათი კარი მასპინძლებმა. მოკლედ, მართლაც რომ საოცარი ამბავი მოხდა, რომელსაც გააზრება და გაანალიზება სჭირდება. „ფეიენოორდის" ფეხბურთელებს კი როტერდამში ცხელი დახვედრა ელით. აქვე ვთქვათ, რომ პსვ-ს შემადგენლობაში ჰეთთრიკი შეასრულა **რეისმა**, რომელიც ბოლო პერიოდში ძალიან კარგად გამოიყურება და გუნდის ლიდერად ყალიბდება. გაინტერესებთ რა კომენტარები გაკეთდა მატჩის შემდეგ? - მოვუსმინოთ გამარჯვებული გუნდის თავკაც **ფრედ რუტენს**:

*„ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ 10:0-ს თუ გავიმარჯვებდით, ნამდვილად არ მეგონა. ასეთ რამეზე ოცნებაც კი არ შემეძლო, ან საერთოდ რა საჭიროა, იოცნებო ორნიშნა რიცხვით მოგებაზე? - მიჭირს შეხვედრაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება, ვერ გეტყვით, რა დაემართა „ფეიენოორდს", მაგრამ მათი გულშემატკივრების მდგომარეობაში ნამდვილად შევდივარ".*

ბოლო დროს აშკარად მოუკლო „აიაქსმა", რაც ჯერ ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა, შემდეგ კი სულაც მესამე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. ამჯერად, ამსტერდამულმა კლუბმა „ექსელსიორს" ვერ დააკლო ვერაფერი და მხოლოდ ქულას დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ „აიაქსი" ორი ბურთის სხვაობით აგებდა და მასპინძლებს დაცვაში ცოტა ყურადღებით რომ ეთამაშათ, სულაც უქულოდ დატოვებდნენ მრისხანე მეტოქეს. მორიგი გამარჯვება იზეიმა „ტვენტემ" და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე მოკალათდა.

### ბრედა-როდა 1:2

გოლები: 1:0 კოკა (31), 1:1 დოუმი (60), 1:2 ჰემპტე (79)

### დე გრაფსხაპი-ჰერაკლესი 1:1

გოლები: 1:0 ჰერსი (15), 1:1 პიეტი (53)

### ნიიმეგენი-გრონინგენი 3:2

გოლები: 1:0 ვლემინცკი (4), 2:0 ვლემინცკი (12), 2:1 ერეველდსენი (70), 3:1 ვლემინცკი (77), 3:2 ანდრესონი (90)

### ჰერენვენი-ვენლო 2:0

გოლები: 1:0 დოსტი (50), 2:0 ვაირანენი (53).

### ექსელსიორი-აიაქსი 2:2

გოლები: 1:0 ბოვენბერგი (37), 2:0 ვატამალეო (42), 2:1 ჰამდაუი (46), 2:2 ვერტონენი (88).

### ალკმაარი-ვილემი 3:0

გოლები: 1:0 ჯონატასი (11-პენ), 2:0 მარტენსი (35), 3:0 ჰოლმანი (55)

### ტვენტე-დენ ჰააგი 3:2

გოლები: 1:0 იანსენი (27), 1:1 ბოელუკინი (44), 1:2 კუბიკი (54), 2:2 რუიზი (57-პენ.), 3:2 იანკო (70)

### პსვ-ფეიენოორდი 10:0

გოლები: 1:0 რეისი (25), 2:0 აფელაი (39), 3:0 რეისი (47), 4:0 ტოივონენი (49), 5:0 ლენსი (55), 6:0 რეისი (59), 7:0 ჯუჯაკი (62), 8:0 ენგელაარი (69), 9:0 ჯუჯაკი (77-პენ), 10:0 ლენსი (87)

### ვიტესი-უტრეხტი 1:4

გოლები: 0:1 რაიკოვიჩი (3-საკ. კარში), 0:2 მერტენსი (45), 0:3 კორნელიზე (51), 0:4 მულენგა (57), 1:4 პედერსენი (61)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 10 | 7 | 3 | 0 | 35-8 | 24 |
| 2. ტვენტე | 10 | 6 | 4 | 0 | 19-7 | 22 |
| 3. აიაქსი | 10 | 6 | 3 | 1 | 26-11 | 21 |
| 4. როდა | 10 | 6 | 3 | 1 | 19-12 | 21 |
| 5. გრონინგენი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-12 | 18 |
| 6. ალკმაარი | 10 | 5 | 3 | 2 | 13-9 | 18 |
| 7. უტრეხტი | 10 | 5 | 1 | 4 | 18-16 | 16 |
| 8. დენ ჰააგი | 10 | 4 | 3 | 3 | 20-20 | 15 |
| 9. ჰერენვენი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-13 | 13 |
| 10. ნიიმეგენი | 10 | 4 | 1 | 5 | 19-20 | 13 |
| 11. ბრედა | 10 | 4 | 2 | 4 | 12-13 | 13 |
| 12. ექსელსიორი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-19 | 11 |
| 13. დე გრაფსხაპი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-22 | 10 |
| 14. ჰერაკლესი | 10 | 2 | 3 | 5 | 14-16 | 9 |
| 15. ფეიენოორდი | 10 | 2 | 2 | 6 | 12-24 | 8 |
| 16. ვიტესი | 10 | 2 | 2 | 6 | 10-22 | 8 |
| 17. ვენლო | 10 | 2 | 0 | 8 | 7-17 | 6 |
| 18. ვილემი | 10 | 0 | 1 | 9 | 8-29 | 1 |

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

# სასწაული გრძელდება!

## მაინცი ისევ პირველია! დაელოდეთ: სუპერმატჩი ერთ კვირაში

ვინ თქვა, „მაინცი" ჩაფლავდებაო? სეზონში განცდილი პირველი მარცხიდან ზუსტად ერთ კვირაში, **თომას ტუხელის** სენსაციური გუნდი ისევ პირველ ადგილზეა! კარნავალელებმა ლევერკუზენიდან წაიღეს სამი ქულა და ისარგებლეს იმით, რომ დორტმუნდის „ბორუსიამ" „ჰოფენჰაიმთან" წააიფორხილა. 24 ქულა 9 ტურის შემდეგ - „მაინცმა" „დორტმუნდს" 2 ქულით გაასწრო. ზუსტად ერთ კვირაში ბუნდესლიგაში ზღაპრული მატჩი გველის: 31-ში „მაინცი" სწორედ დორტმუნდის „ბორუსიას" მასპინძლობს. „ლევერკუზენის" კარში გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი ავსტრიელი ნახევარმცველი **ანდრეას ივანშიტცია**, რომელმაც 68-ე წუთზე **ლუის ჰოლტბი** შეცვალა და ორ წუთში კარიერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა. „შტუტგარტი" კი ბოლოადგილოსანი აღარ არის - დროებითი მწვრთნელის, **იენს კელერის** მიერ დამოძლვრილმა შვაბებმა გუშინ „ზანკტ პაული" დაამარცხეს (2:0) და გასავარდნ ზონას თავი დაალწიეს.

დორტმუნდის „ბორუსიამ" მოგებათა სერია შეწყვიტა - ზედიზედ შვიდი გამარჯვების შემდეგ, რის შედეგადაც BVB ბუნდესლიგის სატურნირო ცხრილის ლიდერი გახდა, „შავ-ყვითლები" საკუთარ „ვესტფალენშტადიონზე" „ჰოფენჰაიმს" დაუზავდნენ: 1:1. ...და ლიდერობაც დაკარგეს! მიუხედავად ამისა, „დორტმუნდის" ქომაგებმა საყვარელი გუნდი მოედნიდან მაინც ტაშითა და ოვაციებით გააცილეს. კმაყოფილი იყო „ბორუსიას" თავკაცი **იურგენ კლოპიც**. საქმე ის არის, რომ „დორტმუნდმა" ქულა ბოლო წუთზე, უფრო სწორად, მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გადაარჩინა, როცა შეცვლაზე შესულმა **ანტონიო და სილვამ** დაახლოებით 20 მეტრიდან საჯარიმო დარტყმა უზადოდ შეასრულა.

*„სიტყვები არ მყოფნის, ძალიან ბედნიერი ვარ. მესმის, რომ ეს გიკვირთ, რადგან თამაში ვერ მოვიგეთ, მაგრამ მეორე ტაიმში იმდენად კარგად ვითამაშეთ, რომ დღევანდელი ქულა ბევრ მოგებას მირჩევნია. „ჰოფენჰაიმმა" ტაქტიკურად უნაკლო ფეხბურთი ითამაშა და პირველი ტაიმი მოგვიგო კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში ჩემმა გუნდმა ბრწყინვალე ფეხბურთი აჩვენა. მეტოქეს საერთოდ არაფერი გავაბედინეთ, ჩვენ კი არაერთი მომენტი შევქმენით და, საბოლოოდ, დავიმსახურეთ გოლი, რომელმაც ერთი ქულა გადაგვირჩინა,"* - თქვა მატჩის შემდეგ კლოპმა.

დორტმუნდელთა დამრიგებლის სიტყვებს კი ჩვენ მხოლოდ იმას დავამატებდით, რომ „ბორუსია" მოგებასაც იმსახურებდა, რადგან ჰოფენჰაიმელი **დემბა ბას** ნაადრევი, მე-9 წუთზე გატანილი გოლის შემდეგ დორტმუნდელებმა „სოფლელები" საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს და 80 წუთის განმავლობაში უმძიმესი წნეხის ქვეშ ამყოფეს. და ის ფაქტი, რომ დორტმუნდმა „ჰოფეს" მხოლოდ ერთი გოლი გაუტანა და ისიც 93-ე წუთზე, მეტწილად „სოფლელების" მეკარე **შტარკეს** დამსახურებაა. არაერთი „მკვდარი დარტყმის" გარდა, შტარკემ მე-15 წუთზე თერთმეტმეტრიანიც აუღო - **ნური შაჰინს**. საინტერესოა ისიც, რომ შაჰინს ორჯერ მოუხდა თერთმეტმეტრიანის შესრულება. პირველად მან გოლის გატანა შეძლო, რომელიც მსაჯმა გააუქმა - **ლუკას ბარიოსი** ნაადრევად შევარდა „ჰოფენჰაიმის" საჯარიმოშიო. შაჰინის მეორე მცდელობა კი კრახით დასრულდა. მატჩის შემდეგ კლოპი მსაჯს მისდგა, გოლი უნდა ჩაეთვალა და საერთოდ, ამ შეხვედრაში არბიტრმა ჩვენს საწინააღმდეგოდ 3-4 გადაწყვეტილება მიიღოო. ბოლოს კი სარკასტულად დასძინა, თუმცა მსაჯი **ვოლფგანგ შტარკი** იყო და ის ხომ ყოველთვის მართალიაო.

**კლაუდიო პისარო** ბუნდესლიგის ყველა დროის საუკეთესო არაგერმანელი თავდამსხმელია - ბრემენის „ვერდერის" პერუელი ფორვარდი ლეგიონერ ბომბარდირებს შორის პირველ ადგილზე გადავიდა. „ვერდერმა" შაბათს მიონხენგლადბახის „ბორუსია" 4:1 დაამარცხა, პისარომ კი ერთი, ბოლო გოლი გაიტანა, რითაც ბუნდესლიგაში გოლების აქტივი 134-მდე გაზარდა. შედეგად, მან ბრაზილიელ **ჟოვანი ელბერს** გადაასწრო, რომელმაც ბუნდესლიგაში თავის დროზე 133 გოლის გატანა შეძლო.

*„ეს რეკორდი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ლეგენდარული ელბერის რეკორდის დამხობაზე დიდი ხანია, ვოცნებობ და აი, მიზანს მივაღწიე კიდეც. მიღწევას კიდევ გავაუმჯობესებ, რადგან ფეხბურთის თამაში ჯერ არ მომბეზრებია,"* - განაცხადა პისარომ და იქვე დასძინა, რომ მისი მომდევნო მიზანი „მუსიკოსებთან" ერთად გერმანიის ჩემპიონობაა. აი, ამ მიზნის მიღწევა კი ბრემენულ კლუბს წესით უნდა გაუჭირდეს - მიუხედავად ამ გამარჯვებისა, **თომას შააფის** შეგირდები სატურნირო ცხრილის შუაში არიან და ამჟამინდელი მდგომარეობა ჩემპიონობას ნამდვილად არ უქადით.

კიდევ ერთი საინტერესო რამ: მოგეხსენებათ, „ვერდერის" ძირითადმა მეკარე **ტიმ ვიზემ** ტრავმა მიიღო, რის გამოც „გლადბახთან" ბრემენელთა კარს სათადარიგო კიპერი **სებასტიან მილიტცი** იცავდა, რომელმაც ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა. თვითონ განსაჯეთ, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მილიტცს საუკეთესო შეფასება, ერთიანი დაუწერეს. რაც შეეხება მიონხენგლადბახურ კლუბს: **მიხაელ ფრონტცეკის** შეგირდებს მეორე ტურის შემდეგ, როცა ლევერკუზენში ბრწყინვალე გამარჯვება (6:3 მოიპოვეს), არც ერთი თამაში აღარ მოუგიათ (ორი ფრე, დანარჩენი წააგეს) და თანაც, მას მერე მხოლოდ 7 გოლი გაიტანეს, საკუთარ კარში კი 23 (!) მიიღეს. მოკლედ, „გლადბახში" სიტუაცია ნელნელა „მწვავდება".

„კიოლნის" მორიგ წარუმატებლობას (1:2 ჰანოვერში, ყვინთაობა ცხრილის ფსკერზე), როგორც მოსალოდნელი იყო, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ზვონიმირ სოლდო** შეეწირა. შაბათის ნომერშიც ვწერდით, რომ წაგების შემთხვევაში, „თხების" შეფები 42 წლის სპეციალისტს გაათავისუფლებდნენ და ასეც მოხდა. სოლდოსთან ერთად, გათავისუფლებულია მისი ასისტენტი **მიხაელ ჰენკეც**. ხვალ კიოლნელებს გერმანიის თასზე მეორებუნდესლიგელ „მიუნხენ 1860-თან" უწევთ თამაში და ამ შეხვედრაში „თხებს" **ფრანკ შეფერი** უხელმძღვანელებს, რომელიც აქამდე „კიოლნის" 23-წლამდელთა გუნდის დამრიგებელი გახლდათ.

„შალკე" ჩემპიონთა ლიგაში მშვენივრად ასპარეზობს, ბუნდესლიგაში კი მთქნარებას განაგრძობს. შაბათს გელზენკირხენელები ფრანკფურტში ჩავიდნენ და წაგებას ძლივს გადაურჩნენ - მატჩი 0:0 დასრულდა. *„ჩემპიონთა ლიგაში უდიდეს ენერგიას ვხარჯავთ და მერე ბუნდესლიგაში ძალები აღარ გვყოფნის. დღეს ფრითაც ბედნიერები უნდა ვიყოთ, რადგან წაგებას ძლივს გადავურჩით. თუმცა ისიც კარგია, რომ კარი, როგორც იქნა, მშრალად შევინახეთ,"* - აღნიშნა საფინალო სასტვენის შემდეგ **ფელიქს მაგათმა**. ფრანკფურტელთა მხრიდან საუკეთესო შანსი ყოფილმა შალკელმა **ჰალილ ალთინთოფმა** ვერ გამოიყენა - თურქმა ცარიელ კარში ვერ გაიტანა.

კაიზერსლაუტერნში განგაშის ზარებს შემოჰკრეს, რადგან 1. FCK-მ ზედიზედ მეხუთე თამაში წააგო (1:2 ფრაიბურგში) და გასავარდნ ზონას მიუახლოვდა. მატჩის შემდეგ „ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი **მარკო კურცი** ყველას გასაგონად გაყვიროდა, თუ ასე გავაგრძელებთ, ქულებს საერთოდ ვეღარ ავიღებთო. „ლაუტერნის" ბოსი **შტეფან კუნტცი** კი მწვრთნელს კვლავ მხარდაჭერას უცხადებს - ყველაფერს სწორად აკეთებს, ძალიან კარგად მუშაობს და წარუმატებლობა მხოლოდ ფეხბურთელების ბრალიაო. ფრაიბურგში კი სრული იდილიაა - **რობინ დუტის** გუნდი ამ სეზონში მშვენივრად ასპარეზობს, გოლეადორ **პაპის დემბა სისეს** ანგარიშზე კი (შაბათსაც გაიტანა) უკვე რვა გოლია.

„ნიურნბერგმა" ზედიზედ მესამე თამაში მოიგო (სამივე 2:1). ფრანკებმა ამჯერად „ვოლფსბურგი" დაამარცხეს და გაგახსენებთ, რომ „ნიურნბერგმა" ბუნდესლიგაში ზედიზედ სამი მატჩის მოგება ბოლოს 2006/07 წლების სეზონში შეძლო. მაშინ გუნდს **ჰანს მაიერი** წვრთნიდა და ფრანკებმა იმ სეზონში სულაც გერმანიის თასის მოგება მოახერხეს. ვოლფსბურგელებმა კი შაბათს თავი ისევ მხოლოდ უხეშობით დაგვამახსოვრეს. ამჯერად **გრაფიტემ** და **სიმონ კიაერმა** „აურიეს", მაგრამ წითელ ბარათს ორივე მათგანი გადაურჩა. „მგლების" თავკაცი **სტივ მაკლარენი** ამბობს, ყოველ თამაშში მინიმუმ ორ გოლს ვუშვებთ და მეტი რაღა ვთქვა, მცველები ელემენტარულ შეცდომებს უშვებენო.

„ჰამბურგისა" და „ბაიერნის" უგოლო ფრეზე კი (პარასკევს გაიმართა), სალაპარაკო ბევრი არაფერია. თუკი შეიძლება, რომ რომელიმე გუნდზე ითქვას, თამაშის მოგება შეეძლოო, მხოლოდ „ჰამბურგზე", რადგან მეორე ტაიმში **რუუდ ვან ნისტელროიმ** თითქმის ასპროცენტიანი მომენტი ვერ გამოიყენა და თანაც, **არმინ ფეეს** ბიჭებს კიდევ რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდათ. მოკლედ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „ბაიერნი" ტიტულს ვერ შეინარჩუნებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### მომდევნო ტური

29 ოქტომბერი. **ბაიერნი-ფრაიბურგი.** 30 ოქტომბერი. **ვერდერი-ნიურნბერგი, ვოლფსბურგი-შტუტგარტი, კიოლნი-ჰამბურგი, კაიზერსლაუტერნი-ბორუსია (მ), ზტ. პაული-აინტრახტი, შალკე-ლევერკუზენი.** 31 ოქტომბერი. **მაინცი-ბორუსია (დ), ჰოფენჰაიმი-ჰანოვერი.**

### თურქეთი

### სუპერლიგა. VII ტური

**ქარაბიუქი-ესქიშეჰირი 1:2**

გოლები: 0:1 ჩომქენი (11), 0:2 კარადენიზი (39), 1:2 ემენიკე (52)

**სივასი-ბუკა 1:1**

გოლები: 0:1 თამქირანი (12), 1:1 ერისი (51)

**ბუიუქშეჰირი-გაზიანთეფი 1:0**

გოლი: 1:0 კოისე (33)

**ანთალია-კონია 1:0**

გოლი: 1:0 სერასი (32)

**ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი 3:1**

გოლები: 0:1 ჩალიქი (32), 1:1 ილმაზი (68), 2:1 ჯაჯა (72), 3:1 ბულუთი (81)

**ანკარაგიუჯუ-ბურსა 1:5**

გოლები: 1:0 შესტაკი (6), 1:1 იოზთურქი (16), 1:2 ბაჰადირი (27), 1:3 ერდოღანი (31), 1:4 ერგიჩი (39), 1:4 ილდირიმი (45)

**მანისა-კასიმფაშა 2:1**

გოლები: 1:0 მაკუკულა (14), 1:1 ვარელა (25), 2:1 სიმპსონი (30)

**ფენერბაჰჩე-გალათასარაი 0:0**

ქაისერი-ბეშიქთაში დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 9 | 7 | 2 | 0 | 18-4 | 23 |
| 2. ტრაბზონი | 9 | 6 | 2 | 1 | 23-7 | 20 |
| 3. ფენერბაჰჩე | 9 | 5 | 2 | 2 | 24-11 | 17 |
| 4. ქაისერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-4 | 17 |
| 5. ანთალია | 9 | 5 | 2 | 2 | 13-12 | 17 |
| 6. ქარაბიუქი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 7. ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| 8. ანკარაგიუჯუ | 9 | 4 | 1 | 4 | 16-16 | 13 |
| 9. გალათასარაი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-12 | 13 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 11. მანისა | 9 | 4 | 0 | 5 | 15-17 | 12 |
| 12. გაზიანთეფი | 9 | 2 | 4 | 3 | 6-8 | 10 |
| 13. ესქიშეჰირი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14. გენჩლერი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-16 | 8 |
| 15. ბუკა | 9 | 1 | 4 | 4 | 5-8 | 7 |
| 16. სივასი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-20 | 7 |
| 17. კონია | 9 | 1 | 3 | 5 | 9-17 | 6 |
| 18. კასიმფაშა | 9 | 0 | 2 | 7 | 6-26 | 2 |

**ბომბარდირები:** 7 - ნიანგი (ფენერბაჰჩე); 6 - ბაროში (გალათასარაი), ბობო (ბეშიქთაში), სიმპსონი (მანისა), ტიტა (ანთალია); 5 - ჩერნატი (ქარაბიუქი), ემენიკე (ქარაბიუქი).

**ჰამბურგი-ბაიერნი 0:0**

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ფ. როსტი 3 (42. დრობნი 3.5) - ბენჯამინი 3.5, ვესტერმანი 3, მატიისენი 2.5, იანსენი 3.5 - რინკონი 3 - პიტროიპა 3.5, ზე რობერტო 3 - ტროხოვსკი 4 - გერერო 4 (62. პეტრიჩი 3), ვან ნისტელროი 3.5 (71. ჩუპო-მოტინგი).

**ბაიერნი (4-2-3-1):** ბუტი 3 - ლამი 3, ტიმოშჩუკი 3, ბადშტუბერი 3.5, პრანიჩი 3.5 - ოტლი 4, შვაინშტაიგერი 4 - ჰამით ალთინთოფი 3.5, კროოსი 3.5, თ. მიულერი 3.5 - გომესი 4.5 (86. ოლიჩი).

**გაფრთხილება:** 1-2; **დარტყმა:** 16(3)-11(1); **ჯარიმა:** 7-13; **კუთხური:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 57 000

**აინტრახტი-შალკე 0:0**

**აინტრახტი (4-2-3-1):** ნიკოლოვი 2.5 - ს. იუნგი 3, ფრანცი 3.5, რუსი 3, კიოლერი 3 - შვეგლერი 3, კრისი 2.5 - ოხსი 3, ა. მაიერი 4 (82. კაიო), ჰალილ ალთინთოფი 3.5 - გეკასი 5 (82. ფენინი).

**შალკე (4-1-2-1-2):** ნოიერი 3 - უჩიდა 4.5 (85. შარპეი), ჰიოვედესი 3.5, მეტცელდერი 4, შმიტცი 4.5 - ჯონსი 4 - ფარფანი 3.5, რაკიტიჩი 5 (46. მორიტცი 4.5) - ხურადო 4.5 (61. მატიპი 4.5) - ჰუნტელაარი 5, რაული 4.5.

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 17(1)-5(2); **ჯარიმა:** 11-19; **კუთხური:** 8-5; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 51 500

**ბორუსია (მ)-ვერდერი 1:4**

**ბორუსია მ. (4-2-2-2):** ბეილი 5 - ლეველსი 5.5, ანდერსონი 4.5, დემსი 4, ვისინგი 5 - მარქსი 5, ბრედლი 4.5 - როისი 4, იდრისუ 3.5 - დე კამარგო 4.5 (67. ჰერმანი 4.5), ბობადილია 3.5.

**ვერდერი (4-2-2-2):** მილიტცი 1 - ფრიტცი 3.5, მერტეზაკერი 4, პრიოდლი 4, სილვესტრი 4 - ფრინგსი 3 (83. დ. იენსენი), ვესლი 2 - ჰანტი 3.5 (68. ბარგფრედე 3.5), მარინი 1.5 - პისარო 3 (86. უგო ალმეიდა), არნაუტოვიჩი 3.5.

**გოლები:** 0:1 მარინი (5), 0:2 ვესლი (12), 0:3 ჰანტი (51), 1:3 მერტეზაკერი (67-საკ. კარში), 1:4 პისარო (75)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 17(9)-14(7); **ჯარიმა:** 16-19; **კუთხური:** 3-3; **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 53 511

**ფრაიბურგი-კაიზერსლაუტ. 2:1**

**ფრაიბურგი (4-1-2-1-2):** ბაუმანი 3.5 - მუიჯა 4, ბართი 3.5, ტოპრაკი 3.5, ბასტიანსი 2 - შუსტერი 3.5 - პუცილა 5 (46. ნიკუ 3.5), აბდესადკი 3.5 - მაკიადი 3 (70. კალიგიური 3.5) - იანო 5 (56. რაიზინგერი 2.5), სისე 3.

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ზიპელი 4 - დიკი 3.5 (44. კირხი 4), ამედიკი 3.5, როდნი 3.5, ბუგერა 4.5 - ბილეკი 4, ტიფერტი 3 - ვალხი 4.5 (72. ნემეცი), მორავეკი 3.5, ილიჩევიჩი 3 (72. ჰოფერი) - ლაკიჩი 4.

**გოლები:** 0:1 მორავეკი (8), 1:1 სისე (35), 2:1 რაიზინგერი (60)

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 13(5)-17(2); **ჯარიმა:** 18-15; **კუთხური:** 6-7; **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 24 000

**ჰანოვერი-კიოლნი 2:1**

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ფრომლოვიტცი 3.5 - ჩერუნდოლო 3.5, აიეორი 4, კ. შულცი 3.5, ჯაპკა 3 - შმიდებახი 3.5, პინტუ 3.5 (79. ეგიმანი) - შტოპელკამპი 3.5 (70. ჩაჰედი 3.5), რაუში 3 - ია კონანი 2, აბდელაუ 4 (79. შტინდლი).

**კიოლნი (4-1-2-2-1):** ვარვოდიჩი 4 - ანდერზინიო 4.5, ჟერომელი 3.5, მოჰამადი 4, ბრეჩკო 4.5 (66. ერეთი 4) - პეტიტი 4 - ლანიგი 4, მატუშიკი 5 (66. იალსინი 4) - კლემენსი 5 (46. ნოვაკოვიჩი 4), ჟაჟალო 4.5 - პოდოლსკი 4.5.

**გოლები:** 1:0 ია კონანი (4), 2:0 ია კონანი (15), 2:1 ლანიგი (86)

**გაფრთხილება:** 1-1; **დარტყმა:** 8(4)-9(2); **ჯარიმა:** 15-18; **კუთხური:** 3-11; **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 44 214

**ნიურნბერგი-ვოლფსბურგი 2:1**

**ნიურნბერგი (4-2-3-1):** რ. შეფერი 3.5 - იუდტი 4, ნილსონი 2.5, ვოლფი 2.5, პინოლა 3.5 - სიმონსი 3.5, გიუნდოგანი 1.5 (92. მინტალი) - ჰეგელერი 3.5, ექიჩი 3 (87. კოენი), ფრანტცი 3 (82. აიგლერი) - შიბერი 2.

**ვოლფსბურგი (4-1-2-1-2):** ჰიტცი 4 - რიტერი 4.5, კიაერი 4.5, ბარძალი 4.5, მ. შეფერი 3.5 - ჟოსუე 3.5 (78. მადლუნგი) - ჰასებე 5.5 (59. დეჟაგა 4.5), კალენბერგი 4.5 (78. მანჯუკიჩი) - დიეგო 3.5 - გრაფიტე 3, ჯეკო 4.

**გოლები:** 1:0 გიუნდოგანი (11), 1:1 გრაფიტე (28), 2:1 ფრანტცი (63)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 17(4)-8(2); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 4-4; **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 40 127

**ბორუსია (დ)-ჰოფენჰაიმი 1:1**

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი (46. გიოტცე), ნ. შაჰინი - ბლაშჩიკოვსკი (74. და სილვა), კაგავა, გროსკროიტცი (59. ლევანდოვსკი) - ბარიოსი.

**ჰოფენჰაიმი (4-1-2-1-2):** შტარკე - ბეკი, ვორისა, კომპერი, ლუის გუსტავო - რუდი - ვუკჩევიჩი, ვაისი (91. ობასი ოგბუკე) - სალიჰოვიჩი - მლაპა (46. სიგურდსონი), ბა.

**გოლები:** 0:1 ბა (9), 1:1 და სილვა (93)

*მე-15 წუთზე ნური შაჰინმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**გაძევება:** სალიჰოვიჩი (94. ჰოფენჰაიმი)

**გაფრთხილება:** 1-3; **დარტყმა:** 17(4)-9(5); **ჯარიმა:** 8-31; **კუთხური:** 8-3; **ბურთის ფლობა:** 65%-35%.

**მაყურებელი:** 80 720

**ლევერკუზენი-მაინცი 0:1**

**ლევერკუზენი (4-3-2-1):** ადლერი - შვააბი, მ. ფრიდრიხი, რაინარტცი, კადლეცი (75. იორგენსენი) - ლ. ბენდერი, ვიდალი, როლფესი (59. ბალიტში) - სემი, ბარნეტა (59. ჰელმესი) - დერდიოკი.

**მაინცი (4-1-2-1-2):** ვეტკლო - ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი, ფუხსი - პოლანსკი - კალიგიური, სოტო - ჰოლტბი (68. ივანშიტცი) - შალაი (68. შიურლე), ალაგუი (87. კარჰანი).

**გოლი:** 0:1 ივანშიტცი (70)

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 16(2)-10(4); **ჯარიმა:** 16-20; **კუთხური:** 9-3; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 30 210

**შტუტგარტი-ზტ. პაული 2:0**

**შტუტგარტი (4-2-2-1-1):** ულრაიხი - ჩელოცი, ნიდერმაიერი, ტასკი, ბოკა (82. მოლინარო) - კუზმანოვიჩი, ტრეში - გებჰარდტი, გენტნერი (38. ჰარნიკი) - კაკაუ - პოგრებნიაკი (71. მარიკა).

**ზტ. პაული (4-2-3-1):** კესლერი - ლეხნერი, სამბრანო, თორანდტი, ოჩიპკა - ბოლი (63. ბრუნსი), მ. ლემანი - კრუსე (59. ნაკი), ასამოა (84. ტაკი), ბარტელსი - ებერსი.

**გოლები:** 1:0 ნიდერმაიერი (19), 2:0 კუზმანოვიჩი (79)

**გაფრთხილება:** 2-2; **დარტყმა:** 15(7)-17(5); **ჯარიმა:** 16-19; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 49%-52%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაინცი | 9 | 8 | 0 | 1 | 19-8 | 24 |
| 2. ბორუსია (დ) | 9 | 7 | 1 | 1 | 21-7 | 22 |
| 3. ჰანოვერი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-12 | 16 |
| 4. ჰოფენჰაიმი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-13 | 15 |
| 5. ლევერკუზენი | 9 | 4 | 3 | 2 | 18-15 | 15 |
| 6. ჰამბურგი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-11 | 15 |
| 7. ფრაიბურგი | 9 | 5 | 0 | 4 | 14-14 | 15 |
| 8. ვერდერი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-18 | 14 |
| 9. აინტრახტი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-9 | 13 |
| 10. ზტ. პაული | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 11. ბაიერნი | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| 12. ნიურნბერგი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-12 | 12 |
| 13. ვოლფსბურგი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-16 | 10 |
| 14. შტუტგარტი | 9 | 2 | 1 | 6 | 16-17 | 7 |
| 15. კაიზერსლაუტ. | 9 | 2 | 1 | 6 | 10-18 | 7 |
| 16. შალკე | 9 | 1 | 3 | 5 | 10-16 | 6 |
| 17. ბორუსია (მ) | 9 | 1 | 3 | 5 | 14-27 | 6 |
| 18. კიოლნი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-17 | 5 |

**ბომბარდირები:** 8 - სისე (ფრაიბურგი); 7 - გეკასი (აინტრახტი); 6 - გრაფიტე (ვოლფსბურგი); 5 - ბა (ჰოფენჰაიმი), ჯეკო (ვოლფსბურგი), უგო ალმეიდა (ვერდერი), ჰუნტელაარი (შალკე), ლაკიჩი (კაიზერსლაუტერნი), პოგრებნიაკი (შტუტგარტი), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

### IX ტური

**ჰერტა-ფიურტი 2:0**

გოლები: 1:0 დომოვჩიისკი (76), 2:0 რაფაელი (90)

**აუგსბურგი-უნიონი 2:1**

გოლები: 0:1 ბენიამინა (33), 1:1 მიორლე (69), 2:1 ჰაინი (93)

**ოსნაბრიუკი-კოტბუსი 2:0**

გოლები: 1:0 შნეტცლერი (24), 2:0 ადლერი (66)

**მიუნხენ 1860-არმინია 0:0**

**ინგოლშტადტი-ფრანკფურტი 0:1**

გოლი: 0:1 ნ'დიაიე (78)

**ბოხუმი-ალემანია 1:1**

გოლები: 1:0 ზალიკი (14), 1:1 ბ. აუერი (56)

**პადერბორნი-ფორტუნა 3:0**

გოლები: 1:0 მორი (56), 2:0 კაპლანი (81), 3:0 ვემერი (82)

**დუისბურგი-კარლსრუე 3:0**

გოლები: 1:0 ბალიაკი (10), 2:0 კოხი (61), 3:0 ილმაზი (77)

**აუე-ობერჰაუზენი** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 9 | 7 | 2 | 0 | 17-5 | 23 |
| 2. დუისბურგი | 9 | 7 | 0 | 2 | 19-7 | 21 |
| 3. ფიურტი | 9 | 6 | 1 | 2 | 14-7 | 19 |
| 4. აუე | 8 | 5 | 2 | 1 | 10-6 | 17 |
| 5. კოტბუსი | 9 | 5 | 1 | 3 | 19-15 | 16 |
| 6. ფრანკფურტი | 9 | 5 | 0 | 4 | 10-9 | 15 |
| 7. ობერჰაუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 9-8 | 14 |
| 8. აუგსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-11 | 13 |
| 9. მიუნხენ 1860 | 9 | 4 | 3 | 2 | 11-8 | 13 |
| 10. ალემანია | 9 | 3 | 4 | 2 | 13-12 | 13 |
| 11. ბოხუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 11-12 | 13 |
| 12. პადერბორნი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-10 | 10 |
| 13. ოსნაბრიუკი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-18 | 10 |
| 14. კარლსრუე | 9 | 2 | 2 | 5 | 12-22 | 8 |
| 15. უნიონი | 9 | 1 | 3 | 5 | 9-15 | 6 |
| 16. ფორტუნა | 9 | 2 | 0 | 7 | 6-16 | 6 |
| 17. ინგოლშტადტი | 9 | 1 | 1 | 7 | 8-16 | 4 |
| 18. არმინია | 9 | 1 | 1 | 7 | 7-17 | 4 |

**ბომბარდირები:** 7 - პეტერსენი (კოტბუსი); 5 - ბალიაკი (დუისბურგი), ჩონგი (ბოხუმი); 4 - დომოვჩიისკი (ჰერტა), ფრენდი (ჰერტა), ჰაიდრიხი (ოსნაბრიუკი), კაპლანი (პადერბორნი), ლამიდი (ობერჰაუზენი), მაიერჰოფერი (დუისბურგი).

### III ბუნდესლიგა

**ოფენბახი-ბაბელსბერგი 2:1, შტუტგარტი II-ბურგჰაუზენი 1:1, ბრაუნშვაიგი-უნტერჰახინგი 3:0, ვეენი-რეგენსბურგი 2:0, ბაიერნი II-ალენი 2:3, ზანდჰაუზენი-აალენი 1:3, ზაარბრიუკენი-ერფურტი 1:3, დრეზდენი-ჰანზა 2:2, ჰაიდენჰაიმი-კობლენცი 3:1, კარლ ცაისი-ვერდერი II 1:1.**

# უცხოური ფეხბურთი

## ბელგია

### II დივიზიონი

XI ტური

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-ჰაისტი | 1:2 |
| ლომელი-დენდერი | 3:1 |
| მონსი-ტუბიზე | 5:1 |
| რუზელარე-ოსტენდე | 1:3 |
| ტურნე-სტანდარდი (ვ) | 2:3 |
| ტურნჰაუტი-ჰევერლე | 0:2 |
| ვაასლანდი-ბრიუსელი | 0:0 |
| რუველი-ვიზე | 1:1 |
| ბინენი-ბორინაჟი | 1:2 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

V ტური

| | |
|---|---|
| ოლივეირენსე-ფრეამუნდე | 1:1 |
| პენაფიელი-ტროფენსე | 1:1 |
| ბელენენსეში-ლეიშოეში | 0:0 |
| ჟილ ვისენტე-აროუკა | 1:1 |
| ფატიმა-ეშტორილი | 2:2 |
| მორეირენსე-სანტა კლარა | 1:0 |
| კოვილია-ფეირენსე | 0:3 |
| ვარზიმი-ავეში | 1:1 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-მორტონი | 2:2 |
| დანდი-დანფერმლაინი | 2:2 |
| ქუინი-ფალკირკი | 1:5 |
| რეითი-როსი | 1:0 |
| სტირლინგი-პარტიკი | 4:2 |

### II დივიზიონი

X ტური

| | |
|---|---|
| ეირი-ალოა | 2:1 |
| ბრეჩინი-ეირდრი | 3:1 |
| ისტ ფაიფი-ფორფარი | 1:3 |
| ლივინგსტონი-პიტერჰედი | 1:0 |
| სტენჰაუზმუირი-დამბარტონი | 4:0 |

## შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| ალბიონი-სანიბენკი | 0:1 |
| ბითი-გლაზგო | 8:1 |
| ბონესი-ქუინზ პარკი | 2:1 |
| კლაიდი-ბერვიკი | 1:2 |
| დევერონვეილი-დელბიტი | 1:0 |
| ედინბურგი-თრივი | 2:4 |
| ელჯინი-ბრორა | 5:3 |
| ფორესი-ისტ სტირლინგი | 0:0 |
| გოლსპი-მირვანი | 2:2 |
| ქეითი-სპარტანსი | 0:3 |
| მონროუზი-არბროთი | 1:1 |
| ნეირნი-ქოუვი | 0:1 |
| პრესტონი-ანენი | 0:0 |
| სტრანრაერი-სტ. კატბერტი | 9:0 |
| უიგთაუნი-ბაკი | 1:7 |

## ავსტრია

XII ტური

| | |
|---|---|
| კაპფენბერგი-შტურმი | 0:4 |
| აუსტრია-ლინცერი | 4:1 |
| რიდი-მატერსბურგი | 1:3 |
| ვინერი-რაპიდი | 1:1 |
| ტიროლი-ზალცბურგი | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შტურმი | 11 | 7 | 1 | 3 | 24-11 | 22 |
| 2. ტიროლი | 11 | 6 | 3 | 2 | 19-7 | 21 |
| 3. აუსტრია | 12 | 6 | 3 | 3 | 19-12 | 21 |
| 4. რიდი | 12 | 7 | 0 | 5 | 18-12 | 21 |
| 5. ვინერი | 12 | 5 | 3 | 4 | 20-17 | 18 |
| 6. ზალცბურგი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-8 | 15 |
| 7. რაპიდი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-16 | 15 |
| 8. კაპფენბერგი | 12 | 3 | 3 | 6 | 11-19 | 12 |
| 9. მატერსბურგი | 12 | 3 | 1 | 8 | 10-25 | 10 |
| 10. ლინცერი | 12 | 2 | 2 | 8 | 10-26 | 8 |

## კვიპროსი

VII ტური

| | |
|---|---|
| აპოპ-ეთნიკოსი | 1:0 |
| აპოელ-აეკ | 1:0 |
| ალკი-დოქსა | 1:1 |
| ენოსისი-ანორთოსისი | 0:0 |
| აელ-ომონია | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი-აპოლონი | 2:1 |

## დანია

XIII ტური

| | |
|---|---|
| მიდტიულანდი-ესბერგი | 2:2 |
| ოლბორგი-ნორდშიელანდი | 2:0 |
| ლუნგბიუ-ჰორსენსი | 0:2 |
| სილკებორგი-კოპენჰაგენი | 0:3 |
| ბრონდბიუ-რანდერსი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 13 | 11 | 2 | 0 | 32-8 | 35 |
| 2. მიდტიულანდ | 13 | 6 | 3 | 4 | 21-13 | 21 |
| 3. ბრონდბიუ | 13 | 5 | 4 | 4 | 20-18 | 19 |
| 4. ლუნგბიუ | 13 | 5 | 3 | 5 | 19-23 | 18 |
| 5. ოდენსე | 12 | 5 | 2 | 5 | 19-20 | 17 |
| 6. ჰორსენსი | 13 | 5 | 2 | 6 | 11-17 | 17 |
| 7. სონდერიისკი | 12 | 5 | 1 | 6 | 14-16 | 16 |
| 8. ნორდშელანდ | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 9. სილკებორგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-21 | 14 |
| 10. ესბერგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17-22 | 14 |
| 11. რანდერსი | 13 | 2 | 7 | 4 | 14-17 | 13 |
| 12. ოლბორგი | 13 | 3 | 3 | 7 | 14-19 | 12 |

### II დივიზიონი

XII ტური

როსკილდე-ვეილე 0:1; ვესტსილანდი-ბრონშჰოი 1:4; სკივე-აგფ ორჰუსი 0:2; აკადემისკი-ფინი 0:0; ფრედერისია-ნაესტვედი 1:0; ჰიორინგი-ჰვიდოვრე 4:2; კიოლდინგი-ჰობრო 3:3.

## ფინეთი

XXVI ტური

| | |
|---|---|
| იარო-ოულუ | 1:2 |
| ჰონკა-ინტერი | 1:1 |
| მარიეჰამნი-კუოპიო | 1:2 |
| იუვასკილა-ჰაკა | 1:2 |
| მიუპა-ვაასა | 2:2 |
| ტამპერე-ჰიკ | 2:0 |
| ტურკუ-ლაჰტი | 3:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰიკ | 26 | 15 | 7 | 4 | 43-19 | 52 |
| 2. კუოპიო | 26 | 15 | 3 | 8 | 45-36 | 48 |
| 3. ტურკუ | 26 | 13 | 6 | 7 | 46-30 | 45 |
| 4. ჰონკა | 26 | 12 | 5 | 9 | 42-34 | 41 |
| 5. იარო | 26 | 11 | 5 | 10 | 42-34 | 38 |
| 6. ინტერი | 26 | 10 | 7 | 9 | 34-32 | 37 |
| 7. ტამპერე | 26 | 10 | 4 | 12 | 37-46 | 34 |
| 8. ჰაკა | 26 | 9 | 6 | 11 | 30-38 | 33 |
| 9. მიუპა | 26 | 7 | 11 | 8 | 36-39 | 32 |
| 10. ვაასა | 26 | 8 | 7 | 11 | 29-40 | 31 |
| 11. ოულუ | 26 | 8 | 6 | 12 | 31-44 | 30 |
| 12. მარიეჰამნი | 26 | 7 | 7 | 12 | 38-43 | 28 |
| 13. იუვასკილა | 26 | 8 | 3 | 15 | 34-41 | 27 |
| 14. ლაჰტი | 26 | 5 | 11 | 10 | 26-37 | 26 |

## საბერძნეთი

VII ტური

| | |
|---|---|
| ატრომიტოსი-ქსანთი | 1:1 |
| ასტერასი-ირაკლისი | 0:0 |
| ოლიმპიაკოსი (ვ)-ლარისა | 1:1 |
| კავალა-ერგოტელისი | 3:1 |
| პანსერაიკოსი-კერკირა | 0:2 |
| პაოკ-პანიონიოსი | 3:1 |
| ოლიმპიაკოსი (პ)-არისი | 1:0 |
| აეკ-პანათინაიკოსი | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 7 | 6 | 0 | 1 | 14-3 | 18 |
| 2. პანათინაიკოს | 7 | 4 | 2 | 1 | 11-6 | 14 |
| 3. აეკ | 7 | 4 | 1 | 2 | 12-7 | 13 |
| 4. კერკირა | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 4. კავალა | 7 | 3 | 3 | 1 | 9-6 | 12 |
| 6. ირაკლისი | 7 | 2 | 4 | 1 | 5-4 | 10 |
| 7. ასტერასი | 7 | 2 | 4 | 1 | 6-6 | 10 |
| 8. ოლიმპიაკ (ვ) | 7 | 2 | 3 | 2 | 9-9 | 9 |
| 9. ერგოტელისი | 7 | 3 | 0 | 4 | 5-9 | 9 |
| 10. არისი | 7 | 3 | 0 | 4 | 3-7 | 9 |
| 11. პაოკ | 7 | 2 | 2 | 3 | 7-7 | 8 |
| 12. ატრომიტოსი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-10 | 7 |
| 13. ლარისა | 7 | 1 | 3 | 3 | 3-6 | 6 |
| 14. ქსანთი | 7 | 1 | 3 | 3 | 4-8 | 6 |
| 15. პანიონიოსი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-10 | 4 |
| 16. პანსერაიკოსი | 7 | 1 | 1 | 5 | 5-11 | 4 |

### II დივიზიონი

VII ტური

ანაგენისი-პიერიკოსი 2:0; ეთნიკოსი (ვ)-დიაგორასი 2:4; ოფი-ლევადია 1:0; ეთნიკოსი (ა)-ტრასივულოსი 1:1; იონიკოსი-ილუპოლი 3:0; კალითეა-აგროტიკოსი 1:2; პანაიტოლიკოსი-დოქსა 1:1; პანთრაკიკოსი-ტრიკალა 0:0; ვერია-იანინა 0:1.

## ირლანდია

### II დივიზიონი

XXXII ტური

| | |
|---|---|
| მერვე-მონეგანი | 2:1 |

## ნორვეგია

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-ლილესტრომი | 2:1 |
| მოლდე-ოდ გრენლანდი | 0:0 |
| სანდეფიორდი-ჰაუგესუნდი | 0:1 |
| სტარტი-სტაბეკი | 3:2 |
| სტრიომსგოდსეტი-ჰიონეფოსი | 4:1 |
| ვიკინგი-ოლესუნდი | 1:3 |
| როზენბორგი-ტრომსიო | 1:0 |
| ბრანი-კონგსვინგერი | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. როზენბორგი | 28 | 19 | 9 | 0 | 56-22 | 66 |
| 2. ვოლერენგა | 28 | 18 | 4 | 6 | 65-33 | 58 |
| 3. ტრომსიო | 28 | 13 | 8 | 7 | 34-26 | 47 |
| 4. ჰაუგესუნდი | 28 | 12 | 8 | 8 | 47-34 | 44 |
| 5. ოლესუნდი | 28 | 13 | 4 | 11 | 41-34 | 43 |
| 6. ოდ გრენლან | 28 | 11 | 9 | 8 | 45-39 | 42 |
| 7. სტარტი | 28 | 11 | 8 | 9 | 53-55 | 41 |
| 8. სტრიომსგოდს | 28 | 12 | 4 | 12 | 45-53 | 40 |
| 9. ლილესტრიომ | 28 | 9 | 12 | 7 | 46-38 | 39 |
| 10. ვიკინგი | 28 | 9 | 10 | 9 | 44-39 | 37 |
| 11. სტაბეკი | 28 | 10 | 6 | 12 | 44-45 | 36 |
| 12. მოლდე | 28 | 8 | 10 | 10 | 39-44 | 34 |
| 13. ბრანი | 27 | 7 | 9 | 11 | 43-45 | 30 |
| 14. ჰიონეფოსი | 28 | 6 | 6 | 16 | 24-55 | 24 |
| 15. კონგსვინგერ | 27 | 4 | 7 | 16 | 25-52 | 19 |
| 16. სანდეფიორდ | 28 | 1 | 6 | 21 | 18-55 | 9 |

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ტრიომსდალენი-ფოლლო 0:2; მოსი-მიონდალენი 1:1; რანჰეიმი-ფრედრიკსტადი 2:2; სტრიომენი-ბოდო გლიმტი 2:1; ბრინი-ალტა 4:1; სარპსბორგი-ნილი 1:0; სოგნდალი-სანდნესი 0:0.

## სლოვაკეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-კოშიცე | 4:1 |
| რუჟომბეროკი-დუბნიცა | 0:1 |
| შენიცა-ტატრანი | 1:1 |
| ნიტრა-დ. სტრედა | 0:1 |
| ტრნავა-მორავცე | 0:0 |
| სლოვანი-ჟილინა | 0:1 |

## სლოვენია

XIV ტური

| | |
|---|---|
| ნაფტა-მარიბორი | 0:2 |
| გორიცა-კოპერი | 2:2 |
| ოლიმპია-პუბლიკუმი | 1:0 |
| რუდარი-პრიმორიე | 3:1 |
| ტრიგლავი-დომჟალე | 1:3 |

## შვედეთი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| გეფლე-გაის | 1:0 |
| ჰელსინგბორგი-ატვიდაბერგი | 3:0 |
| კალმარი-მიალბიუ | 1:1 |
| იურგორდენი-ელფსბორგი | 4:4 |
| ჰალმსტადი-აიკ | დღეს |
| გიოტებორგი-ტრელებორგი | დღეს |
| ერებრო-ბრომაპოიკარნა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგ | 28 | 19 | 4 | 5 | 45-24 | 61 |
| 2. მალმიო | 27 | 18 | 4 | 5 | 49-24 | 58 |
| 3. ერებრუ | 27 | 15 | 3 | 9 | 37-27 | 48 |
| 4. ელფსბორგი | 28 | 11 | 11 | 6 | 54-38 | 44 |
| 5. მიალბიუ | 28 | 10 | 10 | 8 | 34-26 | 40 |
| 6. გიოტებორგი | 27 | 10 | 9 | 8 | 38-23 | 39 |
| 7. კალმარი | 28 | 10 | 9 | 9 | 35-35 | 39 |
| 8. იურგორდენი | 28 | 11 | 6 | 11 | 33-38 | 39 |
| 9. ტრელებორგი | 27 | 10 | 5 | 12 | 33-40 | 35 |
| 10. ჰაკენი | 27 | 9 | 7 | 11 | 32-37 | 34 |
| 11. გაის | 28 | 8 | 8 | 12 | 23-31 | 32 |
| 12. ჰალმსტადი | 27 | 9 | 5 | 13 | 26-36 | 32 |
| 13. აიკ | 27 | 8 | 4 | 15 | 24-34 | 28 |
| 14. ატვიდაბერგი | 28 | 7 | 7 | 14 | 30-48 | 28 |
| 15. გეფლე | 28 | 7 | 6 | 15 | 29-42 | 27 |
| 16. ბრომაპოიკარ | 27 | 6 | 6 | 15 | 19-38 | 24 |

### II დივიზიონი

XXX ტური

ასირისკა-ანგელჰოლმი 3:1; ბრაგე-ფალკენბერგი 1:1; დეგერფორსი-ლიუნგსკილე 5:3; ჰამარბიუ-იორგრიტე 1:2; იონჩოპინგი-ლანდსკრონა 4:1; ნორჩოპინგი-სუნდსვალი 1:1; ტროლჰატანი-ოსტერსი 1:2; ვასბი-სირიანსკა 0:3.

## შვეიცარია

XII ტური

| | |
|---|---|
| ქსამაქსი-ლუცერნი | 2:1 |
| სიონი-ციურიხი | 1:1 |
| გრასჰოპერი-თუნი | 0:0 |
| სტ. გალენი-ბაზელი | 1:3 |
| იანგ ბოიზი-ბელინცონა | 1:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლუცერნი | 11 | 7 | 2 | 2 | 30-13 | 23 |
| 2. ბაზელი | 12 | 6 | 4 | 2 | 26-17 | 22 |
| 3. ციურიხი | 11 | 5 | 3 | 3 | 21-18 | 18 |
| 4. სიონი | 11 | 3 | 6 | 2 | 15-12 | 15 |
| 5. თუნი | 12 | 2 | 8 | 2 | 18-17 | 14 |
| 6. იანგ ბოიზი | 12 | 3 | 5 | 4 | 13-16 | 14 |
| 7. ქსამაქსი | 12 | 4 | 2 | 6 | 18-23 | 14 |
| 8. ბელინცონა | 12 | 3 | 5 | 4 | 17-23 | 14 |
| 9. სტ. გალენი | 12 | 3 | 1 | 8 | 13-26 | 10 |
| 10. გრასჰოპერსი | 11 | 1 | 6 | 4 | 11-17 | 9 |

### ჩელენჯლიგა

X ტური

ბილი-სტად ნიონე 5:0; შაფჰაუზენი-ვოლენი 2:1; კრინსი-ვადუცი 0:1; ივერდონი-დელემონი 1:4 ; სერვეტი-ლოკარნო 4:1; არაუ-ვილი 1:2; კიასო-ლოზანა დღეს; ვინტერტური-ლუგანო დღეს.

## თურქეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ქარაბუქი-ესქიშეჰირი | 1:2 |
| სივასი-ბუკა | 1:1 |
| ბუიუქშეჰირი-გაზიანთეპი | 1:0 |
| ანთალია-კონია | 1:0 |
| ტრაბზონი-გენჩლერი | 3:1 |
| ანკარაგიუჯუ-ბურსა | 1:5 |
| მანისა-ქასიმფაშა | 2:1 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 0:0 |
| ქაისერი-ბეშიქთაში | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბურსა | 9 | 7 | 2 | 0 | 18-4 | 23 |
| 2. ტრაბზონი | 9 | 6 | 2 | 1 | 23-7 | 20 |
| 3. ფენერბაჰჩე | 9 | 5 | 2 | 2 | 24-11 | 17 |
| 4. ქაისერი | 8 | 5 | 2 | 1 | 13-4 | 17 |
| 5. ანთალია | 9 | 5 | 2 | 2 | 13-12 | 17 |
| 6. ქარაბუქი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 7. ბეშიქთაში | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| 8. ანკარაგიუჯუ | 9 | 4 | 1 | 4 | 16-16 | 13 |
| 9. გალათასარაი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-12 | 13 |
| 10. ბუიუქშეჰირი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-9 | 13 |
| 11. მანისა | 9 | 4 | 0 | 5 | 15-17 | 12 |
| 12. გაზიანთეპი | 9 | 2 | 4 | 3 | 6-8 | 10 |
| 13. ესქიშეჰირი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-10 | 9 |
| 14. გენჩლერი | 9 | 2 | 2 | 5 | 7-16 | 8 |
| 15. ბუკა | 9 | 1 | 4 | 4 | 5-8 | 7 |
| 16. სივასი | 9 | 1 | 4 | 4 | 8-20 | 7 |
| 17. კონია | 9 | 1 | 3 | 5 | 9-17 | 6 |
| 18. ქასიმფაშა | 9 | 0 | 2 | 7 | 6-26 | 2 |

### II დივიზიონი

IX ტური

დიარბაქირი-თავსანლი 0:1; ერჩიესი-ბოლუ 1:1; გირეშუნი-სამსუნი 0:1; გიუნგორენი-მერსინი 0:0; ქარსიაქა-ადანა 2:2; ორდუ-ქართალი 0:0; რიზე-ახისარი 0:0; ბბ გაზიანთეფი-ალთაი 3:0.

## უელსი

XI ტური

| | |
|---|---|
| ებერისტვითი-კარმარტენი | 2:2 |
| პრესტატინი-ტნს | 0:0 |
| ნიუთაუნი-ჰავერფორდვესტი | 1:1 |
| ნითი-ბანგორი | 1:2 |
| ლანელი-ეირბასი | 1:1 |
| ბალა-პორტ ტელბოტი | 0:0 |

## სერბეთი

IX ტური

| | |
|---|---|
| ცრვენა ზვეზდა-პარტიზანი | 0:1 |
| სარტიდი-ჰაიდუკი | 1:1 |
| ბორაცი-ინდიჯა | 0:0 |
| იავორი-ჩუკარიჩკი | 2:0 |
| ბორჩა-მეტალაცი | 1:0 |
| იაგოდინა-სლობოდა | 0:1 |
| ვოივოდინა-ოფკ | 0:0 |
| სპარტაკი-რადი | 1:2 |

## ბელარუსი

XXIX ტური

| | |
|---|---|
| პარტიზანი-ბელშინა | 0:0 |
| ნემანი-ტორპედო | 2:1 |
| ვიტებსკი-დნეპრი | 1:1 |
| ნაფტანი-შახტიორი | 1:0 |
| მინსკი-დინამო (მნ) | 0:0 |
| ბატე-დინამო (ბრ) | დღეს |

## ბოსნია

XI ტური

| | |
|---|---|
| დრინა-ველეჟი | 2:0 |
| ლეოტარი-სლავია | 2:1 |
| ზვიეზდა-ბუდუჩნოსტი | 0:0 |
| ოლიმპიკი-ბორაცი | 0:0 |
| რუდარი-სლობოდა | 3:0 |
| ტრავნიკი-ზრინსკი | 2:1 |
| შიროკი ბრიეგი-ჩელიკი | 2:2 |
| ჟელეზნიჩარი-სარაევო | 0:0 |

## ბულგარეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| მონტანა-ჩერნო მორე | 4:0 |
| ბეროე-აკადემიკი | 1:0 |
| პირინი-ლოკომოტივი (პ) | 1:1 |
| სლავია-სლივენი | 0:0 |
| კალიაკრა-ჩერნომორეცი | 1:1 |
| მინიორი-ცსკა | 2:4 |
| ლოკომოტივი (ს)-რაკოვსკი | 2:1 |
| ლიტექსი-ლევსკი | დღეს |

## ხორვატია

XII ტური

| | |
|---|---|
| დრაგოვოლიაცი-ზადარი | 1:4 |
| ვარტექსი-ისტრა | 2:1 |
| კარლოვაცი-ლოკომოტივა | 1:2 |
| რიეკა-ოსიეკი | 1:5 |
| სპლიტი-ინტერი | 1:1 |
| სლავენი-ზაგრები | 1:2 |
| ციბალია-ჰაიდუკი | 2:1 |
| დინამო-შიბენიკი | 1:0 |

## ჩეხეთი

XIII ტური

| | |
|---|---|
| ტეპლიცე-ჰრადეცი | 2:1 |
| პრშიბრამი-უსტი | 0:0 |
| ბოლესლავი-პლზენი | 4:3 |
| ბრნო-სლოვაცკო | 7:0 |
| სიგმა-ბოჰემიანსი | 3:1 |
| ბანიკი-იაბლონეცი | 1:3 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 4:0 |
| ლიბერეცი-სპარტა | დღეს |

### II დივიზიონი

XIII ტური

დუკლა-სეზიმოვო 1:1; ტრშინეცი-სპარტა B 3:0; ვლაშიმი-სოკოლოვი 0:1; მოსტი-ჟლინი 3:1; პლუჩნინი-იჰლავა 2:3; სლოვანი-ჩასლავი 3:1; კარვინა-ვიქტორია 1:2; ზნოიმო-კლადნო 2:0.

## ესტონეთი

XXXIV ტური

| | |
|---|---|
| კურესაარე-ფლორა | 0:2 |
| ტრანს ნარვა-პაიდე | 0:0 |
| კალიუ-კალევი | 0:2 |
| ლევადია-ლოოტუსი | 5:0 |
| ტამეკა-ტულევიკი | 2:2 |

## უნგრეთი

XI ტური

| | |
|---|---|
| პაკში-დიოში | 2:1 |
| ზალაეგერსეგი-ვაშაში | 2:1 |
| სოლნოკი-მტკ | 2:1 |
| კეჩკემეტი-ვიდეოტონი | 2:4 |
| ჰალადაში-სიოფოკი | 4:0 |
| კაპოშვარი-ჰონვედი | 0:0 |
| ლომბარდ პაპა-უიპეშტი | 3:1 |
| დებრეცენი-ფერენცვაროში | 2:1 |

## ისრაელი

VII ტური

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (რ-გ) | 2:0 |
| ჰაპოელი (აკ)-ბნეი იეჰუდა | 3:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (პ-თ) | 0:0 |
| ირონი-ჰაპოელი (აშ) | 2:2 |
| მაკაბი (ნ)-ჰაპოელი (ჰ) | 1:1 |
| მაკაბი (ჰ)-აშდოდი | 1:1 |
| მაკაბი (პ-თ)-ჰაპოელი (თ-ა) | 1:2 |
| ბეითარი-ბნეი სახნინი | დღეს |

## ლატვია

XXIII ტური

| | |
|---|---|
| სკონტო-დაუგავა | 0:1 |
| იაუნიბა-ბლაზმა | 0:4 |
| ოლიმპსი-იეგლავა | 2:1 |
| ვენტსპილსი-მეტალურგსი | 0:1 |
| ტრანზიტსი-იურმალა | 2:3 |

## ლიტვა

XXX ტური

| | |
|---|---|
| ტაურასი-ეკრანასი | 0:2 |
| ბანგა-ჟალგირისი | 1:1 |
| კრუოია-მაჟეიკიაი | 2:0 |
| ატლანტასი-კლაიპედა | 2:3 |

## მოლდოვა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ვიიტორული-დინამო | 1:1 |
| ოლიმპია-კოსტულენი | 4:1 |
| სფინტული-გაგაუზია | 2:2 |
| ნისტრუ-დაჩია | 1:1 |
| ზიმბრუ-ცსკა | 0:0 |
| ტირასპოლი-აკადემია | გადაიდო |

## ჩერნოგორია

XI ტური

| | |
|---|---|
| ბუდუჩნოსტი-მლადოსტი | 3:3 |
| გრბალი-რუდარი | 0:1 |
| მოგრენი-სუტიესკა | 4:1 |
| მორნარი-ბარი | 1:0 |
| პეტროვაცი-ლოვჩენი | 1:0 |
| ზეტა-დეჩიჩი | 0:0 |

## პოლონეთი

X ტური

| | |
|---|---|
| პოლონია (ბ)-შლიონსკი | 0:0 |
| კორონა-ლეხია | 1:4 |
| პოლონია (ვ)-კრაკოვია | 3:0 |
| არკა-ბელხატოვი | 1:0 |
| ვისლა-ლეგია | 5:2 |
| ვიძევი-იაგელონია | 4:1 |
| გურნიკი-ლეხი | 2:0 |
| ზაგლები-რუხი | 0:0 |

## რუმინეთი

XII ტური

| | |
|---|---|
| ვიქტორია-ბრაშოვი | 1:1 |
| ტიმიშოარა-უნივერსიტატეა (კლ) | 2:2 |
| გლორია-დინამო | 0:2 |
| გაზ მეთანი-ოცელული | 0:2 |
| ასტრა-ტარგუ | 0:0 |
| უნივერსიტატეა (კრ)-ვასლუი | 0:1 |
| სპორტული-რაპიდი | 0:2 |
| კლუჟი-უნირეა | 3:0 |
| სტიაუა-პანდური | დღეს |

## რუსეთი

XXV ტური

| | |
|---|---|
| სიბირი-სპარტაკი | 0:0 |
| ალანია-დინამო | 0:0 |
| ნალჩიკი-ტომი | 2:1 |
| სატურნი-ტერეკი | 1:0 |
| ამქარი-ლოკომოტივი | 1:2 |
| ცსკა-რუბინი | 0:0 |
| ანჟი-ზენიტი | 3:3 |
| როსტოვი-კრილია | 1:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზენიტი | 23 | 17 | 6 | 0 | 45-13 | 57 |
| 2. რუბინი | 25 | 14 | 9 | 2 | 30-11 | 51 |
| 3. ცსკა | 23 | 15 | 4 | 4 | 39-15 | 49 |
| 4. სპარტაკი | 24 | 11 | 7 | 6 | 37-27 | 40 |
| 5. ნალჩიკი | 25 | 11 | 6 | 8 | 34-29 | 39 |
| 6. ლოკომოტივ | 25 | 11 | 6 | 8 | 30-27 | 39 |
| 7. როსტოვი | 25 | 10 | 3 | 12 | 23-31 | 33 |
| 8. დინამო | 24 | 8 | 9 | 7 | 30-25 | 33 |
| 9. ტერეკი | 25 | 8 | 7 | 10 | 24-25 | 31 |
| 10. სატურნი | 25 | 7 | 7 | 11 | 21-31 | 28 |
| 11. ტომი | 25 | 7 | 6 | 12 | 29-40 | 27 |
| 12. კრილია | 25 | 6 | 8 | 11 | 24-34 | 26 |
| 13. ანჟი | 25 | 6 | 6 | 13 | 21-34 | 24 |
| 14. ალანია | 25 | 6 | 6 | 13 | 21-35 | 24 |
| 15. ამქარი | 25 | 6 | 4 | 15 | 17-31 | 22 |
| 16. სიბირი | 25 | 4 | 6 | 15 | 29-46 | 18 |

### II დივიზიონი

XXXV ტური

| | |
|---|---|
| ხიმკი-მორდოვია | 0:3 |
| სკა ენერგია-გაზპრომი | 1:0 |
| ლუჩ ენერგია-როტორი | 1:1 |
| ირტიში-დინამო (ბრ) | 1:4 |
| ურალი-შინიკი | 0:0 |
| ვოლგა-კრასნოდარი | 4:1 |
| კამაზ-ჟემჩუჟინა | 2:0 |
| კუბანი-ნ. ნოვგოროდი | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კუბანი | 35 | 23 | 8 | 4 | 47-16 | 77 |
| 2. ვოლგა | 35 | 18 | 13 | 4 | 57-21 | 67 |
| 3. ნ. ნოვგოროდი | 35 | 20 | 5 | 10 | 54-37 | 65 |
| 4. კამაზ | 35 | 17 | 9 | 9 | 51-39 | 60 |
| 5. ურალი | 35 | 14 | 14 | 7 | 33-22 | 56 |
| 6. კრასნოდარი | 35 | 15 | 10 | 10 | 57-43 | 55 |
| 7. ჟემჩუჟინა | 35 | 15 | 8 | 12 | 41-38 | 53 |
| 8. შინიკი | 35 | 14 | 10 | 11 | 41-29 | 52 |
| 9. მორდოვია | 35 | 14 | 10 | 11 | 48-38 | 52 |
| 10. გაზპრომი | 35 | 14 | 8 | 13 | 40-45 | 50 |
| 11. ლ-ენერგია | 35 | 11 | 13 | 11 | 39-40 | 46 |
| 12. ხიმკი | 35 | 10 | 15 | 10 | 35-35 | 45 |
| 13. ს-ენერგია | 35 | 12 | 8 | 15 | 26-36 | 44 |
| 14. ბალტიკა | 35 | 10 | 9 | 16 | 34-44 | 39 |
| 15. დინამო (ბრ) | 35 | 9 | 10 | 16 | 44-49 | 37 |
| 16. დინამო (ს-პ) | 35 | 9 | 9 | 17 | 31-47 | 36 |
| 17. სალიუტი | 35 | 7 | 13 | 15 | 28-40 | 34 |
| 18. როტორი | 35 | 9 | 7 | 19 | 27-58 | 34 |
| 19. ირტიში | 35 | 6 | 9 | 20 | 24-47 | 27 |
| 20. ავანგარდი | 35 | 6 | 6 | 23 | 27-60 | 24 |

## არგენტინა

XII ტური

| | |
|---|---|
| არსენალი-გოდოი | 1:3 |
| ველეს სარსფილდი-ესტუდიანტესი | 0:0 |
| არგ. ხუნიორსი-ოლ ბოისი | 1:0 |
| რივერ პლეიტი-რასინგი | 1:1 |
| ქილმესი-ბანფილდი | 0:2 |
| ლანუსი-კოლონი | 1:2 |
| ურაკანი-სან ლორენსო | 3:0 |
| ინდეპენდიენტე-ბოკა ხუნიორსი | 0:0 |
| ტიგრე-ოლიმპო | გვ. დასრულდა |
| ნიუელსი-ხიმნასია | გვ. დასრულდა |

## ბრაზილია

XXXI ტური

| | |
|---|---|
| ბოტაფოგო-ვიტორია | 1:0 |
| გუარანი-ატ. გოიანიენსე | 0:1 |
| ატ. პარანაენსე-ფლუმინენსე | 2:2 |
| სეარა-სან პაულუ | 2:0 |
| კორინთიანსი-პალმეირასი | 1:0 |
| გოიაში-ავაი | 1:0 |
| კრუზეირო-ატ. მინეირო | 3:4 |
| გრემიო-ინტერნასიონალი | 2:2 |
| სანტოსი-გრემიო პრუდენტე | 2:3 |
| ვასკო და გამა-ფლამენგო | 1:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უკრაინა

XIV ტური

| | |
|---|---|
| ობოლონი-ტავრია | 2:1 |
| ზორია-კრივბასი | 1:0 |
| სევასტოპოლი-მეტალურგი (ზ) | 1:0 |
| არსენალი-დნიპრო | 1:2 |
| შახტარი-ვორსკლა | 1:0 |
| ილიჩივეცი-მეტალისტი | 1:4 |
| ვოლინი-დინამო | 1:2 |
| კარპატი-მეტალურგი (დ) | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 14 | 12 | 1 | 1 | 26-5 | 37 |
| 2. დინამო | 14 | 10 | 2 | 2 | 22-13 | 32 |
| 3. მეტალისტი | 14 | 9 | 1 | 4 | 26-13 | 28 |
| 4. დნიპრო | 14 | 8 | 3 | 3 | 23-9 | 27 |
| 5. კარპატი | 14 | 7 | 2 | 5 | 17-14 | 23 |
| 6. არსენალი | 14 | 6 | 2 | 6 | 17-16 | 20 |
| 7. ვორსკლა | 14 | 5 | 3 | 6 | 15-15 | 18 |
| 8. მეტალურ (დ) | 14 | 5 | 3 | 6 | 17-19 | 18 |
| 9. კრივბასი | 14 | 3 | 7 | 4 | 13-17 | 16 |
| 10. ტავრია | 14 | 4 | 3 | 7 | 21-23 | 15 |
| 11. ვოლინი | 14 | 4 | 3 | 7 | 11-18 | 15 |
| 12. ობოლონი | 14 | 4 | 3 | 7 | 11-20 | 15 |
| 13. ზორია | 14 | 3 | 6 | 5 | 15-19 | 15 |
| 14. ილიჩივეცი | 14 | 3 | 5 | 6 | 20-27 | 14 |
| 15. სევასტოპოლი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-21 | 14 |
| 16. მეტალურ (ზ) | 14 | 0 | 3 | 11 | 4-20 | 3 |

## აზერბაიჯანი

X ტური

| | |
|---|---|
| ქაბალა-აზალ | 0:0 |
| ნეფთჩი-განჯა | 6:2 |
| ხაზარი-თურანი | 2:0 |
| მოიკ-სიმურგი | 0:2 |
| მუგანი-ყარაბაღი | 0:0 |
| ინტერი-ბაქუ | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნეფთჩი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-6 | 23 |
| 2. ხაზარი | 10 | 6 | 3 | 1 | 12-5 | 21 |
| 3. ინტერი | 10 | 6 | 1 | 3 | 8-8 | 19 |
| 4. აზალ | 10 | 5 | 3 | 2 | 14-6 | 18 |
| 5. ყარაბაღი | 10 | 5 | 3 | 2 | 12-6 | 18 |
| 6. განჯა | 10 | 3 | 5 | 2 | 17-15 | 14 |
| 7. ქაბალა | 10 | 4 | 2 | 4 | 8-7 | 14 |
| 8. ბაქუ | 10 | 3 | 3 | 4 | 12-13 | 12 |
| 9. მუგანი | 10 | 2 | 4 | 4 | 6-9 | 10 |
| 10. სიმურგი | 10 | 1 | 3 | 6 | 9-18 | 6 |
| 11. თურანი | 10 | 0 | 4 | 6 | 7-17 | 4 |
| 12. მოიკ | 10 | 1 | 1 | 8 | 4-22 | 4 |

## ჩილე

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| პალესტინო-კოლო კოლო | 1:2 |
| ევერტონი-უონდერერსი | 0:2 |
| უაჩიპატო-უნ. კონსეპსიონი | 3:0 |
| ატ. ნუბლენსე-უნ. კატოლიკა | 1:4 |
| ლა სერენა-უნ. ესპანიოლა | 3:1 |
| ს. მორნინგი-ო'ჰიგინსი | 2:1 |
| სან ფელიპე-სან ლუისი | 3:0 |

## ეკვადორი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ლდუ კიტო-მაკარა | 3:0 |
| დეპ. კიტო-მანტა | 4:0 |
| ოლმედო-ინდეპენდიენტე | 2:1 |
| უნ. კატოლიკა-ბარსელონა | 2:2 |
| ესპოლი-ელ ნასიონალი | 0:1 |

## ურუგვაი

IX ტური

| | |
|---|---|
| მირამარი-სერო | 1:1 |
| მონტევიდეო-უონდერერსი | 2:2 |
| ნასიონალი-ტაკუარემბო | 3:0 |
| რივერ პლეიტი-ლივერპული | 1:2 |
| ბელა ვისტა-ელ ტანკე | 1:2 |
| სენტრალი-რასინგი | 1:1 |
| დეფენსორი-რამპლა | 4:1 |
| პენიაროლი-დანუბიო | 1:0 |

## მექსიკა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ნეკაქსა-სან ლუისი | 0:2 |
| ხაგუარესი-პაჩუკა | 2:0 |
| კერეტარო-ტეკოსი | 1:0 |
| ს. ლაგუნა-მონტერეი | 1:2 |
| ტიგრესი-პუმასი | 2:0 |
| ატლასი-ატლანტე | 3:1 |
| მორელია-კრუს ასული | 1:1 |
| ტოლუკა-პუებლა | 2:1 |

## აშშ

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ნიუ იორკი-ნიუ ინგლენდი | 2:0 |
| ჰიუსტონი-სიეტლი | 2:1 |
| დი სი იუნაიტედი-ტორონტო | 2:3 |
| კანზასი-სან ხოსე | 4:1 |
| კოლორადო-სოლტ ლეიკი | 2:2 |
| ჩივასი-ჩიკაგო | 1:4 |
| კოლამბუსი-ფილადელფია | 3:1 |

## იაპონია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ჯუბილო ივატა-ურავა | 2:1 |
| ტოკიო-ნიიგატა | 1:1 |
| იამაგატა-შიმიძუ | 0:3 |
| სერეზო-ვეგალტა | 0:0 |
| კობე-ნაგოია | 1:2 |
| კიოტო-გამბა | 1:2 |
| ჰიროშიმა-შონანი | 3:0 |
| კაშიმა-იოკოჰამა | 2:0 |
| ომია-კავასაკი | 2:2 |

## ევრო 2011

### UNDER 19

| | |
|---|---|
| ისრაელი-ესპანეთი | 0:3 |
| სომხეთი-ლიტვა | 1:0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო. მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# ჭრიკიშვილის ოქრო და დუბლი სეზონში

« პირველი გვერდიდან

ქებათაქება **გურამ მოდებაძის** აღზრდილ ავთანდილ ჭრიკიშვილს! სეზონში დუბლის გაკეთება სულაც არაა იოლი და ამას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ, განსაკუთრებით ნიჭიერები. თანაც, მან ევროპის ჩემპიონატი ძალზე იოლად, რომ იტყვიან, ცალი ხელით მოიგო და დიდად არც ახლა გასჭირვებია გამარჯვება. ვფიქრობთ, ეს წარმატება, უპირველესად, მისმა პიროვნულმა თვისებებმა განაპირობა - ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული წარმატება თავში არ ავარდნია, ისევ ისეთი წყნარი, ჩუმი, გამრჯე, მწვრთნელებისადმი ძველებურად დამჯერი და მუყაითი დარჩა, არც ვარჯიშისთვის მოუკლია და დროის მცირე მონაკვეთში პირველზე უფრო დიდ შედეგს მიაღწია. თუ შეძლებს და მომავალშიც ასე აჯობებს საკუთარ თავს, არ შეეყრება „ვარსკვლავური სენი", მაშინ მეტოქეებსაც არაერთხელ აჯობებს და ბევრად დიდ წარმატებებსაც მოიპოვებს. ტექნიკურ-ფიზიკურად თუ ტაქტიკური განსწავლულობის მხრივ მას საამისოდ ყველა მონაცემი გააჩნია. ახლა მთავარია განუწყვეტელი შრომა, გამოცდილება კი თავისით მოვა, ხოლო დაუზარელი გარჯა და მონდომება აუცილებლად დაფასდება. ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ „აქილევსის ქუსლად" ქცეულ ამ წონაში წლეულს უჩვეულოდ გაიზრდება კონკურენცია და საქართველოს ჩემპიონატზე საინტერესო ბრძოლებს ვიხილავთ.

ევროპის ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ ჭრიკიშვილს მაროკოშიც საჩემპიონო კაცად მიიჩნევდა, თუმცა იყო რამდენიმე დამაფიქრებელი მომენტი - მსოფლიოს პირველობა ხომ შეუდარებლად ძლიერია ევროპისაზე, აქ აზიელები რომ ორ-ორი შემადგენლობით ემატებოდნენ, ევროპელებიც ასევე ორ-ორი გუნდით გამოდიოდნენ; მეტად ხანმოკლე შუალედი ამ ორ დიდ შეჯიბრებას შორის - საერთაშორისო კალენდარი ასე ძალიან დიდებს არ ტვირთავს, არათუ მოზარდებს, მაგრამ ჭრიკიშვილმა ყველაფერს გაუძლო. თან მშვენიერი მომზადება გამოავლინა ყველა ასპექტში. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ეს გამარჯვება ისედაც გამორჩეულია, მაგრამ მისი მნიშვნელობა გააათმაგა იმ ფაქტმა, რომ ჭრიკიშვილმა ბოლო ორი შეხვედრა იაპონელებთან მოიგო, რაც სპორტული გმირობის კიდევ ერთი საზომია - ნახევარფინალში **იუნ ტოიოდას** იუკოთი გასცდა, ფინალში კი **იუიჩი კიტანო** ვაზარით დაჯაბნა. ალბათ, ნახევარფინალი ყველაზე ძნელი ბრძოლა იყო, სადაც ჩვენებურმა იუკო მეორე წუთის მიწურულს მოიპოვა, რის შემდეგაც მსაჯებმა მეტოქეს ორი გდება გაუუქმეს. ფინალში კიტანო უფრო ჭკვიანური, გააზრებული ჭიდაობით დაჩაგრა - იქნებ ზოგჯერ აზიელი უფრო აქტიური ჩანდა, მაგრამ ვერანაირი საფრთხე ვერ შეუქმნა. კარგი ფიზიკური მომზადების წყალობით, ჭრიკიშვილს მუდმივად წნეხში ჰყავდა ის, ჩავლებებშიც აჯობა და დამთავრებამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე ჯერ დამყოლი ბავშვივით გაიყვანა ხაზთან (ეტყობა, ეს გუგავას დავალება იყო - შუაში არ ეჭიდავა) და უზადო მოგვერდით ვაზარიზე დააგდო. ამ მომენტში მსაჯმა სულაც იპონი აჩვენა, მაგრამ მერე შეცვალა გადაწყვეტილება, თუმცა ეს არაფერს ცვლიდა - ჭრიკიშვილმა გარეგნულად ინიციატივა დაუთმო კიტანოს და უფრო დროის გაყვანაზე ჭიდაობდა, ფინალი კი მორიგი მშვენიერი, სახალისო გდებით დაასრულა - ერთი წამით ადრე იაპონელი ისე მოხდენილად გადმოილო და გაისროლა, შერცხვენილი კარგა ხანს ვერ დგებოდა ლეიბიდან. ეს უფრო საცირკო-აკრობატულ ილეთს ჰგავდა, რამაც დარბაზი გვარიანად გაამხიარულა და ჩვენებურს ლამაზი სანახაობისთვის ტაშიც დაუკრეს.

ნინასწარ შეხვედრებს რაც შეეხება, ამერიკელ **დერეკ ვოიციკს** ჯერ იუკო აართვა, მერე კი პირდაპირ იპონზე დააგდო. შედარებით გაუჭირდა უკრაინელ **დენის გრიგორენკოსთან** და სლოვენიელ **გასპერ იერმანთან** - ორივეს გაფრთხილებებით მოუგო, მეოთხედფინალში კი თურქი **ბატუჰან ეფემგილი** დააიპონა.

ეს ყველაფერი შაბათს მოხდა, რაც გუგავას აგადირულ თავგადასავლებში, ალბათ, ყველაზე წარმატებული და რთულიც იყო, ვინაიდან მედლისთვის კიდევ ორი ქართველი ჭიდაობდა - გიორგი მერმანიშვილი და არჩილ შინჯიკაშვილი. ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი მერმანიშვილი ტურნირში ყოჩაღად ჩაება, თუმცა პირველ შეხვედრაში უზბეკი **დავრონბეკ სატოროვის** დასამარცხებლად დამატებითი დრო დასჭირდა, მაგრამ ღირდა ამად - იპონზე დააგდო. დრამატული გამოდგა მეორე შეხვედრაც მასპინძელ **ამინე აჰდა აჰმედთან** - 27-ე წამზე მეტოქე ვაზარით დაწინაურდა, მაგრამ ამის შემდეგ ჩვენებურის დრო დადგა - ჯერ იუკო აართვა, მერე - ორი ვაზარი და მორიგი წმინდა გამარჯვება მიითვალა. მერმანიშვილმა მესამე შეხვედრაც იპონით მოიგო სლოვაკ **არპად სზაკაცზთან**, აი, მერე კი უნგრელ **კრისტიან ტოტთან** წმინდად დამარცხდა. არადა, იუკოს უგებდა და გა-



ავთანდილ ჭრიკიშვილი

მარჯვებას 30 წამი აშორებდა. სამწუხაროდ, სანუგეშოში პირველივე შეხვედრა წააგო ამერიკელ **მაქს გოლემბოსთან** და უმედლოდ დარჩა, თუმცა მან მაინც კარგად წარმოაჩინა თავი და სამომავლოდ ამ წონაში კარგი კონკურენციის შექმნა შეუძლია.

ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელმა ვიცე-ჩემპიონმა შინჯიკაშვილმა პირველი ორი შეხვედრა წმინდად მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა, თუმცა ყაზახ **აიტუარ აბდულოვს** თუ 1,21-ში საიპონე ილეთი გაუკეთა, მასპინძელი **ტაიბ მალკი** გაფრთხილებებით მოახსნევინა. ამას უკრაინელ **სტანისლავ რეტინსკისთან** წმინდად წაგება მოჰყვა და დამამშვიდებელში გადავიდა. იქ ფრანგ **ალექსანდრ იდირს** იპონით კი მოუგო და ბრინჯაოსთვის ორთაბრძოლაშიც უნგრელ **გაბორ ვერს** ვაზარის უგებდა, თან მეტოქეს ერთი გაფრთხილებაც ჰქონდა, მაგრამ ძალზე სამწუხარო შეცდომა დაუშვა - ფეხში ხელით შესვლისთვის მოხსნეს. ასე დასანანად დარჩა ჩვენებური უმედლოდ.

შაბათს გუგავას შეგირდებიდან ნაადრევად მხოლოდ ევროპის წლევანდელი ვიცე-ჩემპიონი **გიორგი ნოზაძე** (90) გავარდა, რომელიც ძალზე გამოცდილ მეტოქესთან, ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელ ვერცხლისა და მსოფლიოს პრიზიორთან, უფროსთა ტურნირებში ჭიპმოჭრილ ესტონელ **გრიგორი მინასკინთან** დამარცხდა. კვირას ჩვენებურებიდან მედლისკენ მხოლოდ კობერიძემ გაიწია, რაც საკუთარი ხარჯით წასული ბიჭისგან ფრიად მოულოდნელი და სასიამოვნო სიურპრიზი იყო. წინასწარ შეხვედრებში მან სამი იპონი მიითვალა - ლიბანელ **ტარეკ ფაჰმისთან**, ბრიტანელ **ჯოშუა ბატლერთან** და ეგვიპტელ **მაჰმუდ გაბალასთან**, თუმცა მერე დამთავრებამდე ოთხიოდ წამით ადრე დასანანი შეხვედრა წააგო ჯერ ყაზახ **ვიქტორ დემიანენკოსთან**, მერე კი სანუგეშოშიც დამარცხდა იტალიელ **ლუკა არდიზიოსთან**. ამავე წონაში **ონისე ბულაძე** პირველივე შეხვედრაში ბულგარელ **დანიელ დიჩევთან** მარცხით დაემშვიდობა ჩემპიონატს. პირველივე ორთაბრძოლა დათმო მძიმეწონოსანმა **ლევან მათიაშვილმა**, ხოლო ამ წონაში **უშანგი კოკაურმა** ერთი შეხვედრის მოგება მოახერხა, მეტის ვერა.

გოგონათა ტურნირში ერთადერთი მონაწილე გვყავდა - **შორენა შარაძე** (63), რომელმაც პირველი ეტაპი წარმატებით გადალახა - ავსტრალიელი **სტივ კელი** იპონით დაამარცხა, ხორვატ **ანდრეა დაკოვიჩს** კი მედგარი ბრძოლა გაუმართა და იუკოც აართვა, მაგრამ საბოლოოდ ვაზარით წააგო.

**კვარცხლბეკი**

**ვაჟები. 81 კგ. 1. ავთანდილ ჭრიკიშვილი (საქართველო)**, 2. იუიჩი კიტანო, 3. იუნ ტოიოდა (ორივე - იაპონია), კრისტიან ტოტი (უნგრეთი). **90 კგ.** 1. მაგომედ მაგომედოვი (რუსეთი), 2. მინ-ჰო ჰვანგი (კორეა), 3. შაჰინ გარამანოვი (აზერბაიჯანი), გაბორ ვერი (უნგრეთი). **100 კგ.** 1. რიუნოსუკე ჰაგა (იაპონია), 2. იოუნგ-ჰუნ კიმი (კორეა), 3. ვიქტორ დემიანენკო (ყაზახეთი), ფეიაზ იაზიცი (თურქეთი). **+100 კგ.** 1. ტაკეში ოჯიტანი (იაპონია), 2. ჰაო ვანგი (ჩინეთი), 3. როი მეიერი (ჰოლანდია), გუ-ჰამ ჩო (კორეა). **გოგოები. 63 კგ.** 1. მიკუ ტაშირო (იაპონია), 2. ვლორა ბედეტი (სლოვენია), 3. კატრინ უნტერვურზახერი (ავსტრია), იალინგ ზენგი (ჩინეთი). **70 კგ.** 1. კიმ პოლინგი (ჰოლანდია), 2. ნაცუმი ზაბა, 3. იური მაცუნობი (იაპონია), სეონგ იეონ კიმი (კორეა). **78 კგ.** 1. მაირა აგუიარი (ბრაზილია), 2. ანა ველენსეკი (სლოვენია), 3. ივანა მარანიცი (ხორვატია), მისაკი შიმოდა (იაპონია). **+78 კგ.** 1. მანამი ინუე (იაპონია), 2. იან ჰაო (ჩინეთი), 3. სონია ასელანი (ალჟირი), იასუნა იამამოტო (იაპონია).

**ირაკლი თავაძე**

თავისუფალი ჭიდაობა

# ცხრა მედლით ერევნიდან

საქართველოს „თავისუფლად" მოჭიდავეთა ნაკრებმა ცხრა მედლით დაამთავრა გამოსვლა ერევანში ჩატარებულ სერჟ სარგსიანის სახელობის ტურნირში. აქედან თითო ოქრო-ვერცხლია, შვიდი - ბრინჯაო. საკმაოდ წარმომადგენლობითი და მაღალანაზღაურებადი შეჯიბრების (ჩემპიონები 5 000 დოლარს იღებდნენ) გამარჯვებული **მალხაზ ზარქუა** (60) გახდა. **გელა სალირაშვილმა** (74) ფინალი დათმო, მესამეზე კი **გიორგი ედიშერაშვილი** (55), **მალხაზ ქურდიანი** (60), **კობა კაკალაძე** (66), **ბექა ჭელიძე, არჩილ ქიტიაშვილი** (ორივე - 84), **ელიზბარ ოდიკაძე** (96) და **ლევან სეთურიძე** (120) გავიდნენ. ერევანში ჩვენები დიდი გუნდით გამოდიოდნენ - დაახლოებით 35-მდე სპორტსმენი ჭიდაობდა და სასიხარულოა, რომ ყველა წონაში მოვიპოვეთ მედალი.

55-ში ედიშერაშვილმა წინასწარ შეხვედრებში ახალგაზრდებში მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონი და ევროპის ვერცხლის მედალოსანი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** დაამარცხა. 60-ში ზარქუა და ქურდიანი ერთმანეთს არ შეხვედრიან, სალირაშვილის ფინალზე კი ამბობენ, მასპინძელთან დაჩაგრესო. არადა, ეს მასპინძელი რუსეთიდან გადაყვანილი ფალავანი ყოფილა, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ **მახაჩ მურთაზალიევის** ძმა. **მუსა მურთაზალიევია**. მძიმეში სეთურიძემ ნახევარფინალი ამერიკელ მსოფლიოს პრიზიორ ტერველ დლაგნევთან დათმო.

რაკილა ნატურალიზებულებზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე ერთ საკმაოდ სენსაციურ ამბავზეც ვთქვათ. როგორც რუსული ფორუმებიდან შევიტყვეთ - აზერბაიჯანელები კუბელი მძიმეწონოსნის, მსოფლიოს ჩემპიონისა და ოთხგზის ფინალისტის, ოლიმპიურ პრიზიორ **ალექსის როდრიგესის** გადაბირებას გეგმავენ. ჩვენს მეზობლებს უცხოელი მოჭიდავეები არ აკლიათ, მაგრამ მადაგალვიძებულმა ბოლო წლებში ტოპკლასის მოჭიდავეებზე მიიტანეს იერიში. თანაც ისეთ ქვეყნებში, როგორიც რუსეთი და ირანია, ახლა კი მიზანში კუბაც ამოიღეს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ როდრიგესი უკვე 32 წლისაა და აღარც კუბელთა ლიდერია, აზერბაიჯანელებმა კი ამ შემოდგომაზე თავისთან გადასვლა ქალებში ორ მსოფლიოს ჩემპიონს - უკრაინელ **ალექსანდრა კოგუტსა** (51) და ბულგარელ მსოფლიოს ოთხგზის, ევროპის ხუთგზის და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **სტანკა ზლატევას** (72) შესთავაზეს. უკრაინელის გასამრჯელო არ ვიცით, მაგრამ ბულგარელს საამისოდ 2 მილიონი დოლარი შესთავაზეს, საიდანაც ნახევარი ბულგარულ ფედერაციას უნდა მიეღო, მეორე ნახევარი კი სპორტსმენის ფეშქაში იქნებოდა. ორივე სპორტსმენმა იუარა იქ გადასვლა.

ბოლოს, ისევ რუსული ფორუმებიდან გაგებული კიდევ ერთი ამბავი, რომელიც თავისუფალ ჭიდაობაში რუსთა ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონ **შირვანი მურადოვს** (96) ეხება - მას პეკინის ოლიმპიადის შემდეგ არც უჭიდავია, ახლა კი, ეტყობა, საბოლოოდ წავიდა სპორტიდან. როგორც იქაური ქომაგები წერენ, ის პოლიტიკაში წავიდა და მშობლიური რეგიონის დეპუტატი გახდა.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი

# კატარომ კორდიჩზე შური იძია

ევროპელ წყალბურთელთა ლენ ტროფის გათამაშების მეორე რაუნდში 32-მა კლუბმა მოიყარა თავი. მათ შორის იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის მერიის გუნდი „ლიგამუსი-თბილისი", რომელიც წილისყრით E ჯგუფში მოხვდა კოტორში (ჩერნოგორია) „კატაროსთან", ათენის „პანიონიოსთან", და თურქეთის „იუზმესთან" ერთად. ჩვენებს (მთავარი მწვრთნელი **ზვიად დავითიანი**) სასტარო შეხვედრა მასპინძლებთან — ამ საპატიო თასის 2009-2010 წლების გამარჯვებულთან ჰქონდათ. პირველი პერიოდი კოტორელებმა 4:1 მოიგეს, მეორე სტუმრებმა — 4:2. მესამე პერიოდში ერთი ბურთის გაქვითვასაც წინ არაფერი ედგა, რადგან მასპინძლები დაჯარიმდნენ და რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება შეიძლებოდა, მაგრამ მსაჯებმა — გერმანელმა **რეინინკ გერვინმა** და ჰოლანდიელმა **ფან დერ ლუუ პეტერმა** თბილისელთა საუკეთესო მცველი **მარკო კორდიჩი** თამაშის ბოლომდე გააძევეს. შეგახსენებთ, რომ ჩვენებმა, სწორედ, „კატაროდან" გადმოიბირეს მარკო წლეულს და, ეტყობა, კოტორელებმა მასზე მსაჯების მეშვეობით ჯავრი იყარეს. ოთხი წუთის განმავლობაში კაცნაკლულმა ქართველებმა მეტოქის იერიშებს ვერ გაუძლეს და 4 „მშრალი" ბურთი მიიღეს საკუთარ კარში. გულგატეხილებმა მე-4 პერიოდი 2:3 წააგეს და საბოლოოდ 7:13 დათმეს შეხვედრა. როგორც ჩანს, მასპინძლებმა ჯგუფში ჩარჩენის შიშით პირველსავე შეხვედრაში თავი დაიზღვიეს. მეორე ტურში მასპინძლები სტამბოლის არცთუ ძლიერ „იუზმეს" დაუზავდნენ (8:8), ხოლო „პანიონიოსთან" სულაც დამარცხდნენ 6:17. პირველ ტურში თურქების მძლეველმა (15:4) ბერძნებმა ასპარეზობის მეორე დღეს თბილისელებსაც მოუგეს 16:6 (5:1, 5:2, 2:2, 4:1. ამ მატჩში დისკვალიფიკაციის გამო კორდიჩს არ უთამაშია). გუშინ ბოლო ტურში „იუზმეს" წინაალმდეგ „ლიგამუსი-თბილისი" უფრო ყოჩალად გრძნობდა თავს და გაიმარჯვა კიდეც 11:10 (4:2, 3:1, 3:3, 1:4). ბურთები გაიტანეს — რურუამ (3), კორდიჩმა (2), ჩომახიძემ (2) და თითო ხვედელიანმა, ბალათურიამ, გეგელაშვილმა და ნიკოლეიშვილმა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანიონიოსი | 3 | 3 | 0 | 0 | 48:16 | 9 |
| 2. კატარო | 3 | 1 | 1 | 1 | 27:32 | 4 |
| 3. ლიგამუსი-თბ. | 3 | 1 | 0 | 2 | 24:39 | 3 |
| 4. იუზმე | 3 | 0 | 1 | 2 | 22:34 | 1 |

მერვედფინალში „პანიონისი" და „კატარო" გავიდნენ. საქართველოს წყალბურთელებმა, მართალია, შემდეგი ეტაპის საგზური ვერ მოიპოვეს, მაგრამ ორ საკვალიფიკაციო რაუნდში თამამი თამაშით გამოცდილება მიიღეს, რაც ეროვნულ გუნდში საასპარეზოდ გამოადგებათ. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ შეხვედრას თბილისის „ოლიმპიკის" აუზში 30 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის წყალბურთელებთან გამართავს.

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# მეექვსე ადგილი იქმარეს

ქალთა 14 და ვაჟთა 49 გუნდის მონაწილეობით პლოვდივში დამთავრდა მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატი. მანდილოსნებში შარშანდელი შეჯიბრების მესამე პრიზიორმა თბილისის „სამაიამ", რომელიც ბულგარეთში ამჯერადაც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით გაემგზავრა, ბოლო ტურში სერბეთის „ბას ბელგრადი" დაამარცხა — 2,5:1,5: მეორე დაფაზე **სალომე მელიამ (2439) ირინა ჩელუშკინას** (2325) აჯობა, რითაც სამი კვირის წინ ხანტი-მანსიისკში მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადაზე წაგებისთვის რევანში აიღო. **ლელა ჯავახიშვილი** (2451)-**ინა გაპონენკო** (2469), **ნინო ხურციძე** (2439)-**ტატიანა ვასილევიჩი** (2399), **ლილია დრლევიჩი** (2273)-**ბელა ხოტენაშვილი** (2464) კი დაზავდნენ (საგულისხმოა, რომ ოლიმპიადაზე სერბებმაც ასეთივე ანგარიშით გვძლიეს). რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, ტურნირის რეიტინგფავორიტმა მონაკოს „მონტე კარლომ" ქულა გაიყო რუსეთის AVS-სთან — 2:2, ასევე, საზავო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი რუსთა „გიპრორეჩტრანსმა" და „პეტერბურგმა", ერევნის „მიკამ" მასპინძელთა „ლოკომოტივი" არ დაინდო 3,5:0,5, „ფოლკსბანკი" (გერმანია)-„ოსლო" (ნორვეგია) 2,5:1,5, „კომარნო" (სლოვაკეთი)-„ჰერცლია" (ისრაელი) 1:3, „აშდოდი" (ისრაელი)-„ფიშერ კიეტი" (იტალია) 2,5:1,5.

ამდენად, შვიდტურიანი სპრინტერული დისტანციის შემდეგ 10 (19,0) ქულით პირველი ადგილი „მონტე კარლომ" დაიკავა, რომელიც მესამედ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. ამდენივე ქულა მოაგროვა „პეტერბურგმა", მაგრამ დამატებით (18) მაჩვენებლებით რუსებს ვერცხლის მედალი ხვდათ. 9-9 ქულით მესამე-მეექვსე ადგილებზე გავიდნენ „მიკა" (18), „გიპრორეჩტრანსი" (17,5), AVS (15,5) და „სამაია" (14).

ვაჟებში 13 (18,5) ქულით პირველი ადგილი და ოქროს მედლები რუსეთის „ეკონომისტს" ხვდა. 11 ქულა ერთბაშად ოთხმა გუნდმა მოაგროვა. დამატებით მაჩვენებლებით მეორე ადგილზე „იუგრა" (რუსეთი, 27,5) გავიდა, მესამე ადგილი **ბაადურ ჯობავას** „ჩერნიგივს" (25,5) ერგო. ტურნირის რეიტინგფავორიტი — აზერბაიჯანის „სოკარი" (27) მე-4 ადგილით დაკმაყოფილდა.

**ვაჟა დანელია**

# ექვსი ტური მოილიეს

საბერძნეთში 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობაზე გუშინ ერთბაშად ორი ტურის პარტიები გათამაშდა. მართალია, ასპარეზობის დამთავრებამდე ჯერ კიდევ 5 ტურია დარჩენილი, მაგრამ დღევანდელი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენებურთაგან მედლების მომპოვებელთა რიცხვი დღითი დღე მცირდება.

გაუწყებთ ქართველ მოჭადრაკეთა მეხუთე-მეექვსე ტურების შედეგებს:

**8-წლიანები.** ზებო უსმანოვა (უზბეკეთი)-თამარ ესაძე 1:0, **ესაძე**-ელიზავეტა ლიჩი (მოლდოვა) 1:0 (**6 ტურის შემდეგ 3,5 ქულა** აქვს). აგია იავარი (ირანი)-ლუკა ობოლაძე 0:1, ფარიდა რუდსაპი (ინდოეთი)-**ობოლაძე** 1:0 (6 4). **10-წლიანები.** ჩეინ დარლინგი (სამხრეთ აფრიკა)-ნატა ჯიბუტი 0:1, **ჯიბუტი**-არნამ ბაუირჟანი (ყაზახეთი) 0,5:0,5 (6 4). ატილა ფუპორი (უნგრეთი)-ირაკლი ახლედიანი 1:0, **ახვლედიანი**-იაუჰენ ვაიცეხოვსკი (ბელარუსი) 1:0 (6 3,5). **12-წლიანები.** ნინო ხომერიკი-თეოდორა რაკიჩი (სერბეთი) 0,5:0,5, მარიამ ჯავახიშვილი-მელისა გიბლონი (კანადა) 1:0, ალექსანდრა გორიაჩკინა (რუსეთი)-**ხომერიკი** 0:1 (6 4,5); ლან ჰოანგ ვუ (ვიეტნამი)-**ჯავახიშვილი** 1:0 (6 2,5); ნიკა ლევამბერია-კაპილ ჩანდრანი (აშშ) 0,5:0,5, მურალი კარტიხეინი (ინდოეთი)-ლევამბერია 1:0 (6 3,5). **14-წლიანები.** მოპინურ კახრამანოვა (უზბეკეთი)-ანა შამათავა 0,5:0,5, **შამათავა**-ელისაბედ რუისი (ესპანეთი) 1:0 (6 4,5); სური ვაიბჰავი (ინდოეთი)-ირაკლი ბერაძე 0,5:0,5, **ბერაძე**-ტიგრან ჰარუთინიანი (სომხეთი) 0,5:0,5 (6 4,5). **16-წლიანები.** ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი)-მერი არაბიძე 1:0, ნათია ჯალაბაძე-მარიამ დანელია 0,5:0,5, ნანი უნაფქოშვილი-მეგან ოუენსი (უელსი) 1:0, **არაბიძე**-მიხაელა კესლერი (ავსტრია) 1:0 (6 5); **დანელია**-საბინა იბრაჰიმოვა (აზერბაიჯანი) 1:0 (6 4,5); შალმალი გაგარე (ინდოეთი)-**ჯალაბაძე** 0,5:0,5 (6 4); ლიზა პაპალა (ავსტრია)-**უნაფქოშვილი** 0:1 (6 3,5); ნიკა ვოლკოვი-დენის კადრიჩი (ბ/ჰ) 1:0, ულვი ბაჯარანი (აზერბაიჯანი)-**ვოლკოვი** 1:0 (6 4). **18-წლიანები.** ლანიტა სტეცკო (ბელარუსი)-ქეთი ნანალაშვილი 0:1, **ნანალაშვილი**-მარია ბეზგოდოვა (რუსეთი) 0,5:0,5, (6 -4,5); გიორგი ნიკოლაშვილი-მატეი ბლაზეკა (ხორვატია) 1:0, რიან გრიფიდსი (ირლანდია)-ბექა ფიფია 0,5:0,5, კრისტიან კრუსი (პერუ)-**ნიკოლაშვილი** 1:0 (6 - 3), ლან ნგოკ თრანი (ვიეტნამი)-**ფიფია** 1:0 (6 -2).

**ვაჟა დანელია**

# ქართული სპორტი

## კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი

თბილისი, შსს აკადემიის დარბაზი
23 ოქტომბერი

**აგრარული–დინამო 70:74**

23:14, 13:21, 24:18, 10:21

აგრარული: ტეტელაშვილი (4ქ), ბააკაშვილი (5ქ), ნანიტაშვილი (5ქ), სიგუა (11ქ), ჩაჩანიძე (4ქ), ხანიაშვილი (18ქ, 8მ), გემაზაშვილი (10ქ), ჯავახიშვილი, მუმლაძე (13ქ).

დინამო: ივანეიშვილი (13ქ) გლუნჩაძე, პატარაია (8ქ), თვაური (13ქ), ეძგვერაძე (10ქ), ალხანაიძე (19ქ, 12მ), ნიკლაური (1ქ), ჩაველაშვილი (10ქ)

მსაჯები: ხ. გაბედავა მ. კუპატაძე

**ენერჯი–სოხუმი 71:70**

14:15, 26:17, 17:12, 14:26

ენერჯი: ცეკვავა (8ქ), ნივნივაძე (24ქ), აბაიშვილი (4ქ), გუგავა, არწივიძე (11ქ), ხმელიძე (9ქ), ტუჯანი (6ქ), ლამუ (9ქ)

სოხუმი: ფარლალავა (18ქ, 9მ), კვეტენაძე (13ქ, 10მ), შანიძე (3ქ), კანკია (11ქ), კოპალიანი (3ქ), კ. დამუსი (13ქ, 14მ), რ. დამუსი (8ქ, 9მ), ფერიაშვილი (1ქ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

**ქუთაისი–თსუ 88:75**

17:16, 25:15, 29:17, 17:27

ქუთაისი: ბ. ბერიშვილი (23ქ, 4პ, 7ჩ), გ. ბარბაქაძე (12ქ), ქორიძე, ბოლქვაძე (1ქ), კოლუაშვილი (15ქ, 9მ), დიდია (17ქ), ტუკვაძე (5ქ) ლომინაშვილი (6ქ), კობიძე (9ქ)

თსუ: ხიზანიშვილი (6ქ), ფანჩულიძე (11ქ), გაფრინდაშვილი (8ქ, 6პ), ლონდარიძე (17ქ), კორკოტაძე, ლოსაბერიძე (7ქ), ყველაშვილი (8ქ) მათიაშვილი (3ქ), დეკანოიძე, შარაბიძე (5), კოხრეიძე (10ქ, 7მ, 4ჩ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. ანდღულაძე

**სამედიცინო–სტუ 75:67**

14:21, 23:9, 16:20, 22:17

სამედიცინო: გულისაბედაშვილი (11ქ), ჩაჩიბაია (5ქ), ს. ლეჟავა (6ქ), თავართქილაძე (7ქ), ბექაური (7ქ, 17მ), ნინიაშვილი (12ქ), კეიდია (16ქ, 6მ), ჭოჭუა (11ქ).

სტუ: ანთაძე (12ქ, 8მ), ჩიკვილაძე (21ქ), ლომოური (9ქ), გასიტაშვილი, მაჩალაძე (1ქ), თევზაძე (6ქ), კობიძე (3ქ), ჯანგველაძე (3ქ), ბერუაშვილი (7ქ, 5მ), ლაშქარაძე (3ქ), ახალკაცი (2ქ, 9მ)

მსაჯები: მ. ანდღულაძე, დ. სადღობელაშვილი

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. სოხუმი | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. დინამო | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. საუ | 3 | 0 | 3 | 3 |

| B ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. შსს | 4 | 4 | 0 | 8 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 7 |
| 3. თსუ | 4 | 2 | 2 | 6 |
| 4. სამედიცინო | 4 | 1 | 3 | 5 |
| 5. სტუ | 4 | 0 | 4 | 4 |

**ფინალი. 24 ოქტომბერი**

**შსს–ენერჯი 60:72**

15:25, 25:15, 16:18, 4:14

შსს: დ. ბერიშვილი (6ქ), ლაფანაშვილი (2ქ, 6მ), ლეჟავა (3ქ), ნიკოლაძე (7ქ), ი. ბერიშვილი (4ქ), კოტონი (2ქ), მარკოიშვილი (10ქ), დ. ბარბაქაძე (10ქ, 7მ), შერმადინი (9ქ, 6მ, 2დ), იმნაძე (6ქ, 13მ), ტომარაძე (1ქ).

ენერჯი: ცეკვავა (23ქ, 8მ), ნივნივაძე (21ქ, 5მ), აბაიშვილი (3ქ), არწივიძე (6ქ, 5პ), ხმელიძე (6ქ, 5მ), ტუჯანი (7ქ, 13მ, 4პ), ლამუ (6ქ, 8მ, 4დ, 3ჩ).

მსაჯები: მ. კუპატაძე, ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

# მეხუთედ!

დუდუ დადიანის მემორიალი 2002 წელს დაარსდა. საწყის ხუთ გათამაშებაში გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელშიც **გიორგი მარკოიშვილი** თამაშობდა („დინამო", სტუ — ორჯერ, „ავიამშენი" და „ენერჯი"). 2007 წლიდან დადიანის სახელობის თასს რუსთაველები ალარავის უთმობენ, თუმცა ბოლო სამი წელია, მარკოიშვილს ეს ჯილდო არ მოუგია. ასე რომ, გუშინ შსს-ს აკადემიის დარბაზში საინტერესო დუელი ვიხილეთ: მარკოიშვილი-"ენერჯი". თუ გიორგის შსს იმარჯვებდა, მარკოიშვილი ექვსგზის გამარჯვებული და ამავე დროს რეკორდსმენი გახდებოდა. თუ „ენერჯი" მოიგებდა, მაშინ ორი რუსთაველი კალათბურთელი, **გოგა ცეკვავა** და **ჟულიეტ ტუჯანი** მეხუთედ მოიპოვებდა დადიანის თასს და მარკოიშვილს გაუთანაბრდებოდა. მოვლენებს გავუსწრებთ და გეტყვით - ბევრისთვის მოულოდნელად, მემორიალის ფინალში „ენერჯიმ" გაიმარჯვა და მეხუთედ ალმართა საპატიო თასი. ძნელი სავარაუდოა, ახლო მომავალში რომელიმე გუნდმა რუსთაველთა რეკორდი მოხსნას, რადგან „ენერჯის" შემდეგ ყველაზე მეტჯერ მემორიალი სტუ-ს აქვს მოგებული - ორჯერ.

შარშან ამ დროს რომ დაგვეწერა, რუსთაველებმა ფინალში ბევრისთვის მოულოდნელად მოიგესო, ზოგიერთ კრიტიკოსს სალაპარაკოდ გემრიელ ლუკმას მივცემდით. თუმცა დღეს სხვა სიტუაციაა: ჩემპიონი „ენერჯიდან" რამდენიმე წამყვანი კალათბურთელი წავიდა - **კოტე ტულუში, ანატოლი ბოისა, ზვიად ბაბიაშვილი, მიხეილ ჭოჭუა, აკაკი დვალიშვილი** (ერთი სრულყოფილი ხუთეულია)... მათ ნაცვლად „ენერჯიში" ჩაირიცხნენ **სამუელ ლამუ** და **ბექა ნივნივაძე**. ფაქტია, რომ გუნდი დასუსტდა.

შსს-ში კი გამოცდილ მოთამაშეებს შარშანდელი სეზონის შემდეგ **ბესიკ ლეჟავა, დათო ბარბაქაძე, დათო იმნაძე, კოკა ტომარაძე** და **ტროი კოტონი** შეემატნენ. შესაბამისად, ფინალის წინ ფავორიტად შსს ითვლებოდა. რატომ ვერ მოახერხა თასის დაუფლება, ამის ახსნას ქვემოთ შევეცდებით.

დავიწყოთ ფსიქოლოგიური ფაქტორით. რუსთაველებმა მემორიალი არცთუ დამაჯერებლად დაიწყეს. ახალგაზრდული „აგრარულის" ძლევა გაუჭირდათ. მერე „სოხუმთანაც" კინალამ წააგეს. შსს-მ კი ერთმანეთის მიყოლებით ოთხი მატჩი მოიგო, თამაშს დღითი დღე აუმჯობესებდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება თავად ძალოვნებსაც ეგონათ, რომ შემადგენლობით შესუსტებული „ენერჯი" თსუ-ზე დიდ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. თავის მხრივ კი, ქვემოქართლელებს ყოველგვარი წნეხი მოხსნილი ჰქონდათ. ეს მატჩის დასაწყისშივე ნათლად გამოჩნდა: პირველ ტაიმში გოგა ცეკვავამ და ბექა ნივნივაძემ სამქულიანები შედეგიანად ისროლეს. პირველმა 6-დან 3 ჩააგდო, ხოლო მეორემ - 7-დან 3. აბაიშვილმა სულაც ერთი სამქულიანი ისროლა და ისიც კალათში მოათავსა. მაშინაც კი, როცა მატჩის ბედი წყდებოდა, ლამუმ და **არწივიძემ** შორეული ტყორცნები აულელვებლად შეასრულეს: მეოთხე პერიოდი სწორედ მათი სამქულიანებით გაიხსნა და „ენერჯიმ" ორქულიანი ფორა 8-ქულიან უპირატესობად აქცია (64:56). აქვე იმასაც გეტყვით, რომ დიდი მცდელობის მიუხედავად, მეორე ტაიმში შსს-მ ერთი სამქულიანიც ვერ ჩააგდო, გადამწყვეტ ეპიზოდშიც არაერთი შორეული ტყორცნა გააფუჭა, არც ფარქვეშიდან უადვილდებოდა სტუმართა კალათის დალაშქვრა.

...მივადექით „ენერჯის" წარმატების მეორე მიზეზს - დაცვას. თუ ჯგუფური ეტაპის მატჩებში რუსთაველთა გუნდს აქა-იქ ჩავარდნები ჰქონდა, ფინალში დაცვა წამითაც არ მოდუნებულა. წინახაზელები ფარქვეშ მტკიცედ იდგნენ, ხოლო უკანახაზელები მეტოქეებს კარგად მეურვეობდნენ, შსს-ელებს სწრაფ იერიშებს არ ანებებდნენ. მოკლედ, ორივე ახალწვეული შარშანდელ აწყობილ სისტემაში კარგად ჩაჯდა.

გასული სეზონის შემდეგ ხუთი კალათბურთელით გაძლიერებულ შსს-ს კი შეთამაშება სჭირდება, რაც ერთ თვეში ვერ მიიღწევა. მემორიალზე მიღებული გამოცდილების გათვალისწინების შემდეგ შსს სუპერლიგისთვის (1 ნოემბერს იწყება) უკეთესი გუნდი უნდა იყოს, ისევე როგორც ტურნირის გამარჯვებული „ენერჯი", რომელსაც შეთამაშებაზე მეტად ერთი-ორ რგოლში გაძლიერება არ აწყენდა.

ფინალის დასრულების შემდეგ თასი რუსთაველთა კაპიტანმა **ჟულიეტ ტუჯანმა** ალმართა. საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად ბექა ნივნივაძე დაასახელა და თასიც გადასცა. ტრადიციულად, გაზეთი „ოლიმპი" მემორიალის MVP-ს ტელევიზორით აჯილდოებს. ეს ჯილდო გოგა ცეკვავამ მიიღო. როგორც ხედავთ, ერთი ვერსიით საუკეთესო ცეკვავა იყო, მეორე ვერსიით - ნივნივაძე. ეს კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს „ენერჯის" გუნდურობაზე.

*- მატჩი დალაგებული თამაშის წყალობით მოვიგეთ. დაცვაში კარგად გამოვიყურებოდით. ტურნირის დაწყებამდე ერთი თამაშიც არ გვქონდა ჩატარებული და პირველ მატჩში ცოტა არადამაჯერებლად ვითამაშეთ. შემდეგ ნელ-ნელა ვუმატებდით და ბოლო აკორდი ფინალი იყო,* - განაცხადა გახარებულმა ბექა ნივნივაძემ.

გოგა ცეკვავამ დასძინა:

*- შეხვედრა თავიდანვე კარგად დავიწყეთ - განსაკუთრებით სამქულიანების ტყორცნა გამოგვდიოდა. ვფიქრობ, საბოლოო წარმატება სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა. ვულოცავ ჩვენს თითოეულ გულშემატკივარს.*




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

| მემორიალის ყველა ფინალი | |
|---|---|
| 2002: დინამო-თსუ | 95:63 |
| 2003: სტუ-დინამო | 87:76 |
| 2004: სტუ-დინამო | 111:102 |
| 2005: ავიამშენი-თსუ | 88:77 |
| 2006: ენერჯი-ავიამშენი | 85:69 |
| 2007: ენერჯი-ვითა | 88:66 |
| 2008: ენერჯი-სასოფლო | 101:73 |
| 2009: ენერჯი-თსუ | 91:69 |
| 2010: ენერჯი-შსს | 72:60 |

ვაჟა სიმონიშვილი

# ზაზამ გამოფენა დახურა

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" საგამოფენო მატჩები დაასრულა და NBA-ს რეგულარული სეზონისთვის ემზადება. პირველ ოფიციალურ მატჩს ჯორჯიელები 27 ოქტომბერს მემფისში ადგილობრივ „გრიზლისთან" ჩაატარებენ.

ბოლო საკონტროლო მატჩი ლამაზი ანგარიშით კი დასრულდა (99:66), მაგრამ „ლამაზი" შარლოტელებისთვის იყო. ატლანტამ 66 ქულა ჩააგდო. ასე ცოტა, „ჰოქსს" დიდი ხანია, არ მოუგროვებია. თანაგუნდელებს შეტევაში ვერც ფაჩულია დაეხმარა - მხოლოდ 1 ქულა ჩააგდო.

მოსამზადებელ ეტაპზე „ატლანტამ" 2 მატჩი მოიგო და 5 წააგო. ეს ცუდი მაჩვენებელია, თუმცა დაველოდოთ ოფიციალურ შეხვედრებს და იმედი დავიტოვოთ, რომ „ქორების" თამაშიც შეიცვლება და შედეგიც გაუმჯობესდება.

**შარლოტი–ატლანტა 99:66**

ფაჩულია: 17 წუთი, 1 ქულა, 4 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 ფოლი

ვაჟა სიმონიშვილი

**იტალიის ჩემპიონატი**

**კანტუ–კრემონა 77:75**

მარკოიშვილი: 27 წუთი, 12 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი

**ბრინდიზი–ვირტუსი 87:84**

ვიქტორ სანიკიძე: 17 წუთი, 4 ქულა, 3 მოხსნა

**ბალტიის თასი**

**როკი–ვენტსპილსი 89:79**

გიორგი ცინცაძე: 16 წუთი, 6 ქულა, 1 პასი, 3 ჩაჭრა.

**ბელგიის ჩემპიონატი**

**მონსი–ვეკინსტერი 100:87**

თ. შენგელია: 25 წთ, 8 ქულა, 4 მოხსნა, 3 ჩაჭრა, 1 პასი.

**ესპანეთის ჩემპიონატი**

**გრან კანარია–ფუენლაბრ 71:70**

ტორნიკე შენგელია: 21 წუთი, 2 ქულა, 5 პასი, 1 მოხსნა.

**ლაგუნ არო–ესტუდიანტესი 75:59**

ნიკა ცქიტიშვილი: 23 წუთი, 15 ქულა, 5 მოხსნა.

ტაირონ ელისი: 24 წუთი, 14 ქულა, 1 მოხსნა.

**ადრიატიკის თასი**

**ციბონა–ოლიმპია 84:81**

შერმადინი: 9 წუთი, 8 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი.

## ჩოგბურთი



გიორგი ცივაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ცივაძის ოქროს შემოდგომა

გასულ უქმეებზე ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დასრულდა ჩოგბურთელთა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი (მთავარი მსაჯი **ედუარდ კამალოვი**) რომელშიც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა იასპარეზა.

ქალებში, როგორც გაუწყეთ, ფინალამდე დათმო ტიტული შარშანდელმა ჩემპიონმა **სოფიო შაფათავამ**. იგი ტურნირზე მესამე ნომრად განთესილ **ეკატერინე გორგოძესთან** დამარცხდა. ეს უკანასკნელი გადამწყვეტ პაექრობაში **თათია მიქაძეს** დაუპირისპირდა. პირველი სეტი დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ მიქაძემ მოიგო — 7:5, მეორეში გორგოძემ იყოჩაღა — 6:4, თუმცა მატჩში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლო და მესამე ხელი 3:6 დათმო, რითაც „ვერცხლს" დასჯერდა. „ოქრო", ცხადია, მიქაძეს ერგო. თათიამ ამ ცოტა ხნის წინათ თბილისში ბათუმის ნავთობტერმინალის პირველობაც მოიგო წყვილებში სოფიო შაფათავასთან ერთად, ერთეულებში კი ფინალი წააგო მაკა ჩახნაშვილთან. რაც შეეხება ეროვნული ჩემპიონატის მესამე ადგილისთვის პაექრობას, შაფათავა სათამაშოდ არ გამოცხადდა და ბრინჯაო **დიანა დავითაიას** უბრძოლველად დარჩა.

ვაჟთა ნახევარფინალში საქართველოს 2009 წლის ჩემპიონი **გიორგი ცივაძე** იოლად გაუსწორდა **ზურაბ ზედანიას** — 6:0, 6:0, მეორე ნომრად განთესილმა **ნოდარ ითონიშვილმა** კი **გიორგი ჯავახიშვილი** დაჯაბნა 6:4, 6:2. გადამწყვეტ პაექრობაში მხოლოდ პირველი ხელი აღმოჩნდა დაძაბული, რომელიც ითონიშვილმა 7:6 მოიგო, ქვეყნის ჩემპიონზე ამან ცივი შხაპივით იმოქმედა. მეორე-მესამე სეტებში იგი აშკარად ჯობნიდა მეტოქეს, გაიმარჯვა კიდეც 6:1, 6:3 და ტიტული შეინარჩუნა. მესამე ადგილზე ზედანიას მძლეველი (6:3, 6:3) ჯავახიშვილი გავიდა.

ჩემპიონები და პრიზიორები მედლებითა და თასებით საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** დააჯილდოვა.

ვაჟა დანელია

## ფიგურული ციგურაობა

# გედევანიშვილმა მეექვსე ადგილით დაიწყო

იაპონიის ქალაქ ნაგოიაში დასრულდა გრანპრის სერიის პირველი ეტაპი ფიგურულ ციგურაობაში. ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 180 ათასი დოლარია, 20 წლის **ელენე გედევანიშვილმა** ძალზე ცუდად დაიწყო - მოკლე პროგრამის შემდეგ ჩვენებური მე-9 ადგილზე იყო. თავისუფალ პროგრამაში მისგან წინსვლას ნაკლებად ველოდით (რადგან, ზოგადად, ელენე უფრო მოკლე პროგრამაში გამოირჩევა კარგი გამოსვლებით), მაგრამ შევცდით - ჩვენებურმა მიუზიკლ „ოპერის მოჩვენების" ჰანგებზე ძალიან კარგად შეასრულა თავისუფალი პროგრამა, 6 ქულით მიუახლოვდა საკუთარ რეკორდს და ამ დისციპლინაში მე-3 ადგილი დაიკავა. ქართველმა სპორტსმენმა პროგრამულ ელემენტებში 50,04 ქულა მიიღო, ტექნიკურში - 46,97. ჯამში ჩვენებურს 97,01 ქულა დაუგროვდა. მასზე უკეთ მხოლოდ ამერიკელმა **რეიჩელ ფლეტმა** (107,35) და იტალიელმა **კაროლინა კოსტნერმა** (107, 34) ისრიალეს.

სამწუხაროდ, ელენემ ძალიან ბევრი დაკარგა ტურნირის პირველ დღეს, ამიტომ ხუთეულში ველარ შევიდა და, შესაბამისად, არც საპრიზო ფონდიდან შეხვდა რამე, თუმცა სარეიტინგო ქულები კი მიითვალა. გრანპრის სერიის პირველი გამარჯვებული კი ევროპის სამგზის ჩემპიონი კაროლინა კოსტნერი გახდა 164,61 ქულით. მეორე ადგილზე 18 წლის ამერიკელი რეიჩელ ფლეტი გავიდა 161,04 ქულით, მესამეზე - 15 წლის იაპონელი **კანაკო მურაკამი** (150,16). აღსანიშნავია, რომ ელენე გედევანიშვილმა (141,52 ქულა, მე-6 ადგილი) მსოფლიოს ჩემპიონ **მაო ასადას** 8 ქულით აჯობა.

| NHK ტროფ. ქალები | | |
|---|---|---|
| 1. კაროლინა კოსტნერი | იტალია | 164,61 |
| 2. რეიჩელ ფლეტი | აშშ | 161,04 |
| 3. კანაკო მურაკამი | იაპონია | 150,16 |
| 4. კიირა კორპი | ფინეთი | 148,44 |
| 5. ეშლი ვაგნერი | აშშ | 143,73 |
| 6. ელენე გედევანიშვილი | საქართველო | 141,52 |
| 7. კაროლინ ჟანგი | აშშ | 133,86 |
| 8. მაო ასადა | იაპონია | 133,40 |
| 9. ვიქტორია ჰელგესონი | შვედეთი | 130,11 |
| 10. ლენა მაროკო | საფრანგეთი | 122,03 |
| 11. ჯენა მაკკორკელი | ბრიტანეთი | 121,52 |
| 12. დიან სმიტი | კანადა | 88,33 |

ნიკოლოზ ნეფარიძე



შაბათის ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად: 1. ჯორდანი; 4. ლაკროსი; 8. როსონერი; 10. ოლსენი; 12. სპიდვეი; 14. ტერფი; 15. ფრიდენრაიხი; 17. ჩილე; 19. მირნი; 20. შუბი; 21. კურნიკოვა; 22. პირლო; 23. იაძე; 25. გუსკოვი; 28. ტურნირი; 29. რომარიო; 30. ნიგერია; 31. კეიდია.

ვერტიკალურად: 1. ჯორკაეფი; 2. როსი; 3. იარნი; 5. კულბიტი; 6. ოვერარმი; 7. ისინდი; 9. ნისტელროი; 11. შვაინშტაიგერი; 13. გილმ[illegible]; 16. რაიკონენი; 17. ჩიმიშკიანი; 18. "ემპოლი"; 21. კარატე; 24. აგირე; 26. ვაისი; 27. ფრიი.

შაბათის ნომერში გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-ბ, 5-გ

ლეგიონერები



მარჯვნივ გოდერძი შველიძე

# მონპელიემ ლიდერობა დაიბრუნა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ელიტურ, პირველ დივიზიონში, ევროთასების გათამაშებით გამოწვეული ორკვირიანი შესვენების შემდეგ, მე-10 ტურის შეხვედრებით განახლდა, ყველა მატჩში გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ, ყველაზე ქართულმა ფრანგულმა კლუბმა „მონპელიემ" კი ლიდერობა დაიბრუნა.

**მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტის, გოდერძი შველიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** გუნდმა შინ ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბურგუენს" 28:3 მოუგო. ჩვენებურთა გუნდმა ერთი საპრემიო ქულაც მიიღო და მიუხედავად იმისა, რომ „ტულუზისა" და „მეტრო რასინგის" მსგავსად 32 ქულა აქვს, მაინც პირველ ადგილზეა, რადგან ორივე დამარცხებული ჰყავს.

გორგოძე, რომელმაც სრულად ითამაშა, 49-ე წუთზე გაასინბინეს. „გულივერას" ამჯერად მეტოქის მესამეხახაზელთან, **ალექს ტულუსთან** მოუხდა შეხლა-შემოხლა, ბურგუნელს სისხლიც ადინა და ამისთვის, შესაძლოა, დისკვალიფიკაციაც მიიღოს.

ჟღენტი და შველიძე სათადარიგოთა შორის იყვნენ და თამაშში 56-ე წუთიდან ჩაებნენ. ჩხაიძეს და ნარიაშვილს არ უთამაშიათ.

საინტერესო და ბოლომდე დაძაბული გამოდგა **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონის" გასვლითი შეხვედრა პარიზში „სტად ფრანსესთან". ტულონელები თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე 15:12-ს იგებდნენ (თხუთმეტივე ქულა მგეზავ **ჯონი ვილკინსონის** ანგარიშზეა), მაგრამ პარიზელებმა ბოლო ათ წუთში ისეთი შტურმი მოაწყვეს, ტულონელებს ამოსუნთქვის საშუალებაც არ ჰქონდათ. საბოლოოდ „სტად ფრანსემ" თითო ლელო და არეკნი გაიტანა, 22:15 მოიგო და სატურნირო ცხრილში მე-6 ადგილზე გადაბარგდა.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს. უნდა აღინიშნოს, რომ „დუდუ" გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან ვიზავის, არგენტინელ **როდრიგო რონკეროს** თითქმის ყველა შერკინება მოუგო და რამდენჯერმე წესის დარღვევაც აიძულა. ამიტომ მისი შეცვლა ცოტა უცნაურიც კია.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" სტუმრად წააგო ბასკურ „ბიარიცთან" - 13:16. ჩემპიონებმა პირველი ტაიმი 10:6 მოიგეს, მაგრამ შესვენების შემდეგ ბოლო ხანს მოლონიერებულ მეტოქესთან ველარაფერი გააწყვეს. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს. მანამდე კი, 51-ე წუთზე არბიტრმა ჩხუბისთვის სინბინში გაუშვა.

„კლერმონს" წლეულს უჩვეულოდ ცუდი შედეგი აქვს. ათი მატჩიდან ხუთი წააგო და სატურნირო ცხრილში 25 ქულით მე-8 ადგილზეა.

როგორც მოსალოდნელი იყო, **აქვსენტი გიორგაძისა** და **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა" შინ მოუგო აუტსაიდერს, **ბექა შეყლაშვილის** „აჟენს" - 38:11. კასტრელებმა ამ გამარჯვებით ოდნავ გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა და თუ ფორტუნამ ზურგი არ აქცია, შესაძლოა, პლეი ოფში გასვლისთვისაც იბრძოლონ.

შეყლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და მე-60 წუთზე შეცვალეს, ფეიქრიშვილი კი თამაშში 6 წუთით ადრე ჩაერთო, გიორგაძე განაცხადში არ იყო.

**დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივმა" სტუმრად მოულოდნელად წააგო დივიზიონის დებიუტანტ „ლა როშელთან" - 21:26. ხინჩაგიშვილი სათადარიგოთა შორის იყო და მოედანზე 49-ე წუთიდან გამოჩნდა, კაკოვინს არ უთამაშია.

საფრანგეთი. I დივიზიონი: X ტური: **მეტრო რასინგი-ბაიონი 15:9, ტულუზი-პერპინიანი 38:29, ლა როშელი-ბრივი 26:21, მონპელიე-ბურგუენი 28:3, ბიარიცი-კლერმონი 16:13, კასტრი-აჟენი 38:11, სტად ფრანსე-ტულონი 22:15**

სატურნირო მდგომარეობა: **1. მონპელიე - 32 ქულა, 2. ტულუზი - 32, 3. მეტრო რასინგი - 32, 4. ტულონი - 28, 5. ბიარიცი - 27, 6. სტად ფრანსე - 27, 7. პერპინიანი - 26, 8. კლერმონი - 25, 9. ბაიონი - 24, 10. კასტრი - 24, 11. ბრივი - 18, 12. ლა როშელი - 15, 13. ბურგუენი - 10, 14. აჟენი - 7.**

XI ტური: **მეტრო რასინგი-პერპინიანი, ბრივი-ბიარიცი, ტულუზი-ტულონი, ბაიონი-მონპელიე, კლერმონი-სტად ფრანსე, აჟენი-ლა როშელი, კასტრი-ბურგუენი**

მეორე დივიზიონში ზედიზედ მესამე თამაში მოიგო **მამუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბმა". ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად მოუგო სატურნირო ცხრილის მეზობელ „მონ დე მარსანს" - 26:10 და ახლა 20 ქულით მე-6 ადგილზეა. მაგრაქველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 53-ე წუთზე შეცვალეს. მირცხულავას არ უთამაშია.

წარმატებულ ასპარეზობას განაგრძობს **გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელმაც შინ დაამარცხა „ოში" - 27:8. ლიონელები 26 ქულით მეორე ადგილზე არიან და ლიდერ „ალბის" ერთი ქულით ჩამორჩებიან. კავთიძეს არ უთამაშია.

„ალბიმ" მე-8 ტურში სტუმრად წააგო **გიორგი მენაბდიშვილის** „გრენობლთან" - 9:12. „ალპელები" ამ გამარჯვებით ლიდერებს მჭიდროდ მიუახლოვდნენ.

II დივიზიონი: VIII ტური: **მონ დე მარსანი-ტარბი 10:26, ექსი-ბორდო 17:19, ოიონაქსი-ნარბონი 28:10, ლიონი-ოში 27:8, კოლომიე-ორიაკი 6:19, სენტ ეტიენი-პო 9:21, კარკასონი-დაქსი 18:15, გრენობლი-ალბი 12:9**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ალბი - 27 ქულა, 2. ლიონი - 26, 3. ორიაკი - 26, 4. ბორდო - 25, 5. ოიონაქსი - 21, 6. ტარბი - 20, 7. გრენობლი - 18, 8. მონ დე მარსანი - 17, 9. პო - 17, 10. კარკასონი - 15, 11. ოში - 15, 12. ნარბონი - 14, 13. კოლომიე - 14, 14. ექსი - 13, 15. დაქსი - 10, 16. სენტ-ეტიენი - 7**

IX ტური: **კარკასონი-მონ დე მარსანი, პო-ბორდო, დაქსი-სენტ ეტიენი, ტარბი-ექსი, ალბი-ოიონაქსი, ნარბონი-გრენობლი, ლიონი-კოლომიე, ორიაკი-ოში**

რუმინეთში თასის გათამაშება დაიწყო. **ბიძინა სამხარაძის, კახაბერ უჩავას, ოთარ ტურაშვილის, ლაშა თავართქილაძისა** და **ირაკლი ნატრიაშვილის** „ფარული" შეჯიბრებაში მერვედფინალიდან ჩაერთო. ჩვენებურთა გუნდმა სტუმრად მოუგო „პეტრომანის" - 40:16.

შვიდკაცა რაგბი. საქართველოს ჩემპიონატი

# ვისოლი/ყოჩებმა ტიტული დაიცვა

შვიდკაცა რაგბიში საქართველოს ჩემპიონატი წლეულს სამ ეტაპად ჩატარდა. ბოლო, ფინალურ ეტაპზე წინა ორის შედეგების ჯამით საუკეთესო ათმა გუნდმა იასპარეზა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა თბილისის „ლელომ" თამაშზე უარი განაცხადა. მის ნაცვლად რეიტინგით მე-11 გუნდი, თბილისის „ივერია" დაუშვეს.

თავშივე ვიტყვით, რომ ჩემპიონის ტიტული შარშანდელმა გამარჯვებულმა, თბილისის „ვისოლი/ყოჩებმა" შეინარჩუნა, რომელმაც მთელი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო. ჩემპიონებს B ჯგუფში მეტ-ნაკლები წინააღმდეგობა ქუთაისის „აიამ" გაუწია - 14:12. როგორც აღმოჩნდა, ერთადერთი გუნდი, ვისაც „ვისოლი/ყოჩების" ძლევა შეეძლო, სწორედ „აია" იყო, თუმცა ფინალში მათი ორთაბრძოლა ისევ თბილისელი მორაგბეების გამარჯვებით დამთავრდა - 22:7.

**A ჯგუფი**

**ივერია-ბათუმი XV 7:29, აკადემია-ბაგრატი 19:0, ბათუმი XV-ხარები 19:12, აკადემია-ივერია 19:5, ბაგრატი-ხარები 21:26, ბათუმი XV-აკადემია 0:26, ბაგრატი-ივერია 0:26, აკადემია-ხარები 19:5, ბათუმი XV-ბაგრატი 29:0, ხარები-ივერია 12:12.**

სატურნირო მდგომარეობა: **აკადემია - 8 ქულა, ბათუმი XV - 6, ივერია - 3, ხარები - 3, ბაგრატი - 0**

**B ჯგუფი**

**რაინდები-ვისოლი/ყოჩები 0:45, აია-ხულიგანა 26:7, ვისოლი/ყოჩები-ლოკომოტივი 35:0, აია-რაინდები 43:0, ხულიგანა-ლოკომოტივი 28:0, ვისოლი/ყოჩები-აია 14:12, ხულიგანა-რაინდები 22:7, აია-ლოკომოტივი 32:0, ვისოლი/ყოჩები-ხულიგანა 19:7, ლოკომოტივი-რაინდები 5:15.**

სატურნირო მდგომარეობა: **ვისოლი/ყოჩები - 8 ქულა, აია - 6, ხულიგანა - 4, რაინდები - 2, ლოკომოტივი - 0.**

**V ადგილისთვის. ნახევარფინალი**

ივერია-რაინდები 17:5
ხულიგანა-ხარები 5:7

**ნახევარფინალი**

აია-აკადემია 17:0
ვისოლი/ყოჩები - ბათუმი XV 26:0

**IX ადგილისთვის**

ბაგრატი-ლოკომოტივი (არ გამოცხადდა)

**VII ადგილისთვის**

რაინდები-ხულიგანა (არ გამოცხადდა)

**V ადგილისთვის**

ხარები-ივერია 10:5

**III ადგილისთვის**

ბათუმი XV -აკადემია 12:10

**ფინალი**

ვისოლი/ყოჩები-აია 22:7

**საბოლოო მდგომარეობა**

**1. ვისოლი/ყოჩები, 2. აია, 3. ბათუმი XV, 4. აკადემია, 5. ხარები, 6. ივერია, 7. რაინდები, 8. ხულიგანა, 9. ბაგრატი, 10. ლოკომოტივი.**

ევროპის ჩემპიონატი, U 19

# ფინალი ნახევარფინალში

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ბელგიაში ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული სტარტი აიღო. უმცროსმა „ბორჯღალოსნებმა" მეოთხედფინალურ მატჩში პორტუგალიელი თანატოლები დაამარცხეს - 27:3 და ნახევარფინალში გააღწიეს.

ჩვენი გუნდის შემდეგი მეტოქე უმთავრესი კონკურენტი, რუმინეთის ნაკრები იქნება, რომელმაც უკრაინის ცხრამეტწლამდელთა გუნდს მშრალი ანგარიშით - 36:0 მოუგო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ტურნირის გამარჯვებული სწორედ ამ ნახევარფინალურ წყვილში გამოვლინდება.

მეორე ნახევარფინალში რუსეთისა და ბელგიის ნაკრებები დაწყვილდნენ. რუსებმა ესპანეთის ნაკრების დამარცხება შეძლეს - 27:15. მასპინძელმა ბელგიელებმა კი პოლონეთის გუნდს სძლიეს - 45:10

**მეოთხედფინალი**

საქართველო-პორტუგალია 27:3, რუმინეთი-უკრაინა 36:0, რუსეთი-ესპანეთი 27:15, ბელგია-პოლონეთი 45:10

**ნახევარფინალი. 27 ოქტომბერი**

საქართველო-რუმინეთი, რუსეთი-ბელგია

ITM-ის თასი

# საუკეთესო ოთხეული გაირკვა

ITM-ის თასის რეგულარული გათამაშება დასრულდა. ჩემპიონობისთვის ბრძოლას საუკეთესო ოთხეული, „ოკლენდი", „ქენთერბერი", „ვაიკატო" და „ველინგტონი" განაგრძობს.

ბოლო ტურის წინ ორ მათგანს, „ქენთერბერის" და „ვაიკატოს" პლეი ოფში თამაში განაღდებული ჰქონდა. დარჩენილ ორ ადგილზე კი პრეტენზიას ერთბაშად ოთხი გუნდი აცხადებდა. „ოკლენდმა", რომელმაც საბოლოოდ რეგულარული გათამაშება მოიგო კიდეც, ბოლო ტურში შინ გაანადგურა „ტასმანი" - 49:10.

მასპინძლებიდან გამორჩეული იყო მგეზავი **გარეთ ანსკომბი,** რომელმაც მეტოქეს სამი ლელო, ხუთი გარდასახვა და სამი საჯარიმო გაუტანა (34 ქულა).

„ოკლენდის" მეტოქე ნახევარფინალში იქნება „ვაიკატო", რომელმაც მეორეადგილოსან „ქენთერბერის" მოუგო - 26:6. მეორე ნახევარფინალურ წყვილში ქენთერბერელები დაუპირისპირდებიან „ველინგტონს", რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად მოუგო „საუთლენდს" - 27:14.

პირველი ტაიმი სამხრეთელებმა 14:10 მოიგეს, თუმცა ველინგტონელებმა, რომლებიც წაგების შემთხვევაში პლეი ოფის მიღმა რჩებოდნენ, შესვენების შემდეგ ძალები მოიკრიბეს და მასპინძლებს სამი ლელო გაუტანეს, რაზეც „საუთლენდმა" ვერაფრით უპასუხა.

პლეი ოფში მოხვედრა შეეძლო „ტარანაკისაც", რომელმაც სტუმრად უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „ნორთ ჰარბორი" - 49:47. „ტარანაკიმ" და „ველინგტონმა" 42-42 ქულა დააგროვეს, მაგრამ უპირატესობა უკანასკნელს მიენიჭა, რადგან ურთიერთ შეხვედრაში მოგებული ჰქონდა.

XIII ტური: **ნორთლენდი-ბეი ოფ პლენტი 36:24, ვაიკატო-ქენთერბერი 26:6, საუთლენდი-ველინგტონი 14:27, ნორთ ჰარბორი-ტარანაკი 47:49, ოტაგო-მანავატუ 24:46, მანუკაუ-ჰოუქს ბეი 28:31, ოკლენდი-ტასმანი 49:10.**

სატურნირო მდგომარეობა: **1. ოკლენდი - 45 ქულა, 2. ქენთერბერი - 45, 3. ვაიკატო - 44, 4. ველინგტონი - 42, 5. ტარანაკი - 42, 6. ბეი ოფ პლენტი - 37, 7. საუთლენდი - 34, 8. ჰოუქს ბეი - 33, 9. მანუკაუ - 31, 10. ნორთლენდი - 29, 11. ნორთ ჰარბორი - 21, 12. ტასმანი - 20, 13. მანავატუ - 18, 14. ოტაგო - 10.**

**ნახევარფინალი**

29 ოქტომბერი: ქენთერბერი-ველინგტონი
30 ოქტომბერი: ოკლენდი-ვაიკატო
5 ნოემბერი: ფინალი.

გვერდი მოამზადა
ბესიკ **ჯანგაავაძემ**



ოკლენდი-ტასმანი

sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# სტეკჰაუსი მაიამიში, ობერტო პორტლენდში


ჯერი სტეკჰაუსი

ორი დღეც და, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ახალი რეგულარული სეზონი დაიწყება, მანამდე კი გუნდებმა დაასრულეს საჩვენებელ მატჩებში გამოსვლა და თან ბოლო კორექტივებიც შეიტანეს შემადგენლობების დაკომპლექტებაში.

ასე მაგალითად, "მაიამი ჰიტმა" არჩევანი შეაჩერა ცნობილ ვეტერანზე, 36 წლის **ჯერი სტეკჰაუსზე**, რომელთანაც ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა. ჯერისთვის "ჰიტი" მეექვსე კლუბია კარიერაში. მან ფლორიდელთა რიგებში **მაიკ მილერი** უნდა შეცვალოს, რომელიც იანვრამდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

შარშანდელი სეზონი სტეკჰაუსმა "მილუოკიში" დაასრულა და ამ გუნდის რიგებში 42 მატჩში საშუალოდ 8.5 ქულა დააგროვა.

შეგახსენებთ, რომ ჯერიმ ჯერ კიდევ ზაფხულში გამოთქვა "მაიამიში" გადასვლის სურვილი, სადაც კარიერაში პირველი საჩემპიონო ბეჭდის მოპოვების შანსი მიეცა.

■ ■ ■

ერთი ახალწვეული ჰყავს "პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს". ბოლო კვირა აქტიურად ლაპარაკობდნენ ამ გუნდში გამოცდილი არგენტინელის, 35 წლის **ფაბრისიო ობერტოს** სავარაუდო ტრანსფერის შესახებ. გარიგება შაბათს შედგა - მხრეებმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

სამხრეთამერიკელმა ცენტრმა გასულ სეზონში "ვაშინგტონის" მაისურით 57 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 1.5 ქულითა და 1.8 მოხსნით დაეხმარა დედაქალაქურ კლუბს. მანამდე ობერტო "სან ანტონიო სპურსის" წევრი იყო.

■ ■ ■

"იუტა ჯაზის" გულშემატკივრები დაამშვიდა ამ გუნდის ლიდერმა **დერონ უილიამსმა**. ლიგის ერთ-ერთმა საუკეთესო გამთამაშებელმა განაცხადა, რომ "ჯაზის" რიგებში ყველაფერი აკმაყოფილებს და მზად არის მაქსიმუმი გაიღოს კლუბის გაჩემპიონებისთვის.

დერონის კონტრაქტს 2012 წლის ზაფხულში გასდის ვადა და მცველს შეეძლო უფრო ამბიციურ კლუბში გადასვლაზე ეზრუნა, მაგრამ უილიამსი დღევანდელი "იუტას" მომზადების დონით კმაყოფილია.

*"ახალი სეზონის წინ გაცილებით ძლიერად გამოვიყურებით და სერიოზულ მოსამზადებელ ეტაპს გავდივართ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ ღირს სხვა გუნდში გადასვლაზე ფიქრი. შარშან პლეი ოფის მეორე რაუნდიდან გამოვეთიშეთ ბრძოლას, მაგრამ საერთო ჯამში, მაინც კარგად გამოვედით. ახლა მზად ვარ მთლიანად მივუძღვნა საკუთარი თავი "იუტას" და ყველაფერი გავაკეთო მისი წარმატებისთვის"*, - განაცხადა დერონ უილიამსმა.

სხვათა შორის, "იუტა" წინასასეზონო პერიოდის ჩემპიონი გახდა (იხილეთ ცხრილი). ამ გუნდმა რვა საწვრთნელი შეხვედრა ჩაატარა და ყველა მოიგო. ასევე ასპროცენტრიანი მაჩვენებლით დაასრულეს მოსამზადებელი პერიოდი "ორლანდომ" და "მემფისმა", თუმცა მათ 7-7 თამაშის ჩატარებამ მოუწიათ და ამიტომაც ჩამორჩნენ "ჯაზმენებს".

**ჩიკაგო-ინდიანა 102:74**

32:17, 27:21, 24:20, 19:16

ჩ: დენგი (29+8 მოხსნა), როუზი (14+6 პასი), გიბსონი (11), ჯონსონი (11), აშიქი (6+10 მოხსნა).

ი: ჰიბერტი (14), კოლისონი (14), პრაისი (11), ჯორჯი (6+10 მოხსნა).

**მილუოკი-მინესოტა 118:119 (ო)**

29:22, 28:32, 29:26, 21:27, 11:12

მილ: დელფინო (18+8 მოხსნა+8 პასი), მაგეტი (17), ილიასოვა (15+8 მოხსნა), დუგლას-რობერტსი (15+8 მოხსნა), გუდენი (12+5 მოხსნა), ჯენინგსი (12), დულინგი (11+5 პასი), სანდერსი (10+8 მოხსნა).

მინ: რიდნური (17+7 პასი+5 მოხსნა), ელინგტონი (16), პეკოვიჩი (15+5 მოხსნა), მილიჩიჩი (12+10 მოხსნა), ბისლი (10+6 მოხსნა), ბრიუერი (10).

**დალასი-ჰიუსტონი 97:96**

20:26, 27:27, 29:30, 21:13

დ: ბატლერი (25), ნოვიცკი (20+6 მოხსნა), ტერი (15+5 პასი), მერიონი (12+9 მოხსნა).

ჰ: ბადინგერი (19), ბრუქსი (18), მარტინი (17).

**იუტა-საკრამენტო 82:71**

25:23, 19:17, 20:18, 18:13

ი: ჯეფერსონი (12), ფესენკო (12), ბელი (12).

ს: უდრიხი (16), ლენდრი (13+6 მოხსნა).

**ფინიქსი-დენვერი 106:144**

25:29, 36:49, 24:35, 21:31

ფ: დადლი (17), რიჩარდსონი, კლარკი (13), ლოპესი (12+7 მოხსნა), ნეში (11+12 პასი), დრაგიჩი (10).

დ: ლოუსონი (29), უილიამსი (27+8 მოხსნა), ფორბსი (25), აფლალო (24+10 პასი+9 მოხსნა), კარტერი (20+5 პასი), ელი (11).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 105:102 (ო)**

20:32, 25:20, 24:27, 29:19, 7:4

ლ: ბრაიანტი (22+7 პასი), ბრაუნი (18), ფიშერი (13), გასოლი (12+8 მოხსნა+5 პასი), არტესტი (11+7 მოხსნა+5 ჩაჭრა), ვუიაჩიჩი (11).

გ-ს: ელისი (41), უილიამსი (27+8 პასი), ლი (16+14 მოხსნა), ბიედრინსი (4+10 მოხსნა).

**ტორონტო-ნიუ იორკი 108:103**

27:26, 35:19, 21:24, 25:34

ტ: ბარნიანი (15), ანდერსენი (12+5 მოხსნა), ბარბოზა (12), კლეიზა (12), კალდერონი (11+6 პასი), დეროზანი (11), უიმსი (11).

ნ-ი: სტაუდმაიერი (24), უოლკერი (13), ფელტონი (12+5 პასი), ფილდსი (12), მეისონი (10).

**შარლოტი-ატლანტა 99:66**

26:24, 31:10, 30:15, 12:17

შ: ჯექსონი (21+8 მოხსნა), უოლასი (12+8 მოხსნა), დიაო (12), ტომასი (12), ბრაუნი (11+8 მოხსნა), ოგუსტინი (10+5 პასი).

ა: ჯამ. კროუფორდი (15), ჰორფორდი (12), ჯორ. კროუფორდი (10).

**დეტროიტი-მემფისი 103:106**

29:24, 26:31, 24:25, 24:26

დ: დეი (22+6 მოხსნა), სტაკი (18+7 პასი), ვილანუევა (15), ჰემილტონი (14), პრინსი (11+7 მოხსნა).

მ: გასოლი (16), იანგი (16), მაიო (15), არტური (14+6 მოხსნა), ჰენრი (13), ალენი (12+5 მოხსნა).

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ორლანდო | 7 | 7 | 0 | 100 |
| 2. ბოსტონი | 8 | 7 | 1 | 87.5 |
| 3. კლივლენდი | 7 | 6 | 1 | 85.7 |
| 4. ჩიკაგო | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 5. შარლოტი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 6. ტორონტო | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 7. ვაშინგტონი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 8. ინდიანა | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 9. დეტროიტი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 10. მილუოკი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 11. მაიამი | 6 | 2 | 4 | 33.3 |
| 12. ნიუ ჯერსი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 13. ფილადელფია | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 14. ნიუ იორკი | 7 | 2 | 5 | 28.6 |
| 15. ატლანტა | 7 | 2 | 5 | 28.6 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. იუტა | 8 | 8 | 0 | 100 |
| 2. მემფისი | 7 | 7 | 0 | 100 |
| 3. მინესოტა | 8 | 6 | 2 | 75.0 |
| 4. ლეიკერსი | 7 | 4 | 3 | 57.1 |
| 5. დენვერი | 8 | 5 | 3 | 62.5 |
| 6. დალასი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 7. ოკლაჰომა | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 8. სან ანტონიო | 6 | 3 | 3 | 50.0 |
| 9. ჰიუსტონი | 8 | 4 | 4 | 50.0 |
| 10. პორტლენდი | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 11. საკრამენტო | 7 | 3 | 4 | 42.9 |
| 12. გ. სტეიტი | 8 | 3 | 5 | 37.5 |
| 13. ფინიქსი | 8 | 2 | 6 | 25.0 |
| 14. კლიპერსი | 8 | 1 | 7 | 12.5 |
| 15. ნიუ ორლეანი | 8 | 1 | 7 | 12.5 |

სამთოთხილამურობა



ვიქტორია რებენსბურგი

# გერმანული დუბლი

გერმანული დუბლით დაიწყო ახალი სამთო-სათხილამურო სეზონი ავსტრიის კურორტ ზოლდენში. პირველი ეტაპი ქალებს შორის გიგანტური სლალომი იყო. შარშან ამ ტრასაზე ფინელმა **ტანია პოუტაინენმა** გაიმარჯვა, ერთი წლით ადრე კი პირველი იყო ავსტრიელი **კატრინ ცეტელი**. ეს მოთხილამურეები შაბათის დაშვების ფავორიტები იყვნენ, თუმცა სერიოზული კონკურენტებიც ჰყავდათ - გიგანტურ სლალომში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **კატრინ ჰიოლცლი**, რომელმაც ამ დისციპლინაში მსოფლიო თასიც მოიგო და კიდევ ერთი გერმანელი **ვიქტორია რებენსბურგი** - ვანკუვერის ოლიმპიადის სენსაციური ჩემპიონი.

რაც შეეხებათ ბოლო წლების ლიდერებს - გერმანელ **მარია რიშსა** და ამერიკელ **ლინდსი ვონს**, გიგანტური სლალომი მათი დისციპლინა არ არის. ვონი აქ ძირითადად მესამე ათეულშიასრულებს ეტაპებს, სამაგიეროდ, რიშმა გამოასწორა შედეგები და შაბათს პირველი ცდის შემდეგ მეორე ადგილს იყოფდა რებენსბურგთან. თუმცა მარიას მეორე ცდა არ გამოუვიდა და ჯამური მეხუთე ადგილი დაიკავა.

საერთო ჯამში, გერმანიის ნაკრებმა ბრწყინვალე ეტაპი ჩაატარა. ძალიან წაადგა ამ გუნდს მწვრთნელის შეცვლა - ქალ ჩმოთხილამურეებს **ტომას შტაუფერი** ჩაუდგა სათავეში და მისი მუშაობის შედეგი თვალნათლივ გამოჩნდა.

პირველი ცდის შემდეგ ლიდერთა სამეულში სამი გერმანელი იყო - რებენსბურგი, რიში და ჰიოლცლი. საბოლოოდ, რებენსბურგმა ბრწყინვალედ გაიარა მეორე დაშვება და გამარჯვება მოიპოვა, ჰიოლცლი მეორე იყო, რიში - მეხუთე, ხოლო ნორჩი **ლენა დიური** საუკეთესო ოცეულში მოხვდა. სეზონის უკეთესი სტარტი წარმოუდგენელი იყო.

იმედი გაუცრუეს გულშემატკივრებს ავსტრიელმა მოთხილამურეებმა - ვერც **ანდრეა ფიშბახერი**, ვერც **ელიზაბეტ გიორგლი** და ვერც ცეტელი ათეულში ვერ შევიდნენ. პოდიუმი შეავსო იტალიელმა **მანუელა მოელგმა**, რაც სენსაციად მოინათლა - აპენინელისგან ასეთ შედეგს არ ელოდნენ. შარშანდელი გამარჯვებული პოუტაინენი მეოთხე ადგილს დასჯერდა.

**ზოლდენი (ავსტრია)**

**გიგანტური სლალომი. ქალები**

1. **ვიქტორია რებენსბურგი** (გერ) - 2.26,39; 2. **კატრინ ჰიოლცლი** (გერ) - +0,4; 3. **მანუელა მოელგი** (იტა) - +0,86; 4. **ტანია პოუტაინენი** (ფინ) - +0,93; 5. **მარია რიში** (გერ) - +1,10; 6. **ტინა მაზე** (სლოვენ) - +1,13...

ცურვა


ფრენ კრიპენი

# ევროპის თასის მფლობელი სამხედრო დამნაშავეა

ცნობილი ხორვატი მწვრთნელი **ნევენ სპაჰია** ყოფილ იუგოსლავიაში სამოქალაქო ომის დროს სამხედრო დანაშაულშია ეჭვმიტანილი.

თურქეთის "ფენერბაჰჩეს" ამჟამინდელი დამრიგებელი 90-იანი წლების დასაწყისში 72-ე ბატალიონში მსახურობდა. ორი დღის წინ სპაჰია ქალაქ სპლიტის სასამართლოში გამოიძახეს ჩვენების მისაცემად. საქმე ეხება 1992 წლის 2 მარტს ხორვატიის ქალაქ შიბენიკის ციხეში 21 სერბი მეომრისა და უბრალო მოქალაქის წამებისა და მკვლელობის ფაქტს.

სპაჰია ამ და სხვა საქმეებში მოწმედ გადის, მაგრამ არ არის გამორიცხული, სასამართლომ მწვრთნელს ბრალდებულის სტატუსი მიანიჭოს. მაშინდელი 72-ე ბატალიონის რამდენიმე წევრი უკვე დაპატიმრებულია და მათ ბრალიც წაუყენეს. დანარჩენი წევრების მიმართ გამოძიება მიმდინარეობს.

როგორც ხორვატული პრესა წერს, სპაჰიას ხშირად ხედავდნენ შიბენიკის ციხეში, სადაც ის სერბების წამებას ესწრებოდა - ეს ფაქტი აღიარა ბატალიონის ერთ-ერთმა ოფიცერმა **რაიკო ზარკოვიჩმა** და ისიც დაამატა, რომ ცნობილ მწვრთნელს არ ჰქონდა ციხეში შესვლის უფლება. თუმცა ისიც ირკვევა, რომ სპაჰიას როლი უბრალოდ დასწრებით შემოიფარგლებოდა და მომავალი მწვრთნელი წამებასა და მკვლელობებში უშუალო მონაწილეობას არ იღებდა.

შეგახსენებთ, რომ ნევენ სპაჰია შარშან ესპანეთის "ვალენსიას" ავარჯიშებდა და ამ გუნდს ევროპის თასი მოაგებინა. სწორედ ამის შემდეგ გადაბარგდა ის "ფენერბაჰჩეში".


ნევენ სპაჰია

# ტრაგიკული მსოფლიო თასი

ტრაგიკულად დასრულდა საამიროებში მსოფლიო თასის ეტაპი. "ღია წყალზე" ამერიკის ჩემპიონი **ფრენ კრიპენი** 10-კილომეტრიანი გაცურვისას დაიღუპა - იტყობინება სააგენტო "როიტერი".

26 წლის სპორტსმენმა რვა კილომეტრის გაცურვის შემდეგ აცნობა მწვრთნელს, რომ შეუძლოდ იყო. კრიპენმა ფინიშამდე ვერ მიაღწია და ის მოგვიანებით წყალში დამხრჩვალი იპოვეს.

სტარტის დღეს წყლის ტემპერატურამ 30 გრადუსს მიაღწია და ფინიშის შემდეგ არაერთ მოცურავეს დასჭირდა სამედიცინო დახმარება. არ არის გამორიცხული, რომ კრიპენის დაღუპვა ორგანიზმის გადახურებამ გამოიწვია.

საწყლოსნო სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯულიო მალიონემ** აღიარა, რომ ამერიკელის სიკვდილი ცურვის ტურნირებში პირველი ტრაგიკული შემთხვევაა. პრეზიდენტმა მომხდარს "უბედური შემთხვევა" უწოდა. ფედერაციამ გამოძიება დაიწყო.

ამერიკელი ფრენ კრიპენის ყველაზე დიდი მიღწევა "ღია წყალზე" ქვეყნის ჩემპიონის ტიტული იყო. გარდა ამისა, 2009 წელს მან იტალიაში მსოფლიო თასის ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ათასიანი ალფრედსონი



ალფრედსონი საიუბილეო ქულას ზეიმობს

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გასული უქმეები ორი საინტერესო მოვლენით აღინიშნა. პირველი ის, რომ ორი დღის განმავლობაში ერთბაშად ექვსი ჰეთ-თრიკი დაფიქსირდა. რაც შეეხება მეორე მოვლენას, ის "ოტავა სენატორზის" შვედ კაპიტან **დანიელ ალფრედსონს** უკავშირდება. სკანდინაველი ვეტერანი 75-ე მოთამაშე გახდა NHL-ის ისტორიაში, ვინც 1000-ქულიან ზღვარს გადააბიჯა. ალფრედსონმა ამ დიდოსტატურ მაჩვენებელს "ბაფალოსთან" მატჩში მიაღწია - მან თითო პერიოდში თითო შაიბა გაიტანა და კარიერაში მერვე ჰეთ-თრიკი გაიფორმა.

ალფრედსონს ლიგაში 1009 მატჩი აქვს ჩატარებული და ახლა მის ანგარიშზე 379 გოლი და 621 პასი მოდის. შვედი ფორვარდი პრაქტიკულად ყოველ მატჩში აგროვებდა მინიმუმ ერთ ქულას.

დანიელი 1994 წლის დრაფტზე "ოტავამ" 133-ე ნომრად აირჩია. NHL-ში შვედის კარიერა 1995 წლიდან დაიწყო და მას შემდეგ მხოლოდ "სენატორზის" შემადგენლობაში თამაშობდა. პირველ წელს ალფრედსონმა 82 მატჩში 61 ქულა (26+35) დააგროვა. 37 წლის ჰოკეისტისთვის ეს სეზონი მეთხუთმეტეა მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში.

პლეი ოფში ალფრედსონის მონაგარი 107 მატჩი და 88 ქულაა (45+43).

■ ■ ■

"ბაფალოსთან" გუშინდელი მატჩის წინ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო "ნიუ ჯერსის" მთავარმა მწვრთნელმა **ჯონ მაკლინმა**. მან რეზერვში დატოვა რუსი სუპერვარსკვლავი **ილია კოვალჩუკი**. მწვრთნელმა უარი თქვა ამ გადაწყვეტილების კომენტარზე და მხოლოდ ის განაცხადა, რომ კოვალჩუკმა იცის, რატომაც არ აღმოჩნდა განაცხადში.

"ეშმაკებმა" "ბაფალოსთან" სასტიკად წააგეს - 1:6 და კვლავაც აღმოსავლეთი კონფერენციის აუტსაიდერად რჩებიან.

შეგახსენებთ, რომ 27 წლის კოვალჩუკმა აგვისტოს ბოლოს 15-წლიანი კონტრაქტი გააფორმა "დევილზთან", რომლის მიხედვითაც 100 მილიონ დოლარს მიიღებს.

■ ■ ■

"ვანკუვერ კენაქსის" ფორვარდი **რიკ რაიპენი** გულშემატკივართან ჩხუბის გამო ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ერთ-ერთი წინა მიმოხილვისას ვწერდით, რომ "მინესოტასთან" მატჩის დროს, გასახდელში მიმავალი ჰოკეისტი თავს დაესხა მეტოქე გუნდის ფანს, რომელმაც ირონიულად შეაფასა რაიპენის პროფესიონალიზმი. იმ მომენტში ფორვარდი მსაჯის მიერ მიღებული მეორე სასჯელის გამო ტოვებდა მოედანს.

რაიპენმა უყურადღებოდ არ დატოვა გულშემატკივრის რეპლიკა და ორივე ხელით ჩააფრინდა ტანსაცმელში. საბედნიეროდ, სიტუაცია არ გამწვავდა, რადგან "ვანკუვერის" მეორე მოთამაშემ **მენი მალორტამ** დროულად გაიყვანა გვერდზე რაიპენი და კონფლიქტი ამით ამოიწურა.

NHL-ის წესების თანახმად, აკრძალულია ყოველგვარი კონტაქტი მაყურებელსა და ჰოკეისტებს შორის. რაიპენის სასჯელი ყველაზე სერიოზულია ბოლო 28 წლის გამავლობაში. "ვანკუვერს" თავისი მოთამაშის საქციელის გამო 25 ათასი დოლარის გადახდა მოუწევს.

**22 ოქტომბერი**

**კოლამბუსი-კალგარი 2:6**

1:3, 0:1: 1:2

**გოლები:** 0:1 პაგმანი-3 (ბურკი-1, ო. იოკინენი-2), 0:2 უაიტი-1 (სტაიანი-4, იგინლა-2), 1:2 დორსეტი-2 (კლესლა-2, მეტოტი-2), 1:3 ბურკი-2 (ო. იოკინენი-3, ბოუმისტერი-1), 1:4 ბურკი-3 (ბეკლუნდი-1, რეგერი-2), 2:4 ვოდა-1 (ჯ. კლარკი-3, მაკენზი-1), 2:5 ტანგუი-3 (იგინლა-3, რეგერი-3), 2:6 ბურკი-4 (იგინლა-4, სტაიანი-5).

**ატლანტა-ტამპა ბეი 2:5**

0:3, 1:1, 1:1

**გოლები:** 0:1 ბ. კლარკი-2 (სენტ ლუისი-5, სტემკოსი-6), 0:2 ლეკავალიე-2 (ბერგენჰაიმი-2), 0:3 სტემკოსი-6 (ლეკავალიე-2, სენტ ლუისი-6), 1:3 სლეიტერი-1 (ლედი-5, ბიფულინი-4), 1:4 სტემკოსი-7, 2:4 ბიფულინი-2, 2:5 სტემკოსი-8 (ჰედმანი-5, ჰოლი-2).

**ბაფალო-ოტავა 2:4**

1:1, 1:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ალფრედსონი-2 (ე. კარლსონი-1, გონჩარი-3), 1:1 ტიმ კონოლი-2 (სეკერა-1), 1:2 შენონი-2 (ფოლინი-2), 2:2 ტიმ კონოლი-3 (პენტი-3, ბატლერი-3), 2:3 ალფრედსონი-3 (ე. კარლსონი-2), 2:4 ალფრედსონი-4 (ფიშერი-1, გონჩარი-4).

**სენტ ლუისი-ჩიკაგო 4:2**

1:1, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 პერონი-3 (ოში-5), 1:1 შარპი-7 (კეიტი-3, ტეუზი-4), 2:1 პერონი-4 (ოში-6, კოლაიკოვი-4), 2:2 სობრუკი-2 (ბროუერი-5, ბიკელი-3), 3:2 ბოლაკი-1, 4:2 ბერგლუნდი-3 (ენდი მაკდონალდი-2, ე. ჯონსონი-2).

**ვანკუვერი-მინესოტა 5:1**

1:0, 1:0, 3:1

**გოლები:** 1:0 ტორესი-2 (პანსენი-1, მალორტა-3), 2:0 კესლერი-2 (რეიმონდი-2, ალბერტსი-1), 3:0 მალორტა-1 (ეჰლერი-5, ტორესი-1), 4:0 მალორტა-2 (პანსენი-2, შნაიდერი-1), 4:1 მიტინენი-2 (ლატენდრესი-3, მ. კოივუ-6), 5:1 ტამბელინი-1 (ჰ. სედინი-10, დ. სედინი-4).

**23 ოქტომბერი**

**ბოსტონი-რეინჯერსი 2:3**

1:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ანისიმოვი-3 (დუბინსკი-2, როჟსივალი-3), 0:2 ფროლოვი-2 (საუერი-1, კრისტენსენი-1), 1:2 ხარა-2 (რეკი-4, ჰორტონი-4), 1:3 მ. სტაალი-1 (კელეჰანი-4), 2:3 ჰორტონი-5 (კრეისი-6, საიდენბერგი-2).

**დეტროიტი-ანაჰაიმი 5:4**

1:1, 2:2, 2:1

**გოლები:** 1:0 ზეტერბერგი-2 (ლიდსტრომი-5, ჰოლმსტრომი-2), 1:1 რაიანი-2 (გეტცლაფი-8, ვიშნევსკი-4), 1:2 კარტერი-1 (მარჩანტი-1, ვიშნევსკი-5), 1:3 სიურეტი-1 (რაიანი-5, ბოდი-1), 2:3 ფრანცენი-5 (ბერტუცი-7, ფილპულა-4), 3:3 ჰოლმსტრომი-1 (ბ. სტიუარტი-3, ზეტერბერგი-6), 3:4 სელიანე-4, 4:4 ზეტერბერგი-3 (ბ. სტიუარტი-4, ლიდსტრომი-6), 5:4 დაციუკი-4 (ლიდსტრომი-7, ზეტერბერგი-7).

**ფლორიდა-აილენდერსი 4:3**

2:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 1:0 ვეიერი-1 (ელერბი-1), 1:1 ტავარესი-3 (ვიშნიევსკი-6, პარენტო-6), 2:1 ბერნიე-1 (ვიდემანი-2, ელერბი-2), 2:2 ტავარესი-4 (ვიშნიევსკი-7, პარენტო-7), 3:2 ბუტი-3 (ვეიერი-1, ფროლიკი-2), 3:3 ტავარესი-5 (კომი-4, მოულსონი-3), 4:3 დვორაკი-3 (რისონერი-3, მაკეიბი-5).

**ნიუ ჯერსი-ბაფალო 1:6**

0:2, 0:3, 1:1

**გოლები:** 0:1 სტეფორდი-3 (ენისი-5, როი-3), 0:2 მილერი-2 (გრირი-1, რ. ნიდერმაიერი-1), 0:3 ენისი-2 (რ. ნიდერმაიერი-2, გრირი-2), 0:4 კალეტა-1 (ლეოპოლდი-3, გოსტადი-3), 0:5 ვანეკი-(როი-4, გერბი-1), 1:5 პარიზე-3 (ზუბრუსი-4), გრინი-3), 1:6 ვანეკი-3.

**ოტავა-მონრეალი 0:3**

0:1, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 ა. კოსტიცინი-3 (პლეკანეცი-4, სუბანი-3), 0:2 პუიოტ-1 (გორჯესი-3, გომესი-2), 0:3 ა. კოსტიცინი-4 (კამალერი-2, სპაჩეკი-2).

**ფილადელფია-ტორონტო 5:2**

2:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 1:0 მ. რიჩარდსი-1, 2:0 ლეინო-1 (მ. რიჩარდსი-4, პრონგერი-1), 2:1 კესელი-6 (კულემინი-4, ბოზემენი-1), 3:1 ბეტსი-2 (პოუ-2), 3:2 მაკარტური-6 (კომისარეკი-3), 4:2 შარტნელი-2 (მ. რიჩარდსი-5, ჟირუ-2), 5:2 ბრიერი-5.

**ვაშინგტონი-ატლანტა 4:3 (ო)**

0:1, 1:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ლედი-3 (ე. სტიუარტი-1, ენსტრომი-4), 1:1 სიომინი-3, 1:2 ე. კეინი-4 (პევერლი-3, ბერგფორსი-3), 2:2 სიომინი-4 (მ. პერო-1), 3:2 სიომინი-5 (მ. პერო-2), 3:3 ე. კეინი-5 (ენსტრომი-5, პევერლი-4), 4:3 ფლიშმანი-3 (ფერი-2, სლოუნი-1).

**დალასი-ნეშვილი 0:1**

0:1, 0:0, 0:0

**გოლი:** 0:1 კ. ო'რაილი-1 (უებერი-4, სალივანი-2).

**სენტ ლუისი-პიტსბურგი 1:0 (ო)**

0:0, 0:0, 0:0, 1:0

**გოლი:** 1:0 ე. ჯონსონი-1 (ოში-7, ბეკსი-3).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 2:3**

0:2, 1:0, 2:0

**გოლები:** 1:0 შარპი-8 (ტეევზი-5, პ. კეინი-5), 2:0 ტეევზი-2 (ბროუერი-6, შარპი-3), 2:1 ბრასარი-1 (ვორაჩეკი-2, მეტოტი-3), 2:2 უმბერგერი-4 (ტიუტინი-2, ვერმეტი-3), 2:3 ვერმეტი-1 (მეტოტი-4).

**კოლორადო-ლოს ანჯელესი 4:6**

2:2, 1:2, 1:2

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-1 (ჰანძუში-3, სიმონდსი-2), 1:1 ჰეიდუკი-3 (დუმენი-5, ჯონსი-2), 1:2 კოპიტარი-2 (ლოკტიონოვი-1, ჯ. ჯონსონი-2), 2:2 პ. შჩასტნი-3 (ჰეიდუკი-3, დუმენი-6), 2:3 რიჩარდსონი-1 (მენი-2, უ. მიტჩელი-3), 2:4 ბრაუნი-4 (ჯასტინ უილიამსი-4), 3:4 პ. შჩასტნი-4 (კ. სტიუარტი-5), 4:4 ჰეიდუკი-4 (პ. შჩასტნი-5, ლაილსი-10), 4:5 რიჩარდსონი-2 (სტოლი-3), 4:6 რიჩარდსონი-3.

**ფინიქსი-კაროლინა 3:4 (ო)**

0:0, 0:2, 3:1, 0:1

**გოლები:** 0:1 დუაიერი-2, 0:2 ი. იოკინენი-2 (პიტკანენი-3, კორვო-3), 0:3 სამსონოვი-2 (სატერი-1), 1:3 ტარისი-1 (ა. ოკუპოვი-4, აპშოლი-1), 2:3 ტარისი-2 (ეკმანი-ლარსონი-1, ვოლსკი-2), 3:3 აპშოლი-3 (ტარისი-1, ვოლსკი-3), 3:4 ბაბჩუკი-2 (პიტკანენი-4, ი. იოკინენი-4).

**ედმონტონი-სან ხოსე 1:6**

1:1, 0:2, 0:3

**გოლები:** 1:0 ებერლე-2 (პორკოფი-2, რაიან უაიტნი-6), 1:1 პიტლი-2 (პაველსკი-3, ჯ. ტორნტონი-3), 1:2 კუტური-3 (მაკგინი-1), 1:3 პაველსკი-3 (პიტლი-4, ჯ. ტორნტონი-4), 1:4 ქლოუ-2 (პაველსკი-4), 1:5 ბოილი-1 (ჯ. ტორნტონი-5), 1:6 მაკარტი-1 (ტ. მიტჩელი-2, პასკონსი-1).

ცხელი ხაზი

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საფრანგეთი** | |
| შოლე-ორლეანი | 75:67 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-ტრირი | 73:72 |
| ტელეკომ ბონი-ჰაგენი | 103:102 |
| ლუდვიგსბურგი-მიტელდოიჩე | 73:65 |
| ბაიროიტი-ალბა | 66:75 |
| **იტალია** | |
| ბრინდიზი-ბოლონია | 87:84 |
| მონტეპასკი-მონტეგრანარო | 93:82 |
| მილანი-ბენეტონი | 80:65 |
| კანტუ-ვაროლი | 77:75 |
| აველინო-ვარეზე | 85:69 |
| ბიელა-ტერამო | 79:70 |
| სკავოლინი-რომა | 76:69 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-სარაგოსა | 70:71 (ო) |
| ვალიადოლიდი-ბილბაო | 68:60 |
| ხუვენტუდი-მანრესა | 82:67 |
| ალიკანტე-მენორკა | 59:61 |
| უნიკახა-კახასოლი | 82:76 |
| გრან კანარია-ფუენლაბრადა | 71:70 |
| გრანადა-კახა ლაბორალი | 81:85 |
| ხირონა-ესტუდიანტესი | 75:59 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ბანვითი | 61:74 |
| **საბერძნეთი** | |
| აეკ-იკაროსი | 81:72 |
| კოლოსოსი-პერისტერი | 67:58 |
| ირაკლისი-პანელინიოსი | 82:81 (ო) |
| პანიონიოსი-მარუსი | 63:72 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-ბოლესლავი | 1:0 |
| სლავია-ზლინი | 0:2 |
| ვიტკოვიცე-ლიტვინოვი | 4:2 |
| კლადნო-სპარტა | 3:1 |
| პლზენი-ბუდეიოვიცე | 4:2 |
| ლიბერეცი-კარლ. ვარი | 3:3 ბულ. 3:4 |
| **ავსტრია** | |
| ზაგრები-აკრონი | 3:0 |
| ვენა-ლინცი | 4:1 |
| გრაცი-კლაგენფიურტი | 0:2 |
| ვილახი-ზალცბურგი | 2:3 |
| ალბა-ოლიმპია | 4:2 |
| **გერმანია** | |
| კიოლნი-ჰანოვერი | 3:5 |
| აუგსბურგი-შტრაუბინგი 3:3 დ.დ. | 3:4 |
| ვოლფსბურგი-ნიურნბერგი | 3:1 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 0:1 |
| **ნორვეგია** | |
| ვოლერენგა-მანგლერუდი | 4:1 |
| ფრ. ასკერი-სტორჰამარი 2:2 დ.დ. | 2:3 |
| **კჰლ** | |
| ლოკომოტივი-დინამო (მნ) | 3:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-ჟილინა | 5:0 |
| სკალიცა-ნიტრა | 2:4 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 1:0 |
| მარტინი-პოპრადი | 3:4 |
| კოშიცე-სლოვანი | 2:0 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. მოსკოვი** | |
| კუევასი-ტროიცკი | 3:6, 3:6 |
| ბაღდატისი-ისტომინი | 6:4, 6:7, 7:6 |
| ბაღდატისი-ტროიცკი | 6:3, 4:6, 3:6 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| ნიემინენი-ფ. მაიერი | 6:4, 4:6, 6:7 |
| ფედერერი-ლუბიჩიჩი | 7:6, 6:2 |
| ფედერერი-ფ. მაიერი | 6:4, 6:3 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| კერბერი-გორჯესი | 4:6, 6:3, 1:6 |
| კეოტავონგი-ვინჩი | 4:6, 2:6 |
| გორჯესი-ვინჩი | 3:6, 4:6 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| მ. სანჩესი-აზარენკა | 3:6, 3:6 |
| კირილენკო-დუშევინა | 6:1, 6:1 |
| აზარენკა-კირილენკო | 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**25 ოქტომბერი. ორშაბათი**

**მზე**

22:45 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი (LIVE).

**I არხი**

23:00 არენა.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

06:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. პსჟ-ოსერი.
08:20 ბრაზილიის ჩემპიონატი. ატ. პარანაენსე-ფლუმინენსე.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-მარსელი.
12:00 ახალი ამბები.
12:20 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-სამპდორია (LIVE).
14:10 გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-მაინცი.
16:00 ახალი ამბები.
16:20 რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:20 ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ბილბაო.
19:10 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 საერთაშორისო პანორამა.
21:20 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-დეპორტივო (LIVE).
00:55 საფეხბურთო ღამე.
01:25 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
03:05 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
04:55 ესპანეთის ჩემპიონატი. სოსიედადი-დეპორტივო.

**EUROSPORT**

10:30 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
10:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
11:45 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
12:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. ტოკიო. იაპონია. ფინალი.
14:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. პეკინი. ჩინეთი. ფინალი.
15:30 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. ქალები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
16:15 სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. გიგანტური სლალომი. კაცები. II ცდა. ზოლდენი. ავსტრია.
17:15 რალი. IRC-ის სერია. ირლანდია.
18:45 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. შემაჯამებელი ტურნირი. დოჰა. კატარი. ფინალი.
20:15 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ჩემპიონთა ლიგა. აშშ.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ბრძოლა წესების გარეშე.

კრივი

# დიდი ბრძოლა იქნება

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ჩემპიონმა **დევიდ ჰეიმ** BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ბრძოლები ძმებ **კლიჩკოებთან** აუცილებლად გაიმართება. ამიტომაც ურჩია გულშემატკივრებს, არ მიიღონ ნაჩქარევი დასკვნები მოკრივეთა განცხადებების მიხედვით.

*"ბევრი ისეთი დეტალი არსებობს, რაზეც კრივის მოყვარულებს წარმოდგენა არ აქვთ,* - განაცხადა ბრიტანელმა. - *მოკრივეები ერთმანეთს ბრძოლაში იწვევენ, მაგრამ, როცა საქმე მიდის კონტრაქტის გაფორმებაზე, ფულის გაყოფაზე, ტელეტრანსლაციების უფლებებსა და ბრძოლის ჩატარების ადგილზე - ფანებს ამის შესახებ წარმოდგენა არ აქვთ. მათ მხოლოდ ის ესმით, რომ ერთმა მოკრივემ მეორე გამოიწვია და მიაჩნიათ, რომ შეხვედრა აუცილებლად გაიმართება".*

*"არადა, ბრძოლის ორგანიზებას ბევრი რამ სჭირდება. არსებობს უამრავი ნიუანსი, რაზეც გულშემატკივარს წარმოდგენაც არ აქვს,* - აგრძელებს ჰეი. - *ამის გასააზრებლად წლებია საჭირო. ამ ყველაფერში უამრავი იურისტია ჩართული. მოკლედ, ყველაფერი რთულადაა. მაგრამ დიდი ბრძოლები ყოველთვის იმართება და ძმები კლიჩკოების წინააღმდეგ აუცილებლად გავალ რინგზე. ამ ყველაფერს უამრავი განცხადება უძღვის წინ - მათ ჩემი ეშინიათ, მე მათი... მაგრამ ჩვენ აუცილებლად შევხვდებით ერთმანეთს და მათ ნოკაუტი არ ასცდებათ".*

■ ■ ■

დევიდ ჰეისთვის გასული კვირა არც ისე იღბლიანი იყო. ბრიტანელი მოკრივე ავტოავარიაში მოყვა. დევიდი თავისი "მერსედესით" ჯერ სხვა ავტომობილს, შემდეგ კი განათების ბოძს შეეჯახა.

ჰეის ძალიან დასწყდა გული თავისი მანქანის გამო, რომელიც 80 ათასი ევრო ღირს: *"ძალიან მომწონდა ეს მანქანა. ახლა ის მკვდარია!"*

საბედნიეროდ, ბრიტანელს ტრავმა არ მიუღია, ასე რომ, 13 ნოემბერს ის შეძლებს ტიტულის დაცვას თანამემამულე **ოდლი ჰარისონის** წინააღმდეგ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# პაკიაო ნოკაუტს გეგმავს



პაკიაო და ბობ არუმი

**ჰეისა** და **ჰარისონის** ბრძოლის პარალელურად გაიმართება სუპერბრძოლა მსოფლიოს საუკეთესო მოკრივის - **მენი პაკიაოს** მონაწილეობით. ფილიპინელის მორიგი მეტოქეა მექსიკელი **ანტონიო მარგარიტო**. შეხვედრას 13 ნოემბერს დალასი უმასპინძლებს.

ბრძოლის წლის პაკიაო აცხადებს, რომ მხოლოდ ნოკაუტით გამარჯვება დააკმაყოფილებს: *"პირველ ორ რაუნდში შევეცდები მეტოქის ნოკაუტში გაგზავნას. მაგრამ ყველაფერი ჩემზე არ იქნება დამოკიდებული - ბევრ რამეს რინგზე შექმნილი სიტუაცია გვიჩვენებს. ფიზიკური მდგომარეობისა და სისწრაფის მხრივ ყველაფერი წესრიგში მაქვს, თუმცა ვგრძნობ, რომ კიდევ უნდა ვიმუშაო მოძრაობებზე".*

გაირკვა, რომ მომავალი ბრძოლისთვის პაკიაო დაახლოებით 25 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს. ამის შესახებ ინტერვიუში ფილიპინელის პრომოუტერმა **ბობ არუმმა** განაცხადა.

*"მენის გარანტირებული აქვს 15 მილიონი დოლარი - ეს ბრძოლიდან შემოსავალია. გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ სატელევიზიო სისტემა pay-per-view-დან შემოსული თანხა. ასე რომ, პაკიაოს სავარაუდო ჰონორარი ჯამში 22-25 მილიონი იქნება",* - ამბობს არუმი.

რაც შეეხება მარგარიტოს ჰონორარს, ის აუცილებლად მიიღებს 3 მილიონ დოლარს და კიდევ 4-5 მილიონის იმედი ექნება.

ჩოგბურთი



ფედერერი და ნადალი

# დიდი ჩოგბურთი შობისთვის

მსოფლიო ჩოგბურთის მოქმედი ლეგენდები - ესპანელი **რაფაელ ნადალი** და შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ბოლო ორი სეზონის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ამ დუეტმა მათ თამაშებს მონატრებულ გულშემატკივრებს საშობაო საჩუქარი გაუკეთა: წლის ბოლოს როჯერი და რაფა ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს საქველმოქმედო მატჩებში. პირველი მატჩი ფედერერის სამშობლოში გაიმართება, მეორე - ესპანეთში.

პირველი მატჩის თარიღია 21 დეკემბერი. საქველმოქმედო შეხვედრას - „მატჩი აფრიკისთვის" ჰქვია და მისი ჩატარებიდან შემოსული მთლიანი შემოსავალი „როჯერ ფედერერის ფონდში" გადაირიცხება. შეხვედრას ციურიხის „ჰალენშტადიონი" უმასპინძლებს.

მეორე დღეს ფედერერი და რაფა მადრიდში გადაბარგდებიან და დედაქალაქის გასართობ კომპლექს Caja Magica-ში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. თავის მხრივ, ეს მატჩი „რაფაელ ნადალის ფონდის" მიერ არის ორგანიზებული და ჩოგბურთელები ღარიბი ოჯახების უნარშეზღუდულ ბავშვებს დაეხმარებიან.

*„პირველი შემთხვევაა, როცა ჩემი სახელობის ფონდი ასეთ მასშტაბურ აქციას აწყობს. ბევრი სტუმარი მოვიწვიეთ და იმედი გვაქვს, მათი დახმარებით შევძლებთ ჩვენი პროექტების რეალიზაციას. ეს განსაკუთრებული აქციაა ჩემთვის, რადგან როჯერ ფედერერის მხარდაჭერის იმედი მაქვს. ჩვენ მეგობრები ვართ და ბევრ რამეში საერთო აზრი გვაქვს"*, - განაცხადა რაფაელ ნადალმა.

*„სიამოვნებით ჩავალ მადრიდში და დავეხმარები რაფასა და მის ფონდს. ეს ორი მატჩი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გაჭირვებული ადამიანების დახმარებას ვაპირებთ"*, - აღნიშნა თავის მხრივ ფედერერმა.

Caja Magica-ს დარბაზი 11 ათას მაყურებელს იტევს. 26-33 ევროდ ღირებული ბილეთების რეალიზაცია პირველი ნოემბრიდან დაიწყება. რაც შეეხება ციურიხის შეხვედრას, მასზე დასასწრები 10 ათასი ბილეთი სექტემბრის დასაწყისში 5 (!) წუთში გაიყიდა.

# რობინიც ლონდონში მიდის

## დელ პოტრო წელს აღარ ითამაშებს

ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირის კიდევ ერთი მონაწილე გაირკვა. შვედი **რობინ სიოდერლინგი** მეხუთე მოთამაშეა, ვინც 21-28 ნოემბერს სეზონის დასკვნით ტურნირში მიიღებს მონაწილეობას - ამის შესახებ კვირას ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა გამოაცხადა. შეგახსენებთ, რომ 26 წლის შვედს შარშან ჰქონდა დებიუტი ამ ტურნირში და ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც არგენტინელ **ხუან მარტინ დელ პოტროსთან** დამარცხდა.

სიოდერლინგამდე ლონდონში თამაშის უფლება მოიპოვეს ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ**.

*„ყოველთვის ვოცნებობდი წლის მთავარ ტურნირზე მონაწილეობის მიღებაზე. შარშანდელი ჩემპიონატისგან სასიამოვნო მოგონებები დამრჩა. იმედი მაქვს, 2009 წელს მიღებულ გამოცდილებას გამოვიყენებ და წელს კიდევ უფრო წარმატებით ვითამაშებ"*, - განაცხადა სკანდინაველმა ჩოგბურთელმა.

წელს სიოდერლინგმა მხოლოდ ერთი ტიტული მოიპოვა როტერდამის ტურნირში, გარდა ამისა, სამჯერ ითამაშა ფინალში - შვედეთის ბაშტადში, ბარსელონასა და საფრანგეთის ღია პირველობაზე. 2010 წელს ჩატარებულ 66 მატჩში სკანდინაველმა 48 მოიგო და 18 წააგო.

■ ■ ■

არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ კი სეზონის ნაადრევად დასრულება გადაწყვიტა. როგორც იცით, ამერიკის ღია პირველობის ყოფილმა ჩემპიონმა სეზონის დიდი ნაწილი მაჯის ტრავმის გამო გამოტოვა და სულ ცოტა ხნის წინ დაუბრუნდა პროფესიულ ტურს. თუმცა დაბრუნება არც ისე წარმატებული გამოდგა. დელ პოტრომ ზედიზედ ითამაშა ბანგკოკისა და ტოკიოს ტურნირებზე და ორივე შემთხვევაში პირველივე წრეში გამოეთიშა ბრძოლას.

*„გადავწყვიტე, წელს კორტზე აღარ გავიდე. კარგად უნდა დავისვენო და შემდეგ დაძაბულ საწვრთნელ შეკრებას დავიწყებ. ვიმედოვნებ, მომავალი სეზონის სტარტს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდები"*, - განაცხადა დელ პოტრომ.

# ესეც ბეჭედი

ინტერნეტში **მარია შარაპოვას** პირველი ფოტოები გაჩნდა, რომელზეც დაფიქსირებულია ჩოგბურთელის ბოიფრენდის **საშა ვუიაჩიჩის** მიერ ნაჩუქარი ნიშნობის ბეჭედი. ფოტოგრაფმა **ბაუერ გრიფინმა** მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი შაბათს დილით ადრე „გამოიჭირა". ფოტოებზე ბეჭედი კარგად არ ჩანს, მაგრამ სააგენტო AP ამტკიცებს, რომ ეს სწორედ „ლეიკერსის" მცველის მიერ მირთმეული საჩუქარია.



მარია ნიშნობის ბეჭდით

ფორმულა 1. კორეის გრან-პრი

# წითელი ხარების შავი დღე

**მარკ უებერის** („რედ ბული") შეცდომამ და **სებასტიან ფეტელის** („რედ ბული") ბოლიდზე ძრავის პრობლემებმა **ფერნანდო ალონსოს** („ფერარი") ისტორიაში პირველი კორეული რბოლა მოაგებინა და საერთო ჩათვლაში დაწინაურების საშუალება მისცა.

შაბათის პროგნოზის შესაბამისად, იონამში მთელი ღამე წვიმდა და ტრასა იმდენად დასველდა, რომ მის გაშრობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მით უმეტეს, რომ მცირე წვიმა დილითაც გრძელდებოდა და უშუალოდ სტარტის წინ. თავიდან რბოლის დაწყება 10 წუთით გადაიტანეს, შემდეგ პილოტები ოთხ წრეზე უსაფრთხოების მანქანას ედგნენ კვალში - ასე დასრულდა ეტაპის პირველი ნაწილი. ტრასაზე წითელი დროშები გამოფინეს და რბოლა ერთი საათით გადადეს. ამ დროის გასვლის შემდეგ პილოტები ისევ ბოლიდებში ჩასხდნენ და მათ კვლავ წინ გაუძღვა უსაფრთხოების მანქანა. ასე იარა პელოტონმა 17 წრე, რის შემდეგაც რესტარტის ნიშანი მიიღო და ბრძოლა დაიწყო.

„პირველ" წრეზე სერიოზული ავარიები არ მომხდარა, თუმცა იყო მნიშვნელოვანი გასწრებები. **ნიკო როსბერგმა** („მერსედესი") მესამე მოსახვევში წარმატებით შეუტია **ლუის ჰემილტონს** („მაკლარენი"), **მიხაელ შუმახერმა** („მერსედესი") კი **რობერტ კუბიცას** („რენო") გაუსწრო და იერიში მიიტანა მოქმედ ჩემპიონ **ჯენსონ ბატონზე** („მაკლარენი"). მაგრამ გერმანელს არ დასცალდა, რადგან ტრასაზე ისევ უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა.

მე-19 წრეზე, მეორე პოზიციაზე მყოფი მარკ უებერი ძალიან ფართოდ შევიდა მოსახვევში და მოსრიალდა - „რედ ბულის" მანქანა კედელს შეეჯახა. სწორედ იმ მომენტში როსბერგი მთელი სვლით შეასკდა ლიდერის მანქანას. ორივესთვის რბოლა დასრულებული იყო, დანარჩენები კი პეისკარმა სამი წრე ატარა.

*„ეს ჩემი ბრალი იყო. შევეცადე მანქანის დამორჩილებას, მაგრამ არაფერი გამომივიდა. სეზონში მხოლოდ მეორე რბოლა ვერ დავასრულე. ჩემპიონატის ბოლომდე ორი ეტაპია დარჩენილი და შევეცდები ლიდერობის დაბრუნებას"*, - განაცხადა გავარდნის შემდეგ უებერმა.

რესტარტის შემდეგ ლიდერებმა შეინარჩუნეს პოზიციები, შუმახერმა კი მაინც მოახერხა ბატონის გასწრება - 26-ე წრეზე მიხაელმა მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ლიდერებს შორის ყველაფერი მშვიდად იყო პიტსტოპების პირველ ტალღამდე, რომელიც ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის მორიგ გამოსვლას დაემთხვა.

ამჯერად ამის მიზეზი **სებასტიან ბუემი** („ტორო როსო") გახდა. შვეიცარიელმა პილოტმა მესამე მოსახვევში დამუხრუჭება დააგვიანა და **ტიმო გლოკს** („ვირჯინი") შეეჯახა. ტრასაზე მანქანის ნამსხვრევები დარჩა და სწრაფად რბოლა შეუძლებელი იყო. ლიდერები პიტსტოპზე წავიდნენ. ფეტელმა და ალონსომ ეს სხვებზე ერთი წრით გვიან გააკეთეს და ფერნანდომ პოზიცია წააგო ჰემილტონთან. ამაში „ფერარის" ინჟინრების ბრალიც იყო - მათ პიტსტოპისას შეცდომა დაუშვეს. ყველაზე მეტად ჯენსონ ბატონი დაზარალდა, რომელმაც საბურავების შეცვლა უსაფრთხოების მანქანის გამოსვლამდე გადაწყვიტა.

მორიგი რესტარტის შემდეგ, ალონსომ 34-ე წრეზე ერთი საფეხურით წინ წაიწია - ჰემილტონი პირველი მოსახვევის გავლისას შეცდა. რაც შეეხება ბატონს, ის ქულათა ზონაში შესვლისთვის იბრძოდა. წარუმატებელი პიტსტოპის შემდეგ ბრიტანელი მე-12 ადგილზე აღმოჩნდა, მერე **ადრიან სუტილთან** („ფორს ინდია") გამართა ბრძოლა, მაგრამ წინსვლის ნაცვლად, სამი საფეხურით უკან დაიწია.

43-ე წრეზე ლიდერობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდა. ალონსომ ძალიან მოუმატა ტემპს, ფეტელს კი პირველ მოსახვევში ხილვადობის პრობლემები შეექმნა. ფინიშამდე რამდენიმე წრით ადრე ფერნანდომ მინიმუმამდე შეამცირა ჩამორჩენა, 46-ე წრეზე კი რბოლასა და მთლიანად გენერალურ კლასიფიკაციაში კარდინალურად შეიცვალა სიტუაცია. ფეტელმა პირველ მოსახვევში გაატარა ალონსო, ცოტა ხანში კი ძრავა დაეწვა. „რენოს" ძრავამ ისევ ვერ გაუძლო ესპანელის შეტევებს (პირველად ეს ბაჰრეინში მოხდა).

*„რა თქმა უნდა, კომმარული შედეგია. ვლიდერობდი და შემეძლო 25 ქულა მომეპოვებინა, მაგრამ ფინიშამდე ცხრა წრით ადრე დავასრულე რბოლა. ახლა მხოლოდ წინსვლაზე უნდა ვიფიქროთ. კარგია, რომ სიჩქარის ამაღლებაზე ფიქრი არ გვჭირდება, ამ მხრივ ყველაფერი წესრიგშია"*, - ამბობს ფეტელი.

**პეტროვისა** („რენო") და სუტილის გავარდნას თუ არ ჩავთვლით, რბოლის დასკვნითმა ნაწილმა მშვიდად ჩაიარა და ალონსო ჩემპიონატის ლიდერი გახდა როგორც ქულების, ასევე გამარჯვების რაოდენობით - ესპანელის ანგარიშზე ხუთი გრან-პრი მოდის. უებერი ახალ ლიდერს 11 ქულით ჩამორჩება, ჰემილტონი მესამეზეა 21-ქულიანი ჩამორჩენით, ფეტელი 25 ქულას აგებს, ბატონი კი 42-ს და ჩემპიონი უნდა ამოვშალოთ ტიტულის პრეტენდენტთა სიიდან.

*„ჩემპიონატის ლიდერი გავხდი, მაგრამ სიტუაცია თითქმის არ შეცვლილა, რადგან ქულათა დარიცხვის ამჟამინდელმა სისტემამ შეიძლება ერთ რბოლაში ყველაფერი კარდინალურად შეცვალოს. სწორედ ასე მოხდა დღეს. კორეაში „რედ ბულის" პილოტებს არ გაუმართლათ, მაგრამ პრეტენდენტთა რიცხვი კვლავაც ხუთია. როგორც არაერთხელ მითქვამს - წარმატების გარანტია სტაბილური შედეგებია: უნდა გავაგრძელოთ პოდიუმების მოპოვება"*, - განაცხადა პრესკონფერენციაზე ალონსომ, რომელმაც ბოლო ოთხ რბოლაში სამჯერ მოიგო.

ჩემპიონატის დასრულებამდე ორი რბოლაა დარჩენილი: 7 ნოემბერს ბრაზილია, 14 ნოემბერს - აბუ დაბი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



| კორეის გრან-პრი. XVII ეტაპი | |
|---|---|
| იონამი (55 წრე, 309.155 კმ) | |
| 1(3). ფერნანდო ალონსო (ფერარი, იტალია) | 2:48.20,810 |
| 2(4). ლუის ჰემილტონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +14,999 |
| 3(6). ფელიპე მასა (ფერარი, ბრაზილია) | +30,868 |
| 4(9). მიხაელ შუმახერი (მერსედესი, გერმანია) | +39,688 |
| 5(8). რობერტ კუბიცა (რენო, პოლონეთი) | +47,734 |
| 6(18). ვიტანტონიო ლიუცი (ფორს ინდია, იტალია) | +53,571 |
| 7(10). რუბენს ბარიკელო (უილიამსი, ბრაზილია) | +1.09,257 |
| 8(12). კამუი კობაიაში (BMW-ზაუბერი, იაპონია) | +1.17,889 |
| 9(13). ნიკ ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | +1.20,107 |
| 10(11). ნიკო ჰიულკენბერგი (უილიამსი, გერმანია) | +1.20,851 |
| 11(16). ხაიმე ალგერსუარი (ტორო როსო, ესპანეთი) | +1.24,146 |
| 12(7). ჯენსონ ბატონი (მაკლარენი, ბრიტანეთი) | +1.29,939 |
| 13(21). ჰეიკი კოვალაინენი (ლოტუსი, ფინეთი) | 1 წრე |
| 14(24). ბრუნო სენა (HRT F1, ბრაზილია) | 2 წრე |
| 15(23). საკონ იამამოტო (HRT F1, იაპონია) | 2 წრე |
| 16(14). ადრიან სუტილი (ფორს ინდია, გერმანია) | 9 წრე |
| 17(1). სებასტიან ფეტელი (რედ ბული, გერმანია) | 10 წრე |
| 18(15). ვიტალი პეტროვი (რენო, რუსეთი) | 14 წრე |
| 19(20). ტიმო გლოკი (ვირჯინი, გერმანია) | 23 წრე |
| 20(17). სებასტიან ბუემი (ტორო როსო, შვეიცარია) | 24 წრე |
| 21(19). იარნო ტრული (ლოტუსი, იტალია) | 28 წრე |
| 22(22). ლუკას დი გრასი (ვირჯინი, ესპანეთი) | 28 წრე |
| 23(5). ნიკო როსბერგი (მერსედესი, გერმანია) | 36 წრე |
| 24(2). მარკ უებერი (რედ ბული, ავსტრალია) | 36 წრე |

**საერთო ჩათვლა**

1. ფერნანდო ალონსო - 231 (5 გამარჯვება); 2. მარკ უებერი - 220 ქულა (4); 3. ლუის ჰემილტონი - 210 (3); 4. სებასტიან ფეტელი - 206 (3); 5. ჯენსონ ბატონი - 189 (2); 6. ფელიპე მასა - 143; 7. რობერტ კუბიცა - 124; 8. ნიკო როსბერგი - 122; 9. მიხაელ შუმახერი - 66; 10. ადრიან სუტილი - 47; 10. რუბენს ბარიკელო - 47; 12. კამუი კობაიაში - 31; 13. ვიტანტონიო ლიუცი - 21; 14. ვიტალი პეტროვი - 19; 15. ნიკო ჰიულკენბერგი - 18; 16. სებასტიან ბუემი - 8; 17. პედრო დე ლა როსა (BMW-ზაუბერი, ესპანეთი) - 6, 17. ნიკ ჰაიდფელდი - 6; 19. ხაიმე ალგერსუარი - 3.

**კონსტრუქტორთა თასი**

1. რედ ბული - 426 ქულა; 2. მაკლარენი - 399; 3. ფერარი - 374; 4. მერსედესი - 188; 5. რენო - 143; 6. ფორს ინდია - 68; 6. უილიამსი - 65; 8. BMW-ზაუბერი - 43; 7. ტორო როსო - 11.